

ტრეფიკინგის ბრალდებით, დაბა მესტიის "მაყურებელი" დააკავეს

A2



პრესომბუდსმენი

A2



რუსმა ბორჯომი დაბვილია

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 18 სექტემბერი, 2006 წელი. №205 (1357) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge


## თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**
**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**
**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**
გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 18/09 | 19/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | 23 |
| ბათუმი | 26 | 28 |
| სოხუმი | 25 | 28 |
| ქუთაისი | 27 | 29 |
| გორი | 22 | 22 |
| თელავი | 22 | 22 |
| ონი | 18 | 18 |
| ზუგდიდი | 28 | 32 |
| ახმეტა | 23 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7450 |
| ევრო | 2.2167 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2885 |
| რუბლი | 0.0652 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# ძლიერი შეტევა საგარეო ფრონტზე

### საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი "24 საათის" ფურცლებზე

გაზეთი "24 საათი" იწყებს თანამშრომლობას საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდთან. ორ კვირაში ერთხელ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ფონდის ექსპერტები შემოგვათავაზებენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე აქტუალური საკითხების ანალიზს. დღევანდელ ნომერში იხილავთ ინტერვიუს ფონდის პრეზიდენტთან ალექსანდრე რონდელთან და გაეცნობით ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, პროფესორ ვლადიმერ პაპავასა და ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის კახა გოგოლაშვილის მიმოხილვებს.



ალექსანდრე რონდელი
*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი*

*ისეთ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიას აშენებს, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა უნდა იზრდებოდეს. ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა საზოგადოებრივი აზრის შექმნაში არის ძალიან მნიშვნელოვანი. ცალკეული პირები და არასამთავრობო ორგანიზაციები ამას აკეთებენ, მაგრამ ეს ქვეყნისთვის ნორმა უნდა გახდეს. ამიტომაც ის, რომ გაზეთი "24 საათი" ამის საშუალებას ქმნის, მისასალმებელია. ექსპერტთა აზრი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დამოუკიდებელი აზრია და როგორც ექსპერტთა "ოჯახის", ასევე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრს გამოხატავს. ამიტომაც, ჩვენი რეგულარული თანამშრომლობა მედიასთან მე ძალიან კარგად მენიშნება. იმედია, იმ საკითხებზე, რომლებზეც ფონდს თავისი შეხედულება აქვს, ჩვენი ექსპერტები ბევრ საინტერესოს იტყვიან და თავის წვლილს შეიტანენ საზოგადოების ინფორმირებაში და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ეს სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების პროცესის ელემენტია.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# არაფრისმთქმელი რეფერენდუმი

*პოსტსაბჭოთა არაღიარებულ სახელმწიფოებში რეფერენდუმების ალლუმი დაიწყო. გუშინ რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე მოლდოვას სეპარატისტულ რეგიონში - დნესტრისპირეთში (ტრანსნისტრიაში) შედგა. ანალოგიურ ღონისძიებას სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაც ამზადებს. ექსპერტთა აზრით, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ამ აქციებს სერიოზული პოლიტიკური თუ სამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნება. თუმცა, მოსკოვი უკვე მზად არის საერთაშორისო ასპარეზზე "ერთა თვითგამორკვევის უფლების" თემაზე სპეკულაციებისთვის.*

დიმიტრი ავალიანი

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გუშინდელი რეფერენდუმი შემდგარად უკვე 15 საათზე გამოაცხადა, როდესაც, ოფიციალური მონაცემებით, ხმის მისაცემად მოქალაქეთა 50 პროცენტზე მეტი გამოცხადდა. დნესტრისპირეთში აცხადებენ, რომ რეფერენდუმს 120-მდე "საერთაშორისო დამკვირვებელი" ესწრება - ძირითადად რუსეთიდან და სხვა თვითგამოცხადებული სახელმწიფოებისაგან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თანაშემოქმედება კავკასიიდან

### სლენგით ახსნილი კონცეფციები და ...

სოფო კილასონია

*გასულ ზაფხულს ქართულ მუსიკალურ კულტურას ახალი ორგანიზმი შეემატა. მისი შექმნით ერთმა მეტად საყურადღებო და საინტერესო მოვლენამ საკუთარი არსებობის ქრონოლოგიური ათვლა დაიწყო. უკვე ერთი წელი გავიდა, რაც არა მხოლოდ ქართულმა, არამედ ბევრად უფრო გეოგრაფიულ-პოლიტიკური მასშტაბის მოვლენამ - კავკასიურმა ორკესტრმა ჯერ რეპეტიციები, მერე მცირე მასშტაბის გამოსვლები, შემდეგ კი დიდ ფესტივალ-კონცერტებში მონაწილეობა და ერთობ პრესტიჟული საკონცერტო დარბაზების განსაკუთრებულ მსმენელთა წინაშე გამოსვლა დაიწყო. კავკასიური ორკესტრი, რომელიც არსითა და ამოცანებით ერთგვარი სიახლე, უნიკალური პრეცედენტია, სასტარტო პოზიციაზე დაგეგმილ*



*უვე ბერკემერი რეპეტიციაზე*

*მიზნებს არ ღალატობს და სწორედ გუშინ ის მორიგ შემოქმედებით მოგზაურობას შეუდგა... კავკასიის კამერული ორკესტრი კავკასიისგან შორს გაემგზავრა, რათა უცხოელ მსმენელს, მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარებული კლასიკის გარდა, კავკასიელი კომპოზიტორების შემოქმედებაც გააცნოს.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# ქართველმა ძიუდოისტებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგეს

ესეც ასე. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუშინ პარიზში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგო. პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველმა ძიუდოისტებმა უმთავრეს გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვეს. მანამდე იყო 2002 წლის ბაზელის (შვეიცარია) მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი და ძიუდოს ფუძემდებლებთან - იაპონელებთან ფინალში დამარცხება, ახლა კი...

სასიხარულოა ის, რომ ქართველებმა ფინალში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები დაამარცხეს. საქმე ის არის, რომ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი პარიზში გამგზავრებამდე იქადნებოდა, უძლიერესი ნაკრები გვყავს და მსოფლიოს ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩება, ერთადერთი იაპონელებთან თუ გადაგხვდება სერიოზული ორთაბრძოლებიო. აი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი კი აცხადებდა, რაც უნდათ ის ილაპარაკონ, ვიცი, რომ საუკეთესო ბიჭები მყავს, რომლებიც არ შემარცხვენენო.

ხაბარელი საკუთარი შეგირდების შესაძლებლობებში არ შემცდარა. ჯერ ეგვიპტელები დაამარცხეს, მერე უკრაინელები, კორეელები და ბოლოს რუსეთის "უძლიერეს" გუნდსაც გაუსწორდნენ.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ათკაციანი შემადგენლობით ასპარეზობდა. ესეც მსოფლიოს ჩემპიონები: ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ.) (ხოსიტაშვილი ერთადერთი იყო, რომელიც ტატამზე არ გასულა. რედ.), ზაზა კედელაშვილი (66 კგ.), დავით ქევხიშვილი (73 კგ.), გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ.), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ.), გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ.), ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა).

*24 საათი*

# კახეთში საარჩევნო დაპირისპირება კულმინაციას აღწევს

*წინასაარჩევნო დაპირისპირება აქტიურ ფაზაში შედის. თუ დღემდე ოპოზიციურ პარტიებს პრეტენზიები სახელისუფლებო ბლოკთან ჰქონდათ, ამჯერად მათი თავდასხმის ობიექტი კოლეგა პარტიებიც ხდებიან. დედოფლისწყაროში ერთმანეთს ლეიბორისტები და კონსერვატორები დაუპირისპირდნენ.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

თუ დღემდე ოპოზიციური პარტიებისთვის თავდასხმის ობიექტი მხოლოდ "ნაციონალების" თელავის წარმომადგენლობა იყო, ამჯერად დაძაბულობამ დედოფლისწყაროს რაიონში გადაინაცვლა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ერთმანეთს ოპოზიციური პარტიები დაუპირისპირდნენ.

დედოფლისწყაროელმა "ლეიბორისტებმა" ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" წინააღმდეგ საჩივრით რაიონის საოლქო კომისიას მიმართეს. ამის მიზეზი კი "ლეიბორისტი" ნუგზარ შაინიძე გახდა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ბლოკ "ხიდაშელი-დავითაშვილი-ბერძენიშვილის" სახელით ცდილობდა. სწორედ ამის გამო, დედოფლისწყაროში შალვა ნათელაშვილის მხარდამჭერები თვითმმართველობის არჩევნებისთვის მათი კონკურენტი ბლოკის რეგისტრაციის გაუქმებას მოითხოვდნენ. ეს ინფორმაცია "კონსერვატორებმა" მაშინ მოისმინეს, როცა ამის შესახებ მედიისთვის განცხადება დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავით ბუჩუკურმა გააკეთა **"ლეიბორისტები ითხოვდნენ, რომ პარტიის რაიონულ ორგანიზაციას არ მიელო არჩევნებში მონაწილეობა, რადგან "კონსერვატორებში" სიით ისეთი პიროვნება მონაწილეობდა, რომელიც ლეიბორისტებს საარჩევნო კომისიაში ჰყავდათ ჩასმული"**, - ამბობს ბუჩუკური.

დავით ბუჩუკურს ამ განცხადების გაკეთება იმ დროს მოუწია, როცა საოლქო კომისიის შენობაში "ლეიბორისტებისა" და"კონსერვატორების" რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ, რასაც საოლქო კომისიაში ხმაური მოჰყვა. შალვა ნათელაშვილის თანამებრძოლები უკვე ღიად აცხადებდნენ, რომ რაიონის საოლქო კომისია ოპოზიციურ ბლოკთან იყო შეკრული

გაგრძელება A3 გვერდზე

# ფინანსურ მაქინაციებში ბრალდებული ყოფილი მოხელეები

*პროკურატურის მიერ აღძრულ ორ კორუფციულ საქმეზე, ორი ყოფილი მოხელეა ბრალდებული. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული "ხაშურის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენი"-ს ყოფილი დირექტორი ილია მახაჭაშვილი, რომელიც ორი წელი იძებნებოდა, სამართალდამცველებმა ცოტა ხნის წინათ დააკავეს. გარემოს დაცვის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ყოფილი უფროსი გივი გაგნიძე კი, პროკურატურამ ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა, თუმცა, მასზე ძებნა გამოცხადდა.*

2004 წლის 21 იანვარს, გენერალური პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე შპს "ხაშურის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენი"-ს დირექტორის ილია მახაჭაშვილის მიმართ და საქმე გამოსაძიებლად გადაიგზავნა შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1998 წლის 11 სექტემბერს, სახელმწიფო კომპანია "საქნავთობპროდუქტის" განერალური დირექტორის ბრძანებით, სახელმწიფო სახაზინო საწარმო "ხაშურის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენი"-ს დირექტორად დაინიშნა ილია მახაჭაშვილი. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 6 აგვისტოს ბრძანებით, შეიქმნა შპს "ხაშურის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენი"-ს სამმართველო 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით, რომლის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 2776180 ლარი. საზოგადოების დირექტორად კვლავ დაინიშნა ილია მახაჭაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კონტრაბანდისტმა მიმალვა შეძლო

თბილისი-სენაკის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია სრულით დასრულდა. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, შიდა ქართლის სამხარეო განყოფილება ერგნეთიდან თბილისის მიმართულებით უაქციზო სიგარეტის მოსალოდნელ გადატანასთან დაკავშირებით ინფორმაციას წინასწარ ფლობდა. ოპერაციის დროს ფინანსური პოლიციის თანამშრომლები დაედევნენ "მერსედესის" მარკის ავტომანქანას. მათ მძღოლი არ დაემორჩილა, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანას საბურავები დაუცხრილეს. მძღოლმა გაქცევა და მიმალვა შეძლო. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მის ავტომანქანაში დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს. მომხდარზე უკვე დაწყებულია წინასწარი გამოძიება. ტვირთს ექსპერტიზა უტარდება. მძღოლის ვინაობა დგინდება.

*ინტერპრესნიუსი*

## ბრალდებული პროკურატურის მოთხოვნას დაეთანხმა

მეგობრის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ გიორგი ოზბეთელაშვილს გორის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებულის ადვოკატმა, სასამართლო პროცესზე, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის აღმკვეთი ღონისძიების არასაპატიმრო სასჯელით შეცვლა მოითხოვა, თუმცა პროკურორის მოთხოვნას თავად ბრალდებულიც დაეთანხმა.

შეგახსენებთ, რომ შემთხვევა უფლისციხის სამხედრო ბაზაზე სამი დღის წინ მოხდა.

თავდაცვის სამინისტროს უფლისციხის ბატალიონში ჯარისკაცის სიცოცხლე შემთხვევითმა გასროლამ იმსხვერპლა.

როგორც გაირკვა, ფოტოსურათების გადაღებისას რიგითმა გიორგი მუმლაძემ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევითი გასროლით დაზიანება მიაყენა მისივე მეგობარს, რიგით გიორგი ოზბეთელაშვილს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. გიორგი მუმლაძე ლაგოდეხის რაიონიდანაა. მისივე თანასოფლელია გარდაცვლილი გიორგი ოზბეთელაშვილი.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ მუმლაძე მომხდარისთანავე დააკავა.

როგორც ცნობილი გახდა, ორივე მათგანი სავალდებულო სამხედრო სამსახურს რამდენიმე დღეში ასრულებდა.

*24 საათი*

## კრიმინალური გარჩევა ზუგდიდში

გუშინწინ საღამოს ზუგდიდში, გამარჯვების ქუჩაზე მომხდარი შელაპარაკების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით ფეხის არეში დაიჭრა ზუგდიდის მცხოვრები გოგა გუგუჩია. დაჭრილი გუგუჩია გადაიყვანეს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც სასწრაფო ოპრაცია გაუკეთდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ზუგდიდში, გამარჯვების ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი კრიმინალური გარჩევა იყო. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაჭრილი გოჩა გუგუჩია სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პილიციის უფროსის, გია გუგუჩიას ბიძაშვილია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ოჯახური ძალადობის პრევენციაზე იმსჯელებენ

"ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" პროექტის ფარგლებში სასტუმრო "თბილისი მერიოტში" მეორე შეხვედრა გაიმართება. შეხვედრის მიზანია, ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტის შემუშავება. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები.

"ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი" აღნიშნულ შეხვედრას ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის მხარდაჭერით ახორციელებს. მსგავსი შეხვედრა თვენახევრის წინ უკვე გაიმართა. ამჯერად, ოჯახური ძალადობის პრობლემაზე 19 სექტემბერს იმსჯელებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## გაერო ქალი მიგრანტების ბედით ინტერესდება

ნიუ-იორკში, გაეროს ოფისში გამართულ საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების დიალოგზე მიგრანტი ქალების როლი განიხილეს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, მიგრანტი ქალები მსოფლიო მიგრანტების თითქმის ნახევარს, 195 მილიონს შეადგენენ. ისინი ყოველწლიურად თავიანთ ოჯახებს 223 მილიარდ დოლარს უგზავნიან და ამგვარად სერიოზულ ეკონომიკურ ძალას წარმოადგენენ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) განცხადებით, ქალი მიგრანტებისათვის მიგრაცია, შესაძლოა, ბევრ შემთხვევაში სასარგებლო იყოს, მაგრამ ხშირად იგი სასტიკი მოპყრობითა და ექსპლუატაციით მთავრდება.

IOM-ის მონაცემებით, მიგრანტების 94 პროცენტი საყოფაცხოვრებო პირობებში მომუშავე ქალები არიან. მათი 20 პროცენტი ექსპლუატაციის ისეთი ფორმების მსხვერპლია, როგორიცაა ფიზიკური შეურაცხყოფა, გაუპატიურება, ტრავმა და აქედან გამომდინარე, ფსიქიური მოშლილობა.

"უცილებელია საერთაშორისო მექანიზმების რატიფიკაცია და მათი განხორციელების კონტროლი ეროვნულ დონეზე, რათა მიგრანტი ქალების უფლებები დავიცვათ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ჯგუფზე სპეციალური შეთანხმება ან კონვენცია არ არსებობს", - ნათქვამია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადებაში.

## მოსკოვში ჩეჩენი საველე მეთაური დააკავეს

რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა ერთ-ერთი ჩეჩენი საველე მეთაური მოსკოვში დააკავეს. გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, იგი 1996-1997 წლებში ფედერალური ძალების წინააღმდეგ ტერაქტებს ახორციელებდა. ძალოვანთა განცხადებით, "ბოევიკი" მოსკოვში ბოიცოვის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში აიყვანეს.

იგი ჩეჩნეთის სოფელ ავტურის მკვიდრია. მისი დაკავება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა. თუმცა, დაკავებულის ვინაობას სამართალდამცველები ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ.

## ფინანსურ მაქინაციებში ბრალდებული ყოფილი მოხელეები

პირველი გვერდიდან

**"1998-2003 წლებში, ილია მახაჭაშვილმა სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, გაფლანგა 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით შექმნილი საზოგადოების ქონება. ქონების მართვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად ჩაატარა სამმართველოს ბალანსზე რიცხული სარეზერვუარო პარკის ძირითადი საშუალებების, ტრანსპორტისა და ხაშური-ბათუმის 232 კმ-იანი მილსადენის აუქციონის წესით გაყიდვა, რის გამოც საზოგადოების ადგილზე არსებული ძირითადი ქონება გაიყიდა 121300 ლარად, ხოლო 232 კმ-ი მილსადენი 45 ათას ლარად,"** - ასეთია პროკურატურის ბრალდება.

პროკურატურის განცხადებით, 2000 წლის მაისის თვეში, საინვენტარიზაციო კომისიამ, როგორც ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ჩამოწერა საზოგადოების ბალანსზე რიცხული 101530 კგ სხვადასხვა ზომის ფოლადის მილი და ერთი ტონის ღირებულება განსაზღვრა 40 ლარად.პროკურატურის ინფორმაციით, საზოგადოების დირექტორმა მახაჭაშვილმა შპს "საქნავთობტრანსის" ხელმძღვანელობისაგან გამოითხოვა ნებართვა აღნიშნული მილების რეალიზაციაზე, რათა წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანება ნაწილობრივ დაეფარა. ქონების რეალიზაციიდან შემოსული თანხის ნაწილი მან მიითვისა, დარჩენილი კი მუშა-მოსამსახურეებზე დარღვევით გასცა - საკუთარი სურვილით დააკლო თანხის 30 პროცენტი და როგორც პროკურატურა აცხადებს, დამატებით 45 ათასი ლარი მიითვისა.

2004 წლის 30 სექტემბერს ილია მახაჭაშვილის მიმართ აღიძრა საქმე, გაიცა მისი დაპატიმრების ბრძანება და გამოცხადდა ძებნა. ცოტა ხნის წინათ, ორწლიანი ძებნის შემდეგ, სამართალდამცველებმა ილია მახაჭაშვილი დააკავეს. გორის რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ილია მახაჭაშვილს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. პროკურატურის განცხადებით, შპს "ხაშურის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენი"-ს ქონების მითვისების ფაქტზე აღძრული საქმის გამოძიება გრძელდება.

კიდევ ერთი საქმის გამოძიება, რომელიც პროკურატურამ ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბრალდებით აღძრა, შიდა ქართლის პროკურატურაში მიმდინარეობს. თუმცა, დანაშაულში ბრალდებული ყოფილი მოხელე ძებნილია.

საქმე ისაა, რომ 2006 წლის 8 აგვისტოს, შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში გამოძიება დაიწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელ პირთა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ გივი გაგნიძემ, რომელიც 2001 წლის თებერვლიდან 2004 წლის 3 მაისამდე მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსად, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, არ გამოაცხადა ლიცენზიის გაცემისათვის კონკურსი და არ ჩაატარა აუქციონი.

**"მან უკანონოდ გასცა წიაღით სარგებლობის II კატეგორიის ლიცენზიები შპს "იბოლიაზე", შპს "ევროცემენტზე" და შპს "კასპის საგზაოზე", რის შედეგადაც მოპოვებული იქნა 761900 ლარის ღირებულების წიაღისეული, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,"** - აცხადებენ პროკურატურაში.

რამდენიმე დღის წინათ, პროკურატურამ გივი გაგნიძე ბრალდებულად გამოაცხადა, გორის რაინულმა სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და მასზე გამოცხადდა ძებნა.

*24 საათი*

## ტრეფიკინგის ბრალდებით, დაბა მესტიის "მაყურებელი" დააკავეს

კოდორის ხეობაში ამბოხებული ემზარ კვიციანის წინააღმდეგ ჩატარებული ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სვანეთში ტრეფიკინგის მსხვერპლი რამდენიმე ადამიანი გაათავისუფლა. მათ შორისაა თამაზ ხარებავაც, რომელიც, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ჯაფარიძეების სახლში მიმდინარე წლის მარტიდან ცხოვრობდა და აიძულებდნენ სხვადასხვა სამუშაოები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შეესრულებინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსა და მესტიის შს რაიგანყოფილების თანამშრომლების მიერ ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დაბა მესტიაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ტრეფიკინგის ბრალდებით დააკავეს გარიბალდ ჯაფარიძე, რომელიც სამართალდამცველთა მტკიცებით, დაბა მესტიის ე.წ. "მაყურებელია" და "კანონიერი ქურდების", სპარტაკ და ბესო ჯაფარიძეების მამაა, რომელსაც 2006 წლის 1 მარტიდან 29 აგვისტომდე მოტყუებით ჰყავდა დაქირავებული ქალაქ ფოთში მცხოვრები თამაზ ხარებავა.



*ჯაფარიძის მონობიდან გათავისუფლებულმა სამართალდამცველებს დეტალური ჩვენება მისცა.*

მონობიდან გათავისუფლებულმა თამაზ ხარებავამ სამართალდამცველებს უკვე მისცა დეტალური ჩვენება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხვდა მოტყუებით მესტიაში, გარიბალდ ჯაფარიძის ოჯახში, სადაც მას სხვადასხვა სახის მძიმე სამუშაოებს იძულებით ასრულებინებდნენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

*24 საათი*

## ომბუდსმენს ყოფილი თანამშრომელი უჩივის

სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი თანამშრომელი სოზარ სუბარს საერთაშორისო ორგანიზაციებში უჩივის.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი მთავარი სპეციალისტი ცირა თელოიანი აცხადებს, ის ომბუდსმენს შრომითი უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს. მომჩივანის განმარტებით, ის ომბუდსმენის აპარატში 1998 წლიდან მუშაობდა, ხოლო 2004 წელს, როცა სახალხო დამცველის თანამდებობაზე სოზარ სუბარი დამტკიცდა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ცირა თელოიანის თანამდებობიდან გათავისუფლება მოინდომა.

"სოზარ სუბარმა სამსახურის დატოვება საკუთარი განცხადების საფუძველზე შემომთავაზა, ხოლო როცა უარი მიიღო, 2004 წლის 3 ნოემბერს, N44-ე ბრძანებით აპარატიდან უსაფუძვლოდ დამითხოვა", - აცხადებს თელოიანი. მისივე თქმით, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა, თუმცა თანამდებობაზე აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ამჟამად სოზარ სუბარის მიერ სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული. როგორც თელოიანი აცხადებს, 7-8 სექტემბერს, გერმანიის ქალაქ ბონში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელსაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებების დაცვა და შრომის ომბუდსმენი", "გერმანიის საერთაშორისო ქალთა კოალიცია", "ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე" და სხვა ორგანიზაციების წამომადგენლები ესწრებოდნენ. მისივე თქმით, კონფერენციის დაწყებამდე, მან ღონისძიებაში მონაწილე არასამთავრობოებს ის განცხადება გადასცა, სადაც "საქართველოს სახალხო დამცველს უკანონობაში ამხელს".

"ჩემი პრინციპი არის სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნა სახელმწიფოში. ამისთვის, ქვეყანას უნდა ჰყავდეს კანონმორჩილი სახალხო დამცველი, რომელიც ადამიანის უფლებებს რეალურად დაიცავს", - აცხადებს მომჩივანი.

*ინტერპრესნიუსი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ 8-10 -ით

www.telecom.ge

## უცხოეთი

### სხვენში ათი წლის წინათ გარდაცვლილი ქალის ცხედარი აღმოაჩინეს

რუსეთის ფედერაციაში, ტამბოვში, ერთ-ერთ სახლში აღმოაჩინეს მოხუცებული ქალის ცხედარი. დადგინდა, რომ გარდაცვლილის შვილმა დედის ცხედარი სხვენში დადო და მისი არსებობის შესახებ დაავიწყდა. თითქმის ათი წლის განმავლობაში სახლის მცხოვრებლები ცხედარის შხამით იწამლებოდნენ.

რამდენიმე დღის წინ, 65 წლის ილია კალიმანოვის სახლში მილიცია ბინის მფლობელის დასაკავებლად მივიდა, რადგან იგი ეჭვმიტანილი იყო ქურდობაში.

მილიცია მოპარულ ნივთებსა და ფულს ეძებდა, მაგრამ სხვენში ასულმა სამართალდამცველებმა ბალიშების ქვეშ ქალის ცხედარი აღმოაჩინეს, რომელიც პლედში იყო გახვეული და ზემოდან ცელოფანი ჰქონდა გადაფარებული. მილიციონერების თქმით, ცხედარი გახრწნილი არ იყო.

სამართალდამცველთა შეკითხვაზე კალიმანოვმა უპასუხა, რომ ეს დედამისის მუმია იყო, რომელიც ათი წლის წინ გარდაიცვალა. შვილს დედის ცხედარი პროზექტურიდან დასაკრძალად გამოატანეს. თუმცა, მან დაკრძალვის რიტუალის ჩატარება ზედმეტად მიიჩნია.

"მე თათარი ვარ, ჩვენთან წესი არ არის ცხედრის მიწისთვის მიბარება. ათი წლის წინ დედა სხვენში მოვათავსე და შემდეგ დამავიწყდა", - განაცხადა მან.

### ჟურნალისტები პარიზში თურქმენეთის საელჩოში შეიჭრნენ

არასამთავრობო ორგანიზაციის "ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე" აქტივისტები პარიზში თურქმენეთის საელჩოს შენობაში შეიჭრნენ. აქციაში 20-მდე ადამიანი მონაწილეობდა. ისინი ჟურნალისტ ოღულსაფარ მურადოვას გარდაცვალების გარემოებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ითხოვდნენ.

როგორც "BBC Russian" იუწყება, "რადიო თავისუფლების" ჟურნალისტი ოღულსაფარ მურადოვა თურქმენეთის ციხეში გარდაიცვალა. ციხის ადმინისტრაციის მტკიცებით, მურადოვა საკუთარი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. თუმცა, ამაში ეჭვი შეაქვთ ჟურნალისტის ოჯახის წევრებს და თავად რადიოსადგურს. "რადიო თავისუფლება" წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ მურადოვაზე ზეწოლა ხორციელდებოდა. მას ასევე ასმევდნენ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, რათა მას "ძირგამომთხრელ საქმიანობაში" საკუთარი მონაწილეობა ეღიარებინა.

58 წლის ოღულსაფარ მურადოვა მიდმინარე წლის ივნისში რამდენიმე ადამიანთან ერთად დააკავეს, აგვისტოში კი, იარაღის უკანონო შენახვისთვის ექვსი წლით თავისუფლევბის აღკვეთა მიუსაჯეს.

სასამართლო პროცესი სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მურადოვას ბრალი არ უღიარებია.

### არალეგალ მიგრანტებს კანონის სრული სიმკაცრით დასჯიან

ბელგოროდის ოლქში ბოლო დღეების განმავლობაში მიმდინარე პროფილაქტიკური სპეცოპერაციის დროს, რომელიც უკანონო მიგრანტების გამოვლენას ისახავდა მიზნად, სამართალდამცველება 17 მოქალაქე გამოავლინეს. ძირითადად, ქართველები და აზერბაიჯანელები.

საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, ოპერაციის დროს, ძირითადად, ბაზრისა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილები შემოწმდა.

როგორც სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, გამოვლენილი უკანონო მიგრანტების არსად მუშაობენ. ისინი ძირითადად, ვაჭრობით არიან დაკავებულნი.

"ასეთი ოჯახები განსაკუთრებულ ოპერატიულ ინტერსს იწვევენ, რადგან მათი უმრავლესობა რუსეთში ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს. მათთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ოპერაციის დასრულების შემდეგ მივიღებთ. ამჯერად ეს ადამიანები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან", - განაცხადა ოლქის საემიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ლუდმილა კარპენკომ.

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ნოდარ ლადარია

ერთ დროს მქონდა ჩვეულება, დამესახელებინა კვირის "საკვანძო პუბლიკაცია". დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა ასეთი რამ "24 საათის" ფურცლებზე, მაგრამ 11 სექტემბერს მაინც დაიბეჭდა **დავით დარჩიაშვილის** სტატია *ვარიაციები "რეგნუმის" მიერ გამოქვეყნებული ერთი წერილის თემაზე* — ტექსტი, რომელიც ფიქრს აღძრავს...

როგორც ეტყობა, თვით ავტორსაც აღუძრა ფიქრები ვინმე **არის კაზინიანის** სტატიამ, რომლის გარშემოც ვითარდება ხსენებული "ვარიაციები". იგივე მუსიკალური მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს თემას — სწორედ ვარიაციებშია დარჩიაშვილის წერილის მნიშვნელობა. მოკლედ გადმოვცეთ ავტორის სამი ძირითადი დასკვნა:

**ვარიაცია პირველი**: საქართველო მრავალფეროვანია — ეს არ უნდა იწვევდეს შიშს, უბრალოდ, ამ მრავალფეროვნებას აუცილებლად უნდა მოვუძებნოთ "მოდერნული გამოყენება" და გავათავისუფლოთ საქართველოს ისტორიული წარსულის აღწერა ძველი მითებისაგან. — ამის აუცილებლობას მეც ვგრძნობ და, ვფიქრობ, ყველა მეტ-ნაკლებად გონიერი ადამიანი აღიარებს. შესაძლებელია, ზოგიერთი დარწმუნებული არ იყოს, რომ ამგვარი პროექტი განხორციელებადია, მაგრამ ისინიც უნდა დავამშვიდო: თავის დროზე **შარლ დე გოლი** წუწუნებდა, რომ ძნელია ისეთი ქვეყნის მართვა, სადაც ყველის ორასზე მეტი სახეობაა გავრცელებული, ხოლო ისტორიკოსმა **ფერნან ბროდელმა** ასე დაასათაურა საფრანგეთის ისტორიის პირველი თავი: "მრავალფეროვნება საფრანგეთის სახელია". ამავე დროს, ძნელია სხვა ისეთი ქვეყნის დასახელება, სადაც საერთო ნაციონალური იდენტობა იმდენად ძლიერად იყოს განვითარებული, როგორ საფრანგეთში.

**ვარიაცია მეორე**: ნაციონალიზმი ქვეყნის აღმშენებლობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ, როგორც ყოველგვარი ეფექტური საშუალება, ის თავის თავში შეიცავს დოზის გადამეტების საფრთხეს; ამიტომ ხელისუფლებას კეთილგანწყობილი კრიტიკით უნდა დავეხმაროთ, გამუდმებული ნიშნის მოგებით კი ვერაფერს გავხდებით. — რამდენიმე ხნის წინათ დაკითხვაზე დაიბარეს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი **გოგა ოძელი**, რის გამოც პარტიის ლიდერებმა მოაწყვეს გულისგამგმირავი ბრიფინგი. ამ შემთხვევაში ეს ისტორია კი არ მაინტერესებს, არამედ ტელეკომპანია "იმედის" ინტერპრეტაცია, რომელიც გვაუწყებს, რომ ოძელი დაიბარეს **"საქართველოს არაქართული წარმოშობის მოქალაქის, შაქრო კალაშოვის საქმეზე"**. სახელმწიფოსთან თანამშრომლობა ყოველი ჩვენგანის ვალია და თუ წყნეთის ყოფილ გამგებელს ამის საშუალება მიეცა, ეს ისტერიკის საფუძველი არ უნდა იყოს. გაცილებით უფრო საშიშია "იმედის" ინტერპრეტაციაში გამჟღავნებული ტენდენცია. რატომ? — აბა, ათქმევინეთ საფრანგეთის რომელიმე ტელეარხის წამყვანს ორად-ორი სიტყვა — "ალჟირელი ბანდიტები" — და ნახავთ, რაც მოუვა. ყოველ შემთხვევაში, **ლე პენის** პარტიის აქტივისტთა თავგანწირული ბრიფინგი პასუხისმგებლობისაგან ვერ იხსნის.

**ვარიაცია მესამე**: მენტალობის გარდაქმნა ხანგრძლივი და ევოლუციური პროცესია, ამიტომ სამართლიანობის ყოველგვარ დარღვევაზე, რაც არ უნდა მძიმე იყოს, რადიკალური მოთხოვნების დაყენება კონტრპროდუქტიულია. დიახ, მართალია დავით დარჩიაშვილი, როცა ამბობს, რომ თვით ხელისუფლების კონკრეტული შემადგენლობა არაა თავისუფალი იმ აზროვნებისაგან, რომლის წინააღმდეგ სამოქმედოდაა მოწოდებული. მაგრამ რატომ? სად არის ის მთავარი გარემოება, რომელიც სამივე ამ ვარიაციას აერთიანებს და რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საფუძვლად შეიძლება მოვიყვანოთ, ვიდრე რომელიმე კაზინიანის სტატია?

ჩემი აზრით, ეს ნაკლი ხალხთან დამოკიდებულებაა. ახლავე ავხსნი, რისი თქმაც მსურს.

15 სექტემბერს გამოქვეყნდა **სოფო ბუკიას** სტატია *იანუკოვიჩი — "ნარინჯისფერი" იდეების მესაფლავე*. აქ განხილულია უკრაინის პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომლის თანახმად **"უკრაინა ჯერ არ არის მზად ნატოს წევრობისათვის"**. იანუკოვიჩმა არგუმენტად ის მოიყვანა, რომ ნატოში გაწევრიანებას უკრაინის მოსახლეობის 20 პროცენტზე ნაკლები




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



უჭერს მხარს. ამის შემდეგ "24 საათის" მასალა მოგვითხრობს იმაზე, რომ იანუკოვიჩმა იმედი გაუცრუა უკრაინის ხელისუფლებასა და დასავლეთის მმართველ წრეებს. მართლაც, უკრაინულ პრესაში უწოდეს იანუკოვიჩს "ნარინჯისფერი იდეების მესაფლავე", **იულია ტიმოშენკოს** ბლოკის რომელიღაც წევრმა დაიჩივლა, რომ **"პრემიერ მინისტრის სავარძლის გამო იანუკოვიჩი არა თუ ნატოს წევრობას, არამედ რაღაც კოსმოსურ ჯარებში გაერთიანებასაც მოაწერდა ხელს"**, რომელიღაც გერმანელმა ექსპერტმა დაიქადნა, რომ **"იმ პოლიფონიურ ხმოვანებას, რომელიც უკრაინის საგარეო პოლიტიკაში კუჩმას დროიდან ისმის, ევროპა აღარ მოითმენს"**. ბოლოს და ბოლოს, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პრემიერ-მინისტრის რაღაც კაპრიზთან გვაქვს საქმე. მაგრამ განა ვინმეს ჩივილი ან ქადილი გადასწონის თვით იანუკოვიჩის არგუმენტს, რომ უკრაინელთა 80 პროცენტზე მეტს ნატოში შესვლა არ სურს? ამაოა იმის ყვირილი, რომ ეს ხალხი რუსეთის მიერ მოსყიდული მოღალატეა — მოღალატეს ოთხმოცს კი არა, ოც პროცენტსაც ვერ უწოდებ! აშკარაა, რომ რუსეთმა იმუშავა ამ ადამიანებზე, მაგრამ ესეც ხომ მართალია — ვინც ხალხზე იმუშავებს, ხალხიც მისია. გვიანია თითზე კბენანი.

მაგრამ მხოლოდ ამისთვის არ მომიყვანია უკრაინის მაგალითი. ჩვენ ეს ყველაფერი უკვე მოყვანილ "ვარიაციებს" უნდა დავუკავშიროთ. ამისთვის კი დავსვათ შეკითხვა: საქართველოს მოსახლეობის რამდენ პროცენტს აქვს რეალური ან თუნდაც მცდარი წარმოდგენა იმაზე, რას ნიშნავს ნატოს წევრობა? საქართველოს მოსახლეობა ამ მხრივ არც გათვიცნობიერებულია და არც მოტყუებული. რატომ? — იმიტომ რომ მის აზრს ისედაც არავინ იკითხავს. აი, შემოიღეს თავდაცვის ახალი კონცეფცია — გვკითხა ვინმემ? აინტერესებს ვინმეს, როგორ შეიცვალა ადამიანების პოზიცია ნატოს წევრობის მიმართ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სავალდებულო რეზერვისტობა სწორედ ამასთანაა დაკავშირებული?

გამოდის, რომ დასავლეთის მიმართ ზურგშექცეულ უკრაინაში უფრო მეტი დემოკრატიაა, ვიდრე პროდასავლურ საქართველოში. აი, კიდევ ერთი მაგალითი: 11 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ სააგენტო **ჯიბისის** მიერ მოწოდებულ შემდეგ ინფორმაციას: **"რუსთავში ბინის ფასები სოლიდურად გაიზარდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა განუცხადა. მელიქიშვილის განმარტებით, რუსთავში საცხოვრებელ ბინებზე ფასების ზრდა რუსთავში გზების მშენებლობამ გამოიწვია. თუ ორი-სამი წლის წინ 2-3 სართულიან ბინას ფასი არ ჰქონდა და 500-600 დოლარად იყიდებოდა, ჩვენი მონაცემებით, წელს უკვე ანალოგიურ ადგილას 2-3 ოთახიანი ბინის შეძენის მიზნით ბანკებმა 10-12000 დოლარამდე კრედიტები გასცეს"**. ერთი წამით დავდგეთ ბ-ნ მელიქიშვილის მხარეზე და ვივარაუდოთ, რომ "სამსართულიანი ბინა" კორექტურაა და იქაც ოთახი უნდა ეწეროს. მაინც გამოდის, რომ ფასები საშუალოდ ოცჯერ გაიზარდა. ახლა კი ერთხელ კიდევ ვნახოთ ამგვარი ზრდის ახსნა: **"მელიქიშვილის განმარტებით ... ფასების ზრდა რუსთავში გზების მშენებლობამ გამოიწვია"**. ერიჰა! — მადლობა ღმერთს, მიზეზად ფასადების შეღებვას არ ასახელებს. თუ ამ კაცს თვითონ სჯერა ასეთი რამის, რატომაა აქამდე პრეზიდენტის რწმუნებული? და თუ თვითონ არ სჯერა, არამედ ჩვენ გვიყურებს როგორც იდიოტებს, მაინც რატომაა აქამდე პრეზიდენტის რწმუნებული? პასუხის საძებნელად შორს წასვლა არ დაგვჭირდება...

ამისათვის კი უნდა უარვყოთ ის დებულება, თითქოს საქართველოში ხალხზე არავინ მუშაობს. მუშაობენ, მაგრამ როგორ?

გლდანში პარკის გახსნაზე პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** გვახარა, რომ პატიოსან და სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს. თუმცა არგუმენტაცია აქაც მეტად ნიშანდობლივი იყო: თურმე სამართლიან არჩევნებს იმიტომ ჩაატარებს, რომ სჯერა, ჩვენ სწორ არჩევანს გავაკეთებთ! დავანებოთ თავი იმას, რომ უხერხულია "სწორ არჩევანზე" საუბარი ასე უაპელაციოდ, თითქოს ეს არჩევანი ისევე არსებობს, როგორც ლენინის მატერია — ჩვენი შეგრძნებებისგან და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ობიექტურად მხოლოდ იმაზე შეიძლება ლაპარაკი, იქნება თუ არა ეს არჩევანი თავისუფალი ან შებოჭილი. მაგრამ ესეც არაა იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც შემდეგი გარემოება: სააკაშვილმა ისე ააგო წინადადება, რომ ვერაფერი უშლის ხელს შემდეგი კითხვის გაჩენას — რაო, გამარჯვებაში დარწმუნებული რომ არ იყო, გააყალბებდი არჩევნებს?

კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ მოყვანილი მაგალითები: ჟურნალისტი, რომელიც არ აანალიზებს ფაქტებს, არამედ გერმანელი ექსპერტის ზურგსუკან იმალება, პრეზიდენტის რწმუნებული, რომელიც უპასუხისმგებლოდ ჟონგლირებს ფაქტებით, თვით პრეზიდენტი, რომელიც ოდნავადაც არ ზრუნავს სიტყვების აზრიან დალაგებაზე. ეს ყველაფერი არ იქნებოდა, რომ არა ჩვენში გამეფებული დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, იმათ მიმართ, ვისაც პირზე ააფარეს სიტყვა "მოსახლეობა". სწორედ ამ ვითარებაშია შესაძლებელი, რომ **გიგი უგულავა** თბილისის ბიუჯეტში ჩვენს მიერ შეტანილ 15000 ლარს ჩუქნიდეს სპორტსმენს ლამის თავისი და არა ჩვენი სახელით, ხოლო საუკეთესო ყინულის ასევე ჩვენი ფულით დაგების ღვაწლი ლამის უპირობოდ მიეწეროს **კობა სუბელიანს**.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აზრის გამოთქმის ფორმაა, მაგრამ ამით ვითარება არ მსუბუქდება. არავისი სახელი და გვარი არ უნდა იქცეს ადამიანების დიდი ან თუნდაც მცირე ერთობის გამომხატველ სიმბოლოდ — აქედან ერთი ნაბიჯია ფეოდალიზმის რესტავრაციის იმ საშიშროებამდე, რომელზედაც თავის სტატიაში ლაპარაკობს დავით დარჩიაშვილი. თბილისი იმდენადვე არაა გიგი უგულავა, რამდენადაც არც კობა დავითაშვილი ან გოგი თოფაძეა. სამწუხაროდ, ფეოდალიზმის გარდა ამგვარ მსოფლმხედველობას საქართველოში კიდევ ერთი მძლავრი საყრდენი ჰქონდა (პარტია — ლენინი, ლენინი — პარტია), დღეს კი ერთნი როყიოდ აცხადებენ — მე მაქვს ამბიცია! — მეორენი კი ისტერიულად წივიან, ჩვენს მხარესაა სამართალიო.

ყოველივე ზემოთქმულის შესაჯამებლად უნდა ვაღიაროთ, რომ დარჩიაშვილის "ვარიაციებსა" და მათით შთაგონებულ ჩემს მსჯელობაში გამოთქმული მოსაზრებები ერთ წერტილში იკრიბება: საქართველოში ადამიანები უსახურ მასად, ერთგვარ ფარად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ყველა ხალისით გვიამბობს ხალხზე თავისი **ზრუნვის** შესახებ, მაგრამ ხმამაღლა არავის წამოსცდება, თუნდაც ტყუილი იყოს, რომ ხალხს **ემსახურება**.

# არაფრისმთქმელი რეფერენდუმი

პირველი გვერდიდან

**"1. მხარს უჭერთ თუ არა დნესტრისპირეთს მოლდოვური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და რუსეთთან შემდგომი თავისუფალი შეერთების კურსს?"; "2. მიიჩნევთ თუ არა შესაძლებლად უარის თქმას დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის დამოუკიდებლობაზე და მის შემდგომ შესვლას მოლდოვას რესპუბლიკის შემადგენლობაში?"**, - არჩევანი ტრანსნისტრიის მცხოვრებლებს ბიულეტენში მითითებულ ამ ორ კითხვას შორის უნდა გაეკეთებინათ. ეჭვი არავის ეპარება, რომ ადგილობრივ ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს პირველ ვარიანტს - "დამოუკიდებლობას" და "რუსეთთან თავისუფალ შეერთებას", დაუჭერს.

რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ 12 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად დანიშნა. აქ კითხვის შინაარსი ოდნავ განსხვავებულია: **"თანახმა ხართ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთმა შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დღევანდელი სტატუსი და აღიარებულ იქნეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ?"**

მართალია, ანალოგიური შინაარსის რეფერენდუმები და პლებისციტები თვითაღიარებულ სახელმწიფოებში უკვე არაერთხელ ჩატარდა, მაგრამ დე-ფაქტო ხელისუფლებებმა მსოფლიოსთვის მომავლის საკუთარი ხედვის კიდევ ერთხელ შეხსენება გადაწყვიტეს. ამისკენ გარკვეულწილად მათ ოფიციალურმა მოსკოვმაც უბიძგა - როგორც პრეზიდენტმა პუტინმა, ასევე საგარეო უწყებამ ბოლო დროს არაერთხელ მიანიშნეს კონფლიქტების "ხალხის ნების გათვალისწინებით" მოწესრიგების აუცილებლობაზე.

**"მოლდოვას ხელისუფლებამ სახელმწიფოს მშვიდობიანი გაერთიანების პოლიტიკა ცივი გონებით და მშვიდად უნდა განაგრძოს"**, - ასეთი განცხადება გააკეთა მოლდოვას პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა ტრანსნისტრიაში ჩატარებული რეფერენდუმის კომენტირებისას.

**"შოუ სახელწოდებით "რეფერენდუმი დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის შესახებ" მოსკოვის მარიონეტების მიერ, კრემლის მითითებითაა ინსცენირებული"**, - აცხადებს მოლდოველი პოლიტოლოგი ოაზუ ნანტოი. მისი თქმით, **"საუბარიც არ შეიძლება რაიმე იურიდიულ შედეგებზე"**. ნანტოი მიიჩნევს, რომ ამ აქციას რუსეთი მოლდოვაზე ზეწოლისათვის გამოიყენებს.

სერიოზულ გარღვევას თვითგამოცხადებული სახელმწიფოების საერთაშორისო აღიარების საკითხში არც მოსკოვში ელიან, თუმცა იმედი აქვთ, რომ მსოფლიოში ამ რეფერენდუმების შედეგებს უყურადღებოდ ვერ დატოვებენ. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინ კოსაჩევის აზრით, **"ნათელია, რომ, ჯერჯერობით, რეფერენდუმების პროგნოზირებადი შედეგები საერთაშორისო აღიარების კუთხით სიტუაციას კარდინალურად ვერ შეცვლის. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შემდგომ დისკუსიებში მსოფლიო თანამეგობრობა იგნორირებას ვერ გაუწევს"**.

მსოფლიო თანამეგობრობის აზრი, გარკვეულწილად, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენელმა პიტერ სემნებიმ დააფიქსირა - **"სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმის შედეგებს ევროკავშირისათვის მნიშვნელობა არ ექნება"**. მან აღნიშნა, რომ ეს რეფერენდუმი კონფლიქტის მოგვარებას ხელს არ შეუწყობს.



*"რეფერენდუმების აღლუმის" უკან რუსეთის რეაქციული ძალები დგანან.*

**"ევროკავშირმა უკვე დააფიქსირა საკუთარი აზრი და ცნობს საქართველოს ტეროტორიულ მთლიანობას"**, - განაცხადა დიპლომატმა.

გერმანელი ექსპერტის, მიუნჰენის უნივერსიტეტის გამოყენებითი პოლიტოლოგიის ცენტრის წარმომადგენლის ირის კემპეს აზრით, გუშინდელ რეფერენდუმს ტრანსნისტრიაში, შედეგების მიუხედავად, **"დიდი მნიშვნელობა არ ექნება რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ის ტარდება ფაქტობრივად არარსებულ, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაღიარებულ სახელმწიფოში და მომზადებულია მთავრობის მიერ, რომელსაც საერთაშორისო ლეგიტიმაცია არ გააჩნია. გარდა ამისა, თავად კითხვები არაკორექტულად არის ჩამოყალიბებული. ფაქტობრივად, მონაწილეებს ხელისუფლებისათვის მისაღებ პასუხს კარნახობენ"**.

ამასთან ერთად, ექსპერტის აზრით, თავად ხმის მიცემის პროცედურის კონტროლი რთულია, ამიტომაც ევროპელებს საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რამდენად ასახავს ოფიციალური შედეგები მოსახლეობის რეალურ აზრს. მით უმეტეს, რომ რეფერენდუმისთვის მზადებას თან ახლდა მასობრივი საინფორმაციო კამპანია ხელისუფლების მხრიდან.

**"რეფერენდუმები დნესტრისპირეთსა და სახრეთ ოსეთში რუსეთის ხელისუფლების ინიციატივა არ არის"**, - აღნიშნავს "24 საათთან" საუბარში პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი მარკედონოვი. მისი თქმით, ტრანსნისტრიაში აქამდე, მოსკოვის ჩაურევლად, უკვე ექვსი ანალოგიური რეფერენდუმი ჩატარდა.

მისი აზრით, რეფერენდუმს დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ამ რეგიონის შიდა პოლიტიკისთვის. დეკემბერში იქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და მოქმედი პრეზიდენტი იგორ სმირნოვი, როგორც დამოუკიდებლობის იდეის გამტარებელი, ამ გზით ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებას ფიქრობს.

სერგეი მარკედონოვის აზრით, ცხინვალის რეფერენდუმის წინ ვითარების ესკალაციაა მოსალოდნელი, ვინაიდან **"საქართველო სამხრეთ ოსეთს სუსტ რგოლად მიიჩნევს"** და შეეცდება რეფერენდუმის ჩატარებას ხელი შეუშალოს. ამავდროულად, ექსპერტი გამორიცხავს რაიმე გართულებას მოლდოვას მხრიდან.

**"ამ რეფერენდუმებს არავითარი სამართლებრივი შედეგი არ ექნება. მეეჭვება, პუტინი გამოვიდეს მეორე დღეს და დნესტრისპირეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გამოაცხადოს"**, - აღნიშნავს მარკედონოვი.

მისი აზრით, ამ აქციებს არც განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება, გარდა იმისა, რომ რუსეთი საკუთარი სტრატეგიული ინტერესების ზონებს კიდევ ერთხელ დააფიქსირებს.

**"რეფერენდუმებს გარკვეული იდეოლოგიური დატვირთვა ექნება. ეს იქნება იმის მინიშნება, რომ თვითაღიარებული სახელმწიფოები არ განიხილებოდეს რუსეთის მიერ შექმნილ მოვლენად. და რომ მათი სწრაფვა დამოუკიდებლობისათვის შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ამისთვის სერიოზული მიზეზები არსებობს"**, - აცხადებს მარკედონოვი. მის თქმით, რეფერენდუმის შემდეგ ოფიციალური მოსკოვი განაცხადებს, რომ ხალხის ნების გათვალისწინება აუცილებელია.

ტრანსნისტრიაში რუსეთის გააქტიურების ფონზე, კონფლიქტის დარეგულირებაში ევროკავშირი და ნატო ჩაერთვნენ. მათი ზეწოლა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და მოსკოვზე გაცილებით კატეგორიულია, ვიდრე საქართველოს შემთხვევაში. თუმცა, როგორც ახალჩატარებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რუსეთი პოზიციების დათმობას არ აპირებს და ამისთვის ახალ კოზირებს ეძებს.

# კახეთში საარჩევნო დაპირისპირება კულმინაციას აღწევს

პირველი გვერდიდან

და კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკური ამის გამო კანონდარღვევით ცდილობდა "ლეიბორისტების" წევრის "კონსერვატორების" სახელით არჩევნებში მონაწილეობას იმ დროს, როცა რეგისტრაციის პროცესი კანონით დასრულებული იყო. ამ ფაქტს "ლეიბორისტი" დავით ალუღიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: **"ნუგზარ შაინიძე არჩევნებზე ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" სიით რომ გასულიყო ხელს უწყობდა "კონსერვატორებს" საოლქო კომისიის თავმჯდომარე, რადგან ოპოზიციურ ბლოკს კანდიდატი აკლდა, რის გამოც, შესაძლებელი იყო რესპუბლიკელები და კონსერვატორები დედოფლისწყაროში თვითმმართველობის არჩევნებს ჩამოსცილებოდნენ. საოლქო კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკური მდივანს აიძულებდა, რომ 13 სექტემბერს, ჩვენი პარტიის წევრი, რომელიც საარჩევნო კომისიაშიც ზის, კანდიდატთა სიაში კონსერვატორების სახელით გაეტარებინა და სოფელ ფიროსმანში ეყარა კენჭი. სწორედ ამის გამო, კანონიერად მოვითხოვდით, რომ "ხიდაშელი-დავითაშვილი-ბერძენიშვილის" ბლოკისთვის რეგისტრაცია შეეწყვიტა,"** - აღიარებს ლეიბორისტი დავით ალუღიშვილი.

ის, რომ ადგილი ჰქონდა დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის გარიგებას ოპოზიციურ ბლოკთან, კატეგორიულად უარყოფს "კონსერვატორების" რიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შოთა ჯამასპაშვილი. მისი აზრით, **"ჩვენ არ ვიცოდით, რომ ნუგზარ შაინიძე, რომლის გამოც ატყდა ეს ყველაფერი, "ლეიბორისტებში" იყო. თუ რამე შეცდომას ვუშვებდით, "ლეიბორისტები" საჩივრით კი არ უნდა გაქცეულიყვნენ საოლქოში, მათ ჩვენთვის უნდა აეხსნათ რეალობა. აქედან გამომდინარე, მე მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ როცა ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს გვერდში არ უდგანან, შესაძლოა, თავადვე იყვნენ ხელისუფლებასთან რაიმე გარიგებაში"**.

საგულისხმოა, რომ 11 სექტემბერს ცესკომ ახალი დადგენილება მიიღო, რომლის საფუძველზეც, არჩევნებში სიებით მონაწილეობა პარტიებს იმ შემთხვევაშიც შეუძლიათ, თუ მათ 8 წევრი მაინც ჰყავთ წარდგენილი. აქედან გამომდინარე, დავით ბუჩუკურისთვის გაურკვეველია ლეიბორისტების ბრალდებები და ამბობს, რომ **"ახალი საარჩევნო კანონმდებლობა საფუძველს იძლევა, პარტია, რვაკაციანი სიაც რომ ჰქონდეს წარმოდგენილი, რეგისტრაციაში გავატარო. ლეიბორისტების ბრალდებები კი მხოლოდ ცილისწამებაა,"** - აცხადებს დედოფლისწყაროს N14 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე და იქვე აღნიშნავს, რომ თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, სასამართლოს მიმართოს.

# საქართველო მოლოდინის რეჟიმში

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე უპრეცედენტოს უწოდებს 19 სექტემბერს დაგეგმილ გაეროს გენერალური ანსამბლეის სხდომას, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის თაობაზე სიტყვით გამოვა.

გაბაშვილის თქმით, გაერო პირველად იხილავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონებში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების საკითხს და მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში გაერომ სუამის მოთხოვნით შეიტანა.

"ვიმედოვნებ, რომ ამ სხდომის შემდეგ, რეალურად დაიწყება კონფლიქტის ზონებში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების ფორმატის შეცვლაზე მუშაობა", - ამბობს საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი.

მისივე განმარტებით, საქართველოსთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია გაეროს შესაბამისი რეზოლუციები და "იმის თქმა არ შეიძლება, თითქოს გაეროში საკითხის დაყენებას აზრი არ აქვს. გაერომ მრავალჯერ მიიღო ისეთი რეზოლუცია, რომლითაც დადასტურდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რაც საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვანია".

*მედიანიუსი*

# ბენზინი პოლიტიკურ და ნათესაურ ჭრილში

*საქართველოს მოსახლეობა ბენზინზე არსებული მაღალი ფასებით შეწუხებულია, თუმცა ოპოზიციის აზრით, მას ყოფნის ბენზინიც და მოხერხებაც საიმისოდ, რათა ნავთობის მაფიასთან კავშირში "მხილებულ ხელისუფლებას", პროტესტის ნიშნად, "სიგნალი მისცეს" - "სიგნალი" პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.*

ვერიკო თევზაძე

"დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბლოკის წარმომადგენლებმა გუშინ ზოოპარკთან მდებარე კომპანია "ვისოლის" ბენზინგასამართ სადგურთან პრესკონფერენცია ჩაატარეს და ხელისუფლება ნავთობპროდუქტებზე მაღალი ფასის ხელოვნურ ზრდაში ამხილეს.

დღეს, სავარაუდოდ, თბილისელი მძღოლები ყურად იღებენ ბლოკის წევრთა თხოვნას და პირველ საათზე ხელისუფლების ყურთასმენას მანქანის საყვირებით შეაწუხებენ.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის და კონსერვატიული პარტის თავმჯდომარის, კობა დავითაშვილის განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფება ჩვენს ქვეყანაზე არ ვრცელდება და ეს პრობლემა უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილის სახელს უკავშირდება.

გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის კობა დავითაშვილის ინფორმაციით, ხელისუფლება საწვავის სფეროს აკონტროლებს, რასაც შედეგად ბენზინზე ფასების ხელოვნური ზრდა მოჰყვება.

ნავთობის მაფიის უკან დგას მიხეილ სააკაშვილის ძმა, დათო სააკაშვილი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობმიმწოდებელს საქართველოში "კანარგოს", - აღნიშნავს საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი თინა ხიდაშელი. მისი აზრით, საწვავზე მაღალი ფასის შენარჩუნებას ხელისუფლების მხრიდან "ბენზომამებზე" განხორციელებულმა რეკეტმა შეუწყო ხელი. თინა ხიდაშელის თქმით, პოლიციის უფროსის, დავით კეზერაშვილის კაბინეტში "ბენზომამები" აიძულეს, ზამთარში ხელისუფლებისათვის ბენზინი "ეჩუქებინათ".

გუშინდელი პრესკონფერენციის ორგანიზატორთა განცხადებით, ბოლო ათი დღის განმავლობაში, ხელისუფლებამ, საწვავზე ფასის ხელოვნური ზრდით, 7 მილიონი ლარი მოიგო.

# სწავლა დაიწყო

*დღეს სწავლა დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, გუშინ განათლების სამინისტროში 117 დასახელების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა, ხოლო თავისუფლების მოედანზე სასკოლო ავტობუსების "აღლუმი" შედგა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია დაესწრნენ.*

სახელმძღვანელოების პრეზენტაცია, გამომცემლებთან, რედაქტორებთან და პედაგოგებთან ერთად, გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ჯგუფის ხელმძღვანელმა, სიმონ ჯანაშიამ გამართა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქვეყანაში პირველად არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სახელმძღვანელოები შეიქმნა. მისი თქმით, 2006-2007 სასწავლო წელს საქართველოს მასშტაბით 100 საპილოტე სკოლაში მეორე, მერვე და მეთერთმეტერთე კლასებში დაიწყება ახალი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო გეგმის პილოტირება. შედეგების გათვალისწინებით კი, მომავალ წელს ამ კლასების სახელმძღვანელოები გამოიცემა, ყველა საჯარო სკოლისთვის.

პირველი, მეშვიდე და მეათე კლასის ყველა სახელმძღვანელოს თან ერთვის მასწავლებლის მეთოდური მითითებები, რომელიც პედაგოგებს წიგნის გამოყენებაში დაეხმარება. ახალ სახელმძღვანელოებში სიახლე ისაა, რომ, ყოველი მოსწავლის სახელმძღვანელოს მასწავლებლის მეთოდური მითითებები აქვს.

სახელმძღვანელოებში გათვალისწინებულია მოსწავლეების ასაკობრივი შესაძლებლობები, უახლესი პედაგოგიური მეთოდოლოგია და მეცნიერების უახლესი მიღწევები. გაუმჯობესებულია სახელმძღვანელოების დიზაინი. წიგნების უმეტესობა გამოცდილია სხვადასხვა რაიონის სკოლაში. მათი შედგენისას გაითვალისწინეს პრაქტიკოს მასწავლებელთა რეკომენდაციები. სახელმძღვანელოები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის პროექტ "ილია ჭავჭავაძესთან" აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა.

სასკოლო განათლებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი რედაქცია და საგნობრივი პროგრამები I-XII კლასებისთვის 2004 წელს შეიქმნა. რაც შეეხება სახელმწიფო სიმბოლიკით მოხატულ ავტობუსებს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, განაცხადა, რომ ПАЗ 3206-ის მარკის 28 ავტობუსი, რეგიონების სკოლებს მოემსახურება. წლის ბოლომდე, მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში სოფლის სკოლებს 50 სასკოლო ავტობუსი გადაეცემა, რომელიც სოფლის მოსწავლეებს სკოლამდე მისვლას გაუადვილებს. ამისათვის ბიუჯეტიდან 2 040 720 ლარია გამოყოფილი.

*24 საათი*

# პუტინი "დიდი რვიანის" ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეებს შეხვდა

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სოჭში "დიდი რვიანის" ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეებს შეხვდა.

სოჭში ჩავიდნენ აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და იაპონიის პარლამენტის სპიკერები. შეხვედრას არ ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთისა და კანადის წარმომადგენლები.

"საპარლამენტო რვიანის" წარმომადგენლებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, ერთობლივი შეხვედრა გაემართათ "დიდი რვიანის" თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტთან.

რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარის ბორის გრიზლოვის ინფორმაციით, შეხვედრისას პარლამენტის თავმჯდომარეებმა ვლადიმირ პუტინს უამბეს სანკტ-პეტერბურგში "დიდი რვიანის" წევრი ქვეყნების პარლამენტთა თავმჯდომარეების შეხვედრაზე განხილული თემების შესახებ.

კერძოდ, მსოფლიოში ახალი საფრთხეების წარმოშობის გამო, საერთაშორისო სამართლის გადახედვის საკითხზე, ასევე გლობალური ენერგეტიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფის თემაზე გამართული დისკუსიის შესახებ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ძლიერი შეტევა საგარეო ფრონტზე

პირველი გვერდიდან

**- გაერო-ში რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, გენერალური ასამბლეის სხდომის დღის წესრიგში "გაყინული კანფლიქტების" საკითხის შეტანა მოხერხდა. ასამბლეის სხდომაზე გამოსვლას საქართველოს პრეზიდენტი გეგმავს. რა მნიშვნელობა ექნება ამ ფაქტს კონფლიქტების დარეგულირებისათვის?**

- უკანასკნელი პერიოდში, განსაკუთრებით, უკანასკნელი კვირაში, სახეზეა საქართველოს საკმაოდ ძლიერი შეტევა საგარეო პოლიტიკის ფრონტზე. ეს არის კონფლიქტების მოწესრიგების ფრონტზე ინიციატივის ხელში აღების მცდელობა. ნაწილობრივ, ვფიქრობ, ეს მიღწეულია, და არა მხოლოდ გაეროში.

გაერო-ში ასეთი საკითხების გატანა საერთოდ ძალიან ძნელია. რუსეთი უშიშროების საბჭოს წევრია და, ფაქტობრივად, დღემდე თუ რაიმე კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხი გაერო-ში "ჩაიძირა", ეს სწორედ მის გამო მოხდა. გაერო ისეთივე პოლიტიკური ასპარეზია, როგორც მთელი მსოფლიო. გაერო-შიც ისეთივე ბრძოლაა, ზოგჯერ კიდევ უფრო დაუნდობელი და არაეთიკური. იქ ბევრ რამეს ვაჭრობა წყვეტს - ეს რეალობაა. სანამ ძალა, ეკონომიკური პოტენციალი ძალიან ბევრ რამეს წყვეტს, იქამდე ასე იქნება. ყველა ქვეყანა იბრძვის გადარჩენისთვის და უკეთესი პოზიციისთვის. ამიტომ, ვინმეს რატომ უნდა ჰქონდეს სენტიმენტები საქართველოს მიმართ? ჩვენ თვითონ უნდა ვდარდობდეთ ჩვენს პრობლემებზე და ვიბრძოდეთ გადარჩენისათვის. სხვები დაგეხმარებიან, რამდენადაც ეს მათ სჭირდებათ. ეს არის კანონი, საერთაშორისო პოლიტიკის ნორმები და ჩვენ ამას ნელ-ნელა ვეჩვევით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა.

ჩვენს საზოგადოებაში დაბუდებულია იდეალისტური წარმოდგენა პოლიტიკაზე, თითქოს იქ ეთიკური და ზნეობრივი ნორმები ჭრის. რა თქმა უნდა, ჭრის, როცა ეს ვინმეს სჭირდება. თუმცა, აქ მთლად უზნეობაც არ არის, გარკვეული ნორმები უნდა იყოს დაცული. ზოგიერთი ნორმა აქედან დაცული არ არის, რადგან ყველა ფიქრობს "საბანი თავისკენ გადაწიოს".

ბოლო ერთი კვირა იყო საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, რომ ეს ინიციატივა ხელში ჩაეგდო და გაეღვიძებინა დასავლეთის საზოგადოება, ეჩვენებინა, რომ ამ კონფლიქტებზე მსჯელობა საჭიროა.

გარდა ამისა, ასეთი სამუშაო ევროპის ფრონტზეც მიმდინარეობს. ამას მოწმობს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრები, პრეზიდენტის ხშირი გასვლები.

ეს ვიზიტები ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის თვალში ხშირად ჩანს, როგორც გასართობი. მაგრამ ასეთი გულუბრყვილო შეხედულება პრეზიდენტის მოგზაურობებზე არ უნდა გვქონდეს. ეს არის პატარა ქვეყნის ხელმძღვანელობის ბრძოლა იმისათვის, რომ რაღაც პოზიციებს მიაღწიოს.

ახლა პრეზიდენტი ხვდება ბუშს. რამდენი ქვეყნის ხელმძღვანელს ხვდება აშშ-ის პრეზიდენტი ასე ხშირად? რა განსაკუთრებული სიყვარული აქვთ მათ ერთმანეთის? რა თქმა უნდა, აშშ-ს მოსწონს საქართველოს დემოკრატიისკენ სწრაფვა. მაგრამ, ამავე დროს, აშკარა გახდა, რომ გაძლიერებული რუსეთი ლამობს თავისი ინტერესების მიღწევას იმ ნორმების იგნორირებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოქმედებს დღეს. და, ამ შემთხვევაში საქართველოს მხარეს სიმართლე დგას. ამ სიმართლეს კი პრაგმატული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის.

თუმცა, ყველა საკითხში აშშ საქართველოს აშკარად მხარს ვერ დაუჭერს. რუსეთი ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა. როცა გაზის და ნავთობის ყულფი გაქვს ჩამოცმული, ბუნებრივია, ანგარიშს გაუწევ. რუსეთსაც აქვს უზარმაზარი პრობლემები და უზარმაზარი ინერცია. ჩვენ რუსეთის ქმედებებზე ხშირად ისტერიული რეაქცია გვაქვს. მაგრამ თვითონ რუსეთიც ზოგჯერ უზომოდ ღიზიანდება. ეს არის პოსტსაბჭოური, პოსტიმპერიული სინდრომი, რომლის განკურნებას დიდი ხანი დასჭირდება - სანამ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა უნივერსალური ფასეულობების მომხრე არ გახდა, სანამ სხვანაირად შეაფასებს საერთაშორისო პირობებს, თავის მეზობლების საზიანოდ არ გააკეთებს ბევრ რამეს, ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ ინტერესებს კარგად გაარჩევს, როგორც ბევრი ამას ახერხებს საერთაშორისო ასპარეზზე, ვფიქრობ დიდი პრობლემები გვექნება. ჩვენი, ხანდახან ძალიან ემოციური, რეაქციაც გასაგებია.

დასავლელი ექსპერტებისთვის და პოლიტიკოსებისთვის, სანამ ისინი საქართველოში ჩამოვლენ, საქართველოს პრობლემები მაინც არის რაღაც აბსტრაქტული. როგორც კი ჩამოვლენ, კონფლიქტის ზონებს მოინახულებენ, დაელაპარაკებიან ყველა მხარეს, ისინი ხედავენ, რომ ეს კონფლიქტები, ვითარება, რომელშიც საქართველო იმყოფება, მიუღებელია საერთაშორისო საზოგადოებისათვის. რომ ეს არა მარტო საქართველოს განვითარებას უშლის ხელს, არამედ მათთვისაც ძალიან საშიშია. ამიტომაც არის, რომ ეს გამოღვიძება ხდება, მაგრამ ნელა.

ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომ აშშ-ს დახმარებასთან ერთად გაიზარდოს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა. დღეს ევროპის ზოგიერთი ქვეყანა სრულიად გვიჭერს მხარს, ზოგიერთი ნაკლებად. ეს იმიტომ არ ხდება, რომ ვიღაც ცუდია და ვიღაც კარგი. უბრალოდ ვიღაცას ერთი ისტორიული მეხსიერება აქვს, ვიღაცას - განსხვავებული. ვიღაცას აქვს დღევანდელი ინტერესი - გაათბოს და ენერგიით უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეები. არის ძველი ვალები, ძველი კონტაქტები, რაღაც ვალდებულებები. ქვეყნები ერთმანეთს ევაჭრებიან.

ჩვენ ძალიან ნელა, მაგრამ ვაგნებთ საკუთარ ინტერესებს. ეს არის ისტორიული გამოცდილება. ჩვენ სულ 15 წლის დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, და ასე ვხმაურობთ. ეს კარგი ცხოვრების გამო არ არის, მაგრამ თავისთავად ძალიან საყურადღებოა. ჩვენ გვეზრდება დიპლომატიური კადრები, პოლიტიკოსები. მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც ძალიან სწრაფად უნდა ისწავლოს და მგონი ზოგიერთი ახერხებს კიდეც. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი სახელმწიფო ყალიბდება, ფეხზე დგება და, რაც მთავარია, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მენტალურ რუკაში ჩვენთვის სასურველ ადგილს ვიმკვიდრებთ.

ჩვენ ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ იმათ მენტალობაში, ვინც ახლა მსოფლიოში გადაწყვეტილებებს იღებს, საქართველომ კონკრეტული სახე და კონტურები შეიძინოს. რომ მათ კარგად იცოდნენ ჩვენი პრობლემები და მათი სწორად გააზრება შეეძლოთ, თუნდაც თავიანთი ინტრესებიდან გამომდინარე. ახლა ეს პროცესი მიმდინარეობს. ხელისუფლება ამისთვის ძალიან ბევრს აკეთებს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ხორციელდება საჭირო რესურსების უკმარისობის პირობებში.

როდესაც დრო არ იცდის და ასეთი პრობლემები გაქვს, მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან დედაქალაქში უნდა გყავდეს გაგზავნილი შენი ხალხი, რომელიც მუდმივად იბრძოლებს და ქვეყანას ლობირებას გაუწევს. საელჩოები საკმარისი არ არის. იმ ქვეყნებში ბევრი მომხრეები უნდა გაიჩინო. ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს - მომხრეებსაც ვიძენთ, ლობირებასაც ვსწავლობთ, მაგრამ ეს რესურსი ჯერ არ არის საკმარისი.

პრეზიდენტის ხშირი გამგზავრებებიც სწორედ ამის მაჩვენებელია. ამ ფუნქციის შესრულება მას თავად უხდება. ვისაც სააკაშვილის უცხოეთში გამოსვლები უნახავს და დასწრებია ამ მუშაობას, დამეთანხმება. თავისი ქვეყნის სატკივარის თქმაში, საქართველოს



ალექსანდრე რონდელი.

პოპულარიზაციაში ბადალი არ ყავს.

ცუდია, რომ საქართველოში სულ რამდენიმე პოლიტიკოსია, რომელიც ამ ლობირებას ახერხებს. [illegible] კულ ვითარებაში.

**- როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ქმედებებს იგორ გიორგაძის მიმხრეების წინააღმდეგ?**

[illegible]

**- მოლაპარაკებები კოსოვოს სტატუსის შესახებ გრძელდება. თქვენი აზრით, რა შედეგს გამოიღებს ეს მოლაპარაკებები და რა გავლენას მოახდენს ეს საკითხი საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე?**

[illegible]

**- გასულ კვირაში უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინა "ჯერ არ არის მზად ნატოს წევრობისათვის". ნიშნავს თუ არა ეს უკრაინის პროდასავლური კურსის ძირეულ ცვლილებას, თუ უბრალოდ ტაქტიკური ნაბიჯია? როგორ იმოქმედებს ეს ფაქტი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებზე?**

[illegible]

# რა ელის უკრაინის "ევროპულ არჩევანს"

## პარალელები საქართველოსთან

### ცივილიზაციური დოქტრინა

1994 წელს უკრაინაში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა, **"ცივილიზაციათა შეჯახების"** ცნობილი ავტორის **სამუელ ჰანტინგტონის** აზრით, დაადასტურა ქვეყნის დრამატული "გახლეჩა" ორ შეურიგებელ ნაწილად. აღმოსავლეთ რეგიონები კუჩმას უჭერდნენ მხარს, ხოლო დასავლეთის რეგიონები ლეონიდ კრავჩუკის გაპრეზიდენტებას ცდილობდნენ. ქვეყნის ამ ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ბანაკად დაყოფას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. საკმარისია იხილოთ **უილიამ უოლესის** დასავლეთ და აღმოსავლეთ საქრისტიანოთა გამყოფი ხაზი, რომელიც ისეთ ქვეყნებზე გადის, როგორიცაა ბელარუსი, უკრაინა, რუმინეთი და სერბეთი, მიხვდებით, რომ საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც "ნარინჯისფერი" რევოლუციის დღეებში გვეგონა. ბოლო თვეების მანძილზე უკრაინის "ვესტერნიზაციას" დარტყმა რამდენჯერმე მიაყენეს: პირველი მაშინ, როდესაც ნატო-ს საკითხთან დაკავშირებით არაოფიციალური პლებისციტის მონაცემები გავრცელდა. ამ მონაცემებმა უკრაინაში "ნატო-სკეპტიკოსები" უმრავლესობაში მოაქცია; ხოლო შემდგომ, უმაღლესი რადას არჩევნებმა გვიჩვენა, რომ პრორუსული ორიენტაცია რეალური და ანგარიშგასაწევი მოვლენაა ამ ქვეყანაში. "გახლეჩილ" ქვეყანაში ძალზე ძნელია დაბალანსებული ან კომპრომისული პოლიტიკის შემუშავება და გატარება. ასეთი ქვეყანა ან რადიკალურ წინააღმდეგობებში ვარდება და იმის მიხედვით, თუ რომელი აზრიც პრევალირებს იმ პოზიციას რადიკალურად გამოხარტავს - სხვათა შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც რუსული მოსახლეობა საკმაოდ დიდ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა (განსაკუთრებით, ლატვიაში) ასეთი სინდრომის გამოვლინება ასევე იყო მოსალოდნელი. საბედნიეროდ ამ ქვეყნებში რუსულმა (ან როგორც ამას ახლა უწოდებენ - რუსულენოვანმა) საზოგადოებამ ვერ მოასწრო ისე გაედგა ფესვები, რომ საკუთარ სამშობლოდ გამოეცხადებინა გარკვეული ტერიტორიები. შეიძლება ითქვას მათ ეს არ დასცალდათ (ან არ მისცეს ამის საშუალება). ამასთან, თითქოსდა გასაკვირია, მაგრამ ასეთი დიდი რუსულენოვანი მოსახლეობით, ლატვია ახერხებს გაატაროს რადიკალურად პროდასავლური, სწრაფი და ყველაზე ეფექტური რეფორმები, რომლებმაც ქვეყნის დასავლური საქრისტიანოს წიაღში დაბრუნება საბოლოო და "შეუქცევადი" უნდა გახადოს.

უკრაინაში კი მოვლენები საპირისპიროდ ვითარდება. რადას არჩევნებში "რეგიონთა" პარტიის გამარჯვება და მისი ლიდერის ხელისუფლებაში მოსვლა იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის ბედი და მისი მომავალი კვლავ სასწორზე დევს.

ჰანტიგტონის (და არა მარტო მისი, ასევე მაიკლ ჰოვარდის ან იგივე უილიამ უოლესის) ცივილიზაციური დოქტრინის პარადოქსულობა, ალბათ იმაშია, რომ მათ მიერ გავლებული ხაზი ძალზე ზუსტად ემორჩილება ცივილიზაციების შეჯახების ლოგიკას. მაგრამ, როგორც ბოლო დროის მოვლენები გვიჩვენებს, ეს შეჯახება გამოკვეთილად მხოლოდ თვით ამ ქვეყნებშია, ხოლო მათ გარეთ კი, ხშირია მოვლენების სხვაგვარი განვითარება.

მაგალითად, საქართველო, რომელიც ავტორიტეტული ანალიტიკოსების მიერ (მაგალითად, ვილიამ პლაფი) აღმოსავლეთ საქრისტიანოს (პოლიტიკური თვალსაზრისით) ფარგლებში განიხილება და, თითქოსდა, რუსეთის წიაღში უნდა უჯობდეს დარჩენა, ევროპასა და ნატო-საკენ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიისწრაფვის. ასევეა მოლდოვა და, შესაძლებელია, სულ მალე სომხეთიც ამ ქვეყანათა რიგში ვიხილოთ. სომხეთის ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი განცხადებები სულ უფრო ძლიერ უსვამს ხაზს ამ ქვეყნის ევროპული ორიენტაციის არჩევანს. აშკარაა, რომ აზერბაიჯანიც პროდასავლურ ორიენტაციას ავლენს.

### ევროპული და ევროატლანტიკური თანამშრომლობის პერსპექტივები

ევროპის კავშირისათვის უკრაინა, რა თქმა უნდა, ყოველთვის განიხილებოდა უფრო მაღალ პრიორიტეტად, ვიდრე საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია. **პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება** მასთან უფრო ადრე დაიდო (1995), ვიდრე ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან. უკრაინასთან შეთანხმებაში ფიგურირებს ისეთი მნიშვნელოვანი დებულება, როგორიცაა შესაძლო კონსულტაციები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე. ე.წ. **საერთო სტრატეგია**, რომელსაც ევროპის კავშირი, როგორც წესი, მთელ რეგიონის მიმართ იღებს, ცალკე უკრაინასთან 1999 წელს მიიღო. აღნიშნული სტრატეგია "აცნობიერებს და მხარს უჭერს უკრაინის ევროპულ არჩევანს" და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ამ ქვეყნის დაახლოებას ევროპის კავშირთან. ასეთი სახის დოკუმენტი საქართველოსთან მიმართებაში არ არსებობს. არის მხოლოდ 1999 წლის ევროკომისიის მიმართვა ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტისადმი, რომელშიც მთლიანობაში სამხრეთ კავკასიასთან თანამშრომლობის პერსპექტივებზეა საუბარი.

როდესაც 2003 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკას ჩაეყარა საფუძველი, მიღებული დოკუმენტი არც კი ითვალისწინებდა საქართველოს (ან სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების) მონაწილეობას ევროკავშირთან დაახლოების ამ ნამდვილად პერსპექტიულ პოლიტიკურ პროცესში. მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ, საქართველოს მხარის დიდი ძალისხმევისა და მცდელობის შედეგად მოხერხდა ევროპის კავშირის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება სამხრეთ კავკასიის ამ პროცესში ჩართვის შესახებ. მოლაპარაკებები სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის გარშემო, რომელიც უკრაინასთან და მოლდოვასთან 2004 წელს დაიწყო სწრაფად და შედარებით უმტკივნეულოდ დასრულდა. უკრაინამ მიიღო დასტური ისეთი დებულებების ჩართვაზე, როგორიცაა კონსულტაციები თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესახებ, ევროკავშირის ერთიან პოზიციაზე შეერთების უფლება, საგარეო და უსაფრთხოების დარგში მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივები. უკრაინასა და მოლდოვას ეს გეგმები სამი წლით დაუმტკიცდა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ახალი ჩარჩო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება. ეს იქნება "ასოცირებული" ტიპის შეთანხმება, რომელიც ამ ქვეყნების დაახლოებას ევროპის კავშირთან რეალურსა და ხელშესახებს გახდის. კერძოდ, გამარტივდება სავიზო პროცედურები, დამყარდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი (შესაძლოა საბაჟო კავშირიც), დაინერგება პოლიტიკური დიალოგის უფრო ღრმა ფორმა, რომელიც საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაციას ითვალისწინებს. რაც შეეხება საქართველოს - ის **ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის** შეთანხმების ბოლო ეტაპზეა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს გეგმა 5 წლის ვადით დამტკიცდება, შესაბამისად, გადაიწევს ევროპის კავშირთან დაახლოების ვადებიც. მარტივი არითმეტიკა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით ჩვენ უკრაინას 4 წლით ჩამოვრჩებით.

შეიძლება ითქვას, რომ ნატოში გაწევრიანების საკითხშიც, ასევე უფრო "წყალობდნენ" უკრაინას, ვიდრე საქართველოს. მაგალითად, მათ უკვე კარგა ხანია მიიღეს ე.წ. **ინტენსიური დიალოგის** პროგრამა, ჩვენ კი მხოლოდ ველოდებით მის დამტკიცებას. უკრაინასთვის ე.წ. "მაპის" ან **გაწევრიანების სამოქმედო გეგმის** მინიჭების საკითხიც, პრაქტიკულად, ალიანსის უახლოეს სამიტზე უნდა დამტკიცებულიყო.

რატომ ხდება ასე? პასუხი მარტივია - უკრაინა დიდი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ის ტრადიციულ ევროპასთან უფრო ახლოა გეოგრაფიულად და მას აქვს (დასავლეთ ევროპასთან) თანაარსებობის უფრო ძლიერი ისტორიული საფუძველი. ევროპის კავშირთან და ნატო-სთან უკრაინის დაახლოების იმპულსი ჯერ კიდევ კუჩმას მმართველობის დროს გაღვივდა და ეს იმას მოწმობს, რომ დასავლეთის ინტერესი წმინდა გეოპოლიტიკური ხასიათისა იყო. "ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ ბევრად უფრო რეალური გახდა ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა. ევროპის კავშირთან ურთიერთობებში კი, რაიმე არსებით ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. არა იმიტომ, რომ ეს ორი მმართველობა ევროპის კავშირში ერთნაირად აღიქმება. ამის ძირითადი მიზეზი თვით ევროპის კავშირის ინერციული პოლიტიკაა. დაახლოებას ის არ უკავშირებს განცხადებებს, დეკლარაციებს ან თუ გნებავთ ყველაზე ამბიციურ გეგმებსაც. ევროპის კავშირთან დაახლოებისათვის ქვეყნისა და საზოგადოების ისეთი ტრანსფორმაცია არის საჭირო, რომელიც უკან სვლის შანს გამორიცხავს და ხარისხობრივად მთლიან სისტემას აყენებს განვითარების ახალ საფეხურზე.

საქართველოში ასეთ ცვლილებებს რეალური საფუძველი ეყრება. ყოველ შემთხვევაში შექმნილია მყარი პოლიტიკური გარანტიები იმისა, რომ ქვეყანა აღარ დაუბრუნდება იმ არადინამიურ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ბოლო წლების განმავლობაში. უკრაინას კი ახალი განსაცდელი ელის. ქვეყნის "ცივილიზაციათა გამყოფი ხაზის" გასწრივ ბზარი, პრაქტიკულად, დაკანონდა ახალი მთავრობის მოსვლისა და პრემიერ-მინისტრად იანუკოვიჩის დამტკიცების შემდეგ.



კახა გოგოლაშვილი - ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი.
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

რამდენიმე დღის წინ ახალმა პრემიერმა რადაში გამოსვლისას ხმამაღლა განაცხადა: **"ჩვენ ევროპის სახვეწარი არაფერი გვაქვს და ევროპის კავშირთან ისეთივე ურთიერთობები გვექნება, როგორც რუსეთთან"**. ანუ ევროპის კავშირი აღარ დარჩება საგარეო პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტად.

მართალია, პოლონეთში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე უკრაინის მთავრობის ახალმა ხელმძღვანელმა დაადასტურა ქვეყნის კურსი ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ განხადებას დაუჯეროს ვინმემ.

### პოლიტიკური სპეკულაციები

იანუკოვიჩის ბრიუსელში გამგზავრების წინ პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ანა ჰერმანმა განაცხადა, რომ მათ სურთ ნატო-სთან უფრო ახლო ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ნატო-ში შესვლის შესახებ კითხვაზე პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. მისი თქმით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის არ არის ჯერ კარგად ცნობილი თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას ალიანსში გაწევრიანებამ. იგი ასევე ვერ ხედავს ქვეყნისათვის ისეთ საფრთხეებს, რომლებიც ალიანსში შესვლის აუცილებლობას შექმნიდა.

უფრო გულახდილად საუბრობენ ამ პრობლემის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატები. გასულ კვირაში თბილისში გამართული საქართველო-უკრაინის საპარლამენტო დიალოგის დროს რადას დეპუტატებმა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები გამოთქვეს ნატო-სთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. ზოგის აზრით, ნატოში გაწევრიანება ეწინააღმდეგება უკრაინის ინტერესებს ისეთ საკითხში, როგორიცაა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მომავალი - ნატოს სტანდარტებზე გადასვლა ამ დარგს 10 მილიარდი დაუჯდება და მოსახლეობის ნაწილი, შესაძლოა, უმუშევარი დარჩესო. მათი თქმით, უკრაინას აწყობს "ნეიტრალური ქვეყნის" სტატუსის დამკვიდრება. დეპუტატების ნაწილი (მათ შორის, ევროინტეგრაციის კომიტეტის თანათავმჯდომარე) ასევე არ ურჩევს ხელისუფლებას ევროკავშირში გაწევრიანების საკითხში აჩქარებას. მათი აზრით, **ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში** გაწევრიანება, რომელიც აუცილებელი პირობაა ევროკავშირთან დაახლოებისათვის 18 მილიონი გლეხის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებით ემუქრება ქვეყანას. პარლამენტის "ნარინჯისფერი" დეპუტატები კი, რა თქმა უნდა, აცხადებენ, რომ უკრაინამ ურყევად უნდა გააგრძელოს თავისი ევროპული და ევროატლანტიკური კურსი. პარლამენტის სპიკერმა მოროზმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან დენიელ ფრიდთან საუბარში განაცხადა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა არ ემხრობა ნატოში გაწევრიანებას. თვითონ იანუკოვიჩმა კი, ბრიუსელში ორი დღისწინანდელი ვიზიტის დროს ნატო-ს გენერალურ მდივანს პირდაპირ უთხრა, რომ იმედებს არ მყარებს ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებაზე და უკრაინა ალიანსთან ყოველგვარი პირობების გარეშე ითანამშრომლებს.

### დასავლეთის აზრი

რამდენიმე დღის წინ უკრაინაში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა უკრაინის რადას ზემოთ მოყვანილ განცხადებას ასე უპასუხა: **"ნატო აშშ-სათვის არ წარმოადგენს იმ პირობას, რომელსაც ემყარება უკრაინასთან მისი ურთიერთობებიო"**. ჩვენი აზრით, აშშ არავითარ შემთხვევაში არ ეცდება უკრაინასთან ურთიერთობების ძაფის გაწყვეტას, რადგანაც რეგიონში რუსეთის ფაქტორის დაბალანსებისათვის ამ ქვეყნის მნიშვნელობა ძალზე დიდია. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა ბელარუსის მსგავსად რუსეთის სატელიტად გადაიქცა, რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობები ვერ შენარჩუნდება უწინდელ დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ნატო-სკენ სვლის საკითხი უფრო უკრაინის რუსეთის გავლენის სფეროდან გამოყვანის მცდელობით აიხსნება, ვიდრე რეალურად ამ ქვეყნის ალიანსში ყოფნის რაიმე პრაგმატული აუცილებლობით.

ევროპის კავშირის პოზიცია ჯერ მკაფიოდ არ ჩანს. ფაქტია, რომ ბრიუსელში, ევროკომისიის შტაბ-ბინაში გარკვეული უნდობლობა იგრძნობა. თავისი ვიზიტისას უკრაინის პრემიერ-მინისტრი იქ ძირითადად ახალი გაზსადენის გეგმებზე საუბრობდა, რომელმაც შუა აზიიდან გაზი საქართველოს, თურქეთისა და უკრაინის გავლით ევროპას უნდა მიაწოდოს. ეს მარშრუტი ევროპისათვის რუსული გაზის ალტერნატივას წარმოადგენს და, რაღა თქმა უნდა, რუსეთის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ევროპის კავშირი არ ჩქარობს ისეთი პროექტის დაფინანსებას, რომელიც, შესაძლოა, რუსეთთან ურთიერთობებში დაძაბულობას შეიტანს. რამდენად გულწრფელია უკრაინის პრემიერი, როდესაც ასეთი სახის პროექტის მხადაჭერას ითხოვს ევროკომისიისაგან? ეს, შესაძლოა, ბრიუსელის იმაში დასარწმუნებლად ხდებოდეს, რომ თითქოსდა იანუკოვიჩი მოსკოვის ინტერესების გამტარებელი არ იყოს. ასეთი სახის პროექტის წარდგენა ბრიუსელში დასაფინანსებლად ხომ "წაუგებელ თამაშს" ჰგავს: ბრიუსელს არწმუნებ იმაში, რომ მოსკოვის კი არა შენი ქვეყნის ინტერესებს ატარებ; აჩვენებ შენი ქვეყნის მოსახლეობას, რომ ევროპასთან დაახლოებას ცდილობ; რუსეთმა კი კარგად იცის, რომ ეს პროექტი ბრიუსელის მიერ არ დაფინანსდება და ამიტომ არც ღიზიანდება. რაც მთავარია, ბრიუსელის უარი ამაგრებს "ევრორომანტიკოსების" საწინააღმდეგო არგუმენტებს და ერთდროულად რამდენიმე ქულაა მოგებული.

იანუკოვიჩის ვიზიტმა ბრიუსელში ვერ გაფანტა იქ არსებული ეჭვები, თუმცა, არავინ იცის ისახავდა თუ არა ამას მიზნად პრემიერი.

### გამოცდა წინაა

უკრაინის ევროპული პოლიტიკის რეალური გამოცდა მალე მოხდება, როდესაც დაიწყება მოლაპარაკებები ევროპის კავშირთან ახალი შეთანხმების დადების თაობაზე (2008 წელს იწურება ძველი ჩარჩო-შეთანხმების მოქმედების ვადა). თუკი უკრაინა კვლავ მოითხოვს ევროპის კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დაკანონებას, მაშინ რუსეთთან **ერთიან ეკონომიკურ სივრცეში** მონაწილეობაზე (საბაჟო კავშირის ჩათვლით) უარი უნდა თქვას. 27 ოქტომბერს ვიქტორ იუშჩენკო ჰელსინკიში უკრაინა-ევროკავშირის სამიტზე ალბათ გააკეთებს განცხადებას ამ საკითხთან დაკავშირებით. დღევანდელ ვითარებაში შეიძლება დიდი ეჭვი გამოვთქვათ იმის თაობაზე, რომ უკრაინის კურსი უცვლელი დარჩება. ამჟამად, უმაღლესი რადას უმრავლესობა დიდი სიამოვნებით შეატრიალებდა პოლიტიკურ ვექტორს რუსეთისაკენ, მაგრამ რევოლუციურმა ქარტეხილებმა ხომ სულ ცოტა ხნის წინ ჩაიარა და, საეჭვოა, რომ რადიკალური ცვლილებების ვინმემ შეთავაზება ღიად გაბედოს. მათ შეუძლიათ ეცადონ ფრთხილად იმოქმედონ და ნელა, შეპარვით მოახერხონ ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლა. ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ თეორიულად შესაძლებელია, რომ ამ თამაშის პროცესში იანუკოვიჩის ბლოკის გარკვეულ ნაწილს ისე დაემართოს, როგორც რეი ბრედბერის "ფერისცვალებაში" ხდება: მარსზე ჩასული დედამიწელები იქ გადაშენებული მაღალი ცივილიზაციის დანატოვარს ეცნობიან და, როდესაც ღრმად ჩაწვდებიან მის არსს, შეიყვარებენ და ნელ-ნელა თვითონაც მარსიელებს ემსგავსებიან.

ერთი კი ნათელია, თავისუფლების ზვირთებში არტურ რემბოს "მთვრალი ხომალდივით" "ნარწევი და განბანილი" უკრაინელი ხალხი, ალბათ "ველარ შესძლებს გამოუდგეს ბამბის მტვირთავებს" და იანუკოვიჩის მიერ შეთავაზებული "ევროპრაგმატიზმის" ლოზუნგის საპასუხოდ, დაივიწყოს ერთ დროს ასე "ნაფერები" ევროპასთან გაერთიანების ლამაზი იდეა.

### ჩვენი საკითხი

საქართველოსათვის უკრაინის ევროპის კავშირთან დაახლოებას და ნატო-ში შესვლას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. ჩვენ ამ გზაზე ძლიერი პარტნიორი და მეგობარი გვეყოლებოდა. მაგრამ დღევანდელი რეალობა სხვა გამოსავლების ძიებას გვკარნახობს. აშკარა ხდება, რომ უკრაინის ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გრძელვადიან პერსპექტივაში გადადის. საქართველოს კი ეჩქარება და, მართლაც, დროის ნაკლები რესურსი გააჩნია. დიდხანს ლოდინი ხომ მხოლოდ ძლიერს შეუძლია. მიუხედავად აღნიშნული პრობლემისა, ნატოში გაწევრიანების საკითხში უკრაინის ასეთმა "შეფერხებამ" შესაძლოა დააჩქაროს ისეთი ქვეყნების მიღება, რომლებიც ნებისმიერი შიდაპოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, თავიანთი არჩევანის ერთგულნი რჩებიან. ნატოში ესმით, რომ საქართველოს აქვს გარკვეული ხიბლი და გავლენა უკრაინულ საზოგადოებრივ აზრზე. ჩვენი ნატოში მიღების დაჩქარება აუცილებლად გაააქტიურებს უკრაინის საზოგადოებას და, შესაძლოა, იანუკოვიჩის მიერ გაკრიტიკებულმა "ევრორომანტიკოსებმა" კვლავ შეძლონ ინიციატივის ხელში ჩაგდება. რაც შეეხება ევროპის კავშირს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასთან შემდგომი დაახლოება ქვეყანაში გატარებულ ცვლილებების ტემპებზეა დამოკიდებული. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ უკრაინის ფაქტიურმა "დაკარგვამ" გამოაფხიზლოს ევროპული საზოგადოება და მეტი ყურადღება გამოიჩინოს იმ ერებისადმი, რომლებიც უპირობო ლოიალობას ავლენენ ევროპული ინტეგრაციის იდეის მიმართ.

# საერთაშორისო სავალუტო ფონდის ავტორიტეტის დევალვაციის შესახებ

## გამოხმაურება რობერტ ე. კრისტიანსენის წერილზე "საქართველოში ინფლაციის შესახებ"

ლადო პაპავა
*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი*

ხანგრძლივი და მრავალმნიშვნელოვანი და ამდენად გაუგებარი დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, ქართულ პრესაში გაიჟღერა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხმამ: სექტემბრის დასაწყისში რამდენიმე ქართულმა გაზეთმა - "24 საათმა" და "რეზონანსმა" დაბეჭდა საქართველოში ფონდის მუდმივი წარმომადგენლის წერილი სათაურით, "საქართველოში ინფლაციის შესახებ", რომელშიც გამოთქმულია საფუძვლიანი შეშფოთება ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებზე. ოდნავ მოგვიანებით იგივე თემაზე მისგან ინტერვიუ გაზეთმა "ჯორჯიან თაიმსმა" აიღო.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ამ წერილის ძირითადი დამსახურება ისაა, რომ მასში ნათქვამია სიმართლე, თუმცაღა მისი უარყოფითი მხარე, იმავდროულად, ისევ ამ სიმართლეშია, რადგანაც ეს სიმართლე, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია და, თანაც მხოლოდ ნაწილობრივი სიმართლეა.

ვიცნობ რა ამ წერილის ავტორს პირადად, ვადასტურებ მის პროფესიონალიზმს, რაც არავისათვის უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ის ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალი ეკონომისტებითაა დაკომპლექტებული. აქედან გამომდინარე, წინამდებარე წერილში წამოჭრილი საკამათო საკითხები სავალუტო ფონდის წარმომადგენლის კომპეტენტურობა ეჭვს მკითხველში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს.

### "ინფლაცია საზოგადოების ნომერ პირველი მტერია"

ქვესათაურად გამოტანილი სიტყვები აშშ-ის პრეზიდენტს ჯერალდ ფორდს ეკუთვნის, რომელიც მან 1974 წელს წარმოთქვა გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში განვითარებულ შედარებით მაღალ ინფლაციურ პროცესებთან მიმართებაში.

ინფლაცია, თუკი მისი დონე მაღალია, ამუხრუჭებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას კი არსებითად აუარესებს. ამ თემაზე მსჯელობის გაგრძელებას წინამდებარე წერილში პრაქტიკულად აზრი არც კი აქვს, რადგანაც, ჯერ ერთი, ეს პრობლემა უკვე აქვს გაშუქებული თავად ბატონ კრისტიანსენს, ხოლო მეორე - ქართველებს კარგად გვახსოვს მაღალი ინფლაციის დამანგრეველი ზემოქმედება, რომელსაც ჩვენში 12-13 წლის წინ ჰქონდა ადგილი.

მაინც რა დონემდე არ არის ინფლაცია საშიში და როდიდან ხდება ის ავისმომასწავებელი?

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის პოლ სამუელსონის კლასიფიკაციით ინფლაციის სამი დონე არსებობს და ის მათ **ზომიერ, გაჭენებულ** და **ჰიპერინფლაციას** უწოდებს.

ინფლაცია ზომიერია, თუ ფასების მატება შენელებული ტემპით ხდება, რის გამოც ეს პროცესი ადვილად პროგნოზირებადია. ასეთი ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ერთნიშნა რიცხვით გამოიხატება.

გაჭენებული ინფლაციის შემთხვევაში წლიური ინფლაციის დონე ორნიშნა ან სამნიშნა რიცხვით გამოიხატება. გაჭენებული ინფლაცია განსაკუთრებით საშიში მაშინ ხდება, როცა ის სტაბილურ ხასიათს იძენს, რადგანაც ბანკში ფულის შენახვა აზრს კარგავს, საბანკო პროცენტი ძალიან ძვირდება და, რაც ყველაზე მთავარია, კაპიტალი საზღვარგარეთ გაედინება.

გაჭენებული ინფლაციის შემდგომი დონე ჰიპერინფლაციაა, რაც ეკონომიკის სიკვდილის წინაპირობაა. მკითხველს შევახსენებთ, რომ 1993-1994 წლებში საქართველოში ინფლაცია თვეში 50-70 პროცენტი იყო.

ბატონი კრისტიანსენი საგაზეთო პუბლიკაციებით გვამცნობს, რომ საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ 2006 წლის ივლისის მდგომარეობით 14.5 პროცენტი შეადგინა, რაც, თავისთავად, უკვე საგანგაშოა.

სავალუტო ფონდის წარმომადგენლის აშკარა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ თავის მოკლე წერილით მან გააქარწყლა ის მითი, თითქოსდა ენერგორესურსებზე მსოფლიო ფასების ზრდა ყოფილიყოს საქართველოში გაზრდილი ინფლაციის საფუძველი.

ბატონი კრისტიანსენი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში 6 პროცენტზე მაღალი წლიური ინფლაცია აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

თუკი ის ყველაფერი ასე კარგად და, რაც მთავარია, სწორადაა ახსნილი, მაშინ რა უნდა იყოს ამ წერილის ავტორთან საკამათო?

### ...მაინც "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს"

პირველი პრობლემა გახლავთ ის, თუ რატომ დუმდა ამდენ ხანს საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში განვითარებულ ინფლაციურ პროცესებზე, რატომ იყო, რომ ბოლო წლებში ფონდის საქართველოში ჩამოსული ყველა მისია საერთო აღფრთოვანებული შეფასებების ფონზე უკეთეს შემთხვევაში მოკრძალებულ შენიშვნას თუ აფიქსირებდა, ხოლო სექტემბრის დასაწყისში კი, ბატონმა კრისტიანსენმა თავისი წერილით და შემდეგ ინტერვიუთი განგაში ატეხა, რითაც გამოაფხიზლა ქვეყნის როგორც პოლიტიკური ელიტა, ისე ჟურნალისტთა კორპუსი და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მასობრივ მკითხველს მაღალი ინფლაციით გამოწვეული ობიექტური შეშფოთების საფუძვლიანობა დამაჯერებლად დაუდასტურა.

ის, რომ წლიური (ხაზგასასმელია სწორედ ეს დროითი ინტერვალი) ინფლაცია 14.5 პროცენტია, იმას ნიშნავს, რომ ინფლაციის ასეთი დონე წლის (და არა დღის, ან თუნდაც თვის) განმავლობაში ყალიბდებოდა.

მართლაც, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, წლიურმა ინფლაციამ საშიშ 10-პროცენტიან ნიშნულს უკვე 2005 წლის აპრილში გადააჭარბა. მსგავსმა პროცესებმა განმეორებით უკვე 2006 წლის მაისში იჩინა თავი და ივლისამდე კიდევ უფრო გაძლიერდა. საინტერესოა, ამდენ ხანს რატომ დუმდა ფონდი? რატომ ელოდებოდა უარყოფითი ტენდენციების გაძლიერებას?

ყველგან მსოფლიოში საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან უწინარეს ყოვლისა კრიზისული მოვლენების პრევენციას და არა ამ მოვლენების დაფიქსირებას ელიან. ამ მხრივ ფონდს საერთაშორისო პრაქტიკაში არაერთი ჩავარდნა ჰქონია: მკითხველს შევახსენებთ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რუსეთსა და ბრაზილიაში განვითარებულ უმწვავეს კრიზისებს, რომელთა ჩასახვის პროცესი საერთაშორისო სავალუტო ფონდს, სამწუხაროდ, რატომღაც გამოეპარა!

ისე კი, მაინც "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს"... თანაც, ჯერ ხომ არც ისე გვიანაა (ინფლაცია ჯერ მხოლოდ რამდენიმე პროცენტული პუნქტით აღემატება 10-პროცენტიან საშიშ ნიშნულს, თუმცა სასურველ ოპტიმალურ 6-პროცენტიან დონეს ორჯერ და მეტად აჭარბებს), რომ დაშვებული შეცდომების გამოსწორება არ შეიძლებოდეს!

### რას შეიძლება ემსახურებოდეს ნახევრად სიმართლე იმის შესახებ, თუ რა არის მაღალი ინფლაციის მიზეზები?

ბატონი კრისტიანსენი საქართველოში მაღალი ინფლაციის ორ ძირითად მიზეზს ასახელებს; კერძოდ, ესენია: ფულის მიწოდების სწრაფი ზრდა და მხოლოდ ნაწილობრივ სამთავრობო ხარჯები.

წერილის ამ ნაწილს აშკარა ქვეტექსტად გასდევს, რომ ინფლაციის ზრდის განმაპირობებელი, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა და არა იმდენად საბიუჯეტო ხარჯები. სხვა სიტყვებით, ინფლაციური პროცესების გაღრმავებაში მთავარ "დამნაშავედ" ბატონი კრისტიანსენის წერილიდან საქართველოს ეროვნული ბანკი იკვეთება. ფორმალურად, ეს ასეც არის, რადგანაც კანონიც "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ინფლაციის დონეზე პასუხისმგებელ ორგანოდ სწორედ ეროვნულ ბანკს განსაზღვრავს.

ამავე დროს წერილის ავტორი აშკარად ინდობს მთავრობას მცდარი სახარჯო პოლიტიკის სფეროში. არ არის საკამათო, რომ ქვეყანაში რეალური სექტორის კუთხით შეფასებული არამწარმოებლური ხარჯების დონე მნიშვნელოვნად და, თანაც სამწუხაროდ, დაუსაბუთებლად მაღალია. სხვა სიტყვებით, საზოგადოებრივ სამუშაოთა მასშტაბი იმდენადაა გაზრდილი, რომ მათ დასაფინანსებლად გამოყოფილი ხარჯები ზეგავლენას რეალურ სექტორზე მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში თუ მოახდენს. მოკლევადიან პერიოდში კი ისინი არა მარტო დასაქმების (სამთავრობო ხარჯებით) მცირედ ზრდასა და სხვადასხვა გასართობი, "თვალის გამხარებელი" ღონიძიებებით გამოწვეული დადებითი ემოციების გაღრმავებას, არამედ, რაც ყველაზე უფრო მთავარია, ინფლაციის ზრდასაც უწყობენ ხელს.

წერილში მოყვანილი ნახევრად სიმართლე მაღალი ინფლაციის მიზეზების შესახებ, ხომ არ ემსახურება ეროვნულ ბანკზე მთავრობიდან მორიგი შეტევის პროვოცირებას, რომელსაც წელს უკვე ჰქონდა ამის მცდელობა (ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალური დასუსტების მიმართულებით), რაც ქვეყნისდა სასიკეთოდ წარუმატებელად დამთავრდა...

არ გამოვრიცხავ, რომ ბატონ კრისტიანსენს ამ პრობლემაზე შეიძლება სულაც არ უფიქრია, მაგრამ უკვე არაერთი წელია, რაც ის საქართველოში ცხოვრობს და მას ასეთი ფაქტორების გათვალისწინება აშკარად მოეთხოვება.

თუკი წერილის ავტორი შეგნებულად შემოიფარგლა მთავრობის კრიტიკის შედარებით შერბილებული ფორმით, ეს სულაც არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას, რადგანაც არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელის მოთხოვნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოში მისი მისიის ხელმძღვანელი მხოლოდ იმიტომ გაიწვია, რომ ამ უკანასკნელის მიერ ხშირ შემთხვევაში ობიექტურად დაფიქსირებული პოზიცია მთავრობის ზოგიერთ წევრს არ მოსწონდა. ასე რომ, ის, რაც ფონდის მისიის ხელმძღვანელს შეემთხვა, მით უფრო არ არის გამორიცხული, ქვეყანაში ფონდის მუდმივი წარმომადგენელის მიმართაც გამეორდეს...

### მაინც რატომ ნახევრად სიმართლე?

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ბატონი კრისტიანსენი თავის წერილში გვთავაზობს ისაა, რომ ივლისის ბოლოს დაფიქსირებული ფართო ფულის ზრდის 38-პროცენტიანი დონე წლის დარჩენილ პერიოდში 27 პროცენტამდე უნდა შემცირდეს. აქვე, სამართლიანად გვაფრთხილებს, რომ ამ ღონისძიებას საპროცენტო განაკვეთის ზრდა მოჰყვება. ხოლო ეს უკანასკნელი კი, ბიზნესისათვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობას შეზღუდავს, რაზეც წერილში არაფერია ნათქვამი.



ლადო პაპავა.

წერილში არც იმაზეა ნათქვამი რაიმე, რომ მიმოქცევაში ფულის მასის შემცირება კიდევ უფრო გაამყარებს ლარს, რასაც არაერთი აშკარად უარყოფითი შედეგი ექნება.

პირველი, გაუარესდება სოციალური მდგომარეობა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვს. განსაკუთრებით კი, ის შეჭირვებული მოსახლეობა დაზარალდება, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას საზღვარგარეთ მცხოვრები ახლობლების ფულადი გზავნილებით იღებს.

მეორე, გაიაფდება იმპორტი და გაძვირდება ექსპორტი. თანაც იმპორტი უწინარეს ყოვლისა იმპორტიორებისათვის გაიაფდება, ხოლო შიგა ბაზარზე იმპორტირებული საქონლის ფასი, შესაძლოა, სულაც არ შემცირდეს: რადგანაც ყველა ამ საქონელზე წონასწორული ფასი უკვე ჩამოყალიბებულია, ამიტომ გაიაფებული იმპორტი არა იმდენად ფასების შემცირებაზე, არამედ იმპორტიორთა მოგების გაზრდაზე იმოქმედებს.

მართალია, ზოგიერთ ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე რუსული ბაზრის დახურვის შემდეგ ექსპორტის გაძვირებას უმთავრესად ჯართის ექსპორტიორი საქართველოსათვის არც ისე დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ რუსეთის ბაზრიდან გაძევებული პროდუქციისათვის ახალი კონკურენტული ბაზრების მოძიება კი აშკარად გართულდება. ამასთან იმპორტის გაიაფება ხელს შეუწყობს ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას, რაც კიდევ უფრო გაამყარებს ლარს. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ იმპორტის სტრუქტურაში შემცირდება ახალი ტექნოლოგიების ხვედრი წილი, რადგანაც ასეთმა ტექნოლოგიებმა მცირე მასშტაბების მქონე ქვეყნის პირობებში ხელი საექსპორტო პროდუქციის ზრდას უნდა შეუწყოს, რაც შეუძლებელი იქნება ლარის გაცვლითი კურსის გამყარების პირობებში.

არანაკლებ საყურადღებოა, რომ ლარის რევალვაცია (გამყარება) უარყოფით ზეგავლენას იქონიებს უცხოეთიდან შემოსული ტურისტების ოდენობაზე და, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა, მასტიმულირებელ როლს შეასრულებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებაზე.

ყოველივე ამაზე წერილში, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი.

მოგვიანებით გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბატონი კრისტიანსენი იწონებს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდების ემისიის შესახებ, რამაც კომერციული ბანკებიდან 48 მილიონი ლარის ამოღება უნდა უზრუნველყოს. ეს ღონისძიება ნამდვილად გაზრდის საპროცენტო განაკვეთს, მაგრამ მას ინფლაციაზე ქმედითი ზეგავლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მთავრობა არსებითად შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ სამუშაოთა ფრონტს. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის განხილვას წერილის ავტორი ყველანაირად არიდებს თავს.

ამავე დროს, სავალუტო ფონდის მიმართ იბადება კითხვა, თუ როგორ შეამცირებს ინფლაციას ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, თუ საბიუჯეტო ხარჯებში უკვე არსებულ პრობლემებს ემატება დასაქმების კეთილშობილური მიზნების მქონე ბოლოდროინდელი ინიციატივა, რომელიც თავისი ბუნებით კვლავ საზოგადოებრივ სამუშაოთა (რადგანაც მათ ბიუჯეტი და არა ბიზნესი დააფინანსებს) დაფინანსებაა: მიმდინარე წლის ბოლომდე - 22.5 მილიონიანი, ხოლო გაისად - 45 მილიონლარიანი. იმავდროულად, დამაფიქრებელია, რომ მთავრობას არავითარი განცხადება არ გაუკეთებია იმის შესახებ, რომ თუ როგორ აპირებს ამ ღონისძიებით გამოწვეული ინფლაციის განეიტრალებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ პრობლემის მიჩუმათებით სავალუტო ფონდი და მისი წარმომადგენელი "სირაქლემას პოზაში" თავს შეგნებულად იგდებს...

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს, აქ ერთის შეხედვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის რეკომენდაცია მკაფიოდაა დაფიქსირებული. ის სავსებით სამართლიანად მოითხოვს 2006 წლის დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტის 552 მილიონი ლარიდან 341 მილიონ ლარამდე შემცირებას.

ამ შემთხვევაში, წერილის ავტორი ორ არსებით საკითხზე მსჯელობას არიდებს თავს.

ჯერ-ერთი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის 111 მილიონ ლარიანი შემცირების შემთხვევაში პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ რა უნდა უყოს მთავრობამ ამ თანხას, თუკი ის მაინც აღმოჩნდება მის ხელთ: თუ ბიუჯეტში არ შეიტანს, მაშინ სად უნდა წაიღოს?

მეორე, საბიუჯეტო საკითხებში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველი ბატონი კრისტიანსენის ამ რეკომენდაციის გაცნობის შემდეგ აშკარად გაოცებული დარჩება: სახელმწიფო ბიუჯეტის ამ პერიოდისათვის ბოლო ვერსიის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული მოცულობა 289 135 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც აშკარად ნაკლებია დეფიციტის თუნდაც იმ მოცულობაზე, რომლამდე შემცირებასაც მოითხოვს წერილის ავტორი. საინტერესოა, თუ როგორ უნდა შემცირდეს 289 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი დეფიციტი 341 მილიონ ლარამდე და, საიდან გაჩნდა დეფიციტის 552 მილიონ ლარიანი მოცულობა.

ამ ფოკუსის ახსნას კი ადგილი განსახილავ წერილში, სამწუხაროდ, კვლავ ვერ მოეძებნა.

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ საქართველოში რატომღაც ისეთი საბიუჯეტო კანონმდებლობა გვაქვს, როცა კაპიტალური შემოსავლები და, მათ შორის, პრივატიზაციიდან მისაღები თანხები ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში და არა დეფიციტში გაითვალისწინება, რითაც ხელოვნურად ხდება ამ უკანასკნელის ოდენობის შემცირება. ამით შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ფინანსებში გაუთვითცნობიერებული საზოგადოება შეიყვანო შეცდომაში და მას თავი დეფიციტის შედარებით მცირე ოდენობით მოაწონო, თორემ სპეციალისტები დეფიციტის ოდენობას მაინც ისე შეგიფასებენ, როგორც სწორია. აქვე ხაზგასასმელია, რომ პრობლემა არა იმ თვალთმაქცობაშია, თუ დეფიციტის ხარჯებს სად აღრიცხავ, არამედ იმაში, რომ გარკვეული ოდენობის ზემოთ იმავე პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვას ეკონომიკაზე ზუსტად იგივე "არაჯანსაღი" ზეგავლენა აქვს, როგორც დეფიციტის სხვა წყაროების ხარჯვას.

გულდასაწყვეტია, რომ ბატონი კრისტიანსენი ჩვენი საბიუჯეტო კანონმდებლობის ამ ფოკუსზე რატომღაც დუმილს ამჯობინებს, რის გამოც მისი რეკომენდაცია დეფიციტის შემცირების შესახებ, სამწუხაროდ, საკითხის კიდევ უფრო გაბუნდოვნებას უწყობს ხელს.

### უნდა ვენდოთ თუ არა ოფიციალურ სტატისტიკას?

ბატონი კრისტიანსენი წერილში არავითარ კომენტარს არ აკეთებს იმაზე, თუ რამდენად საიმედოა ოფიციალური სტატისტიკა. მოგვიანებით გამოქვეყნებულ ინტერვიუში კი ის აღიარებს, რომ მისი დასკვნები სწორედ ამ სტატისტიკას ეყრდნობა.

არავითარ შემთხვევაში არ მინდა ეჭვი შევიტანო ოფიციალური სტატისტიკის მესვეურთა კეთილსინდისიერებაში, მაგრამ საქართველოში სტატისტიკის ინსტიტუციონალური მოწყობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური მთავრობისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაშინ როცა ჩვენთან ის არა უბრალოდ მთავრობის ნაწილია, არამედ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შედის. სწორედ ესაა ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ნაკლებად ენდობა ოფიციალურ სტატისტიკას და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მათი, შესაძლოა, ერთობ გაზვიადებული, შეფასებით, ინფლაციის წლიურმა დონემ არა 14.5 პროცენტს, არამედ 20-პროცენტიან ზღვარსაც კი გადააჭარბა.

ამავე ინტერვიუში ბატონი კრისტიანსენი ნდობას უცხადებს ოფიციალურ სტატისტიკას სიღარიბის ზღვარის გადახედვაში, რასაც მოჰყვა მისი შემცირება საწყის მაჩვენებელთან შედარებით სულ ცოტა 10 პროცენტული პუნქტით. აქვე, ის დასძენს იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ სიღარიბის შემცირების ერთ-ერთი გარანტი ქვეყნის ეკონომიკური ზრდაა. მართლაცდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის დებულება, რომ სიღარიბის შემცირების რეალური საფუძველი არა მისი ზღვარის გადასინჯვა, არამედ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს, მაგრამ პასუხგაუცემელი სრულებით სხვა კითხვა დარჩა. იმავე ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, სიღარიბის გადასინჯული ზღვარი 2005 წელს 2004 წელთან შედარებით 35.7 პროცენტიდან 39.4 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ როცა ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში 9.5 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა. საინტერესოა, თუ რა ახსნას მოუძებნის საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ პარადოქსს, როცა ეკონომიკური ზრდის ფონზე ჩვენში სიღარიბე შემცირების ნაცვლად რატომღაც იზრდება.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საზოგადოდ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მთავრობისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ფუნქციონირებას უჭერს მხარს, მაგრამ თუ რატომ სდუმს ის ამის შესახებ საქართველოსთან მიმართებაში, სამწუხაროდ, გაუგებარი რჩება. შესაძლოა, მან თავის მართლების მიზნით ის არგუმენტი მოიყვანოს, რომ ინსტიტუციონალური საკითხები მის კომპეტენციას ცდება, რაც სინამდვილეში მსოფლიო ბანკის პრეროგატივაა. სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან განსხვავებით, როცა მისმა წარმომადგენელმა როგორც იქნა და ქვეყნის გასაგონად ხმა ამოიღო, მსოფლიო ბანკი ჯერჯერობით ტრადიციულ დუმილს ამჯობინებს.

### ლარის რევალვაცია ფონდის ავტორიტეტის დევალვაციას ვერ შეაჩერებს!

დაგვიანებული და თანაც ნახევრად სიმართლის გამომზეურება ნამდვილად არ უწყობს ხელს საქართველოში სავალუტო ფონდის ავტორიტეტის შენარჩუნებას. თუმცა ეს პრობლემა უფრო ზოგადია და ის ჩვენი ქვეყნის ფარგლებს სცდება. სამწუხაროდ, 2000 წელს მიშელ კამდესიუს ფონდის განმკარგულებელი დირექტორის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ამ ორგანიზაციის საერთაშორისო ავტორიტეტი შესამჩნევ დევალვაციას (გაუფასურებას) განიცდის. არცთუ იშვიათად ფონდს სწორედ იმაში აკრიტიკებენ, რომ რეფორმების სწორი მიმართულებით გატარების, მთავრობათა მიერ დაშვებულ შეცდომათა დროული გამოსწორების, კრიზისების პრევენციის ნაცვლად ის ძირითადად აუდიტორული საქმიანობითაა დაკავებული.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში სავალუტო ფონდს ავტორიტეტის დევალვაცია დღეს არ დაწყებულა - ის ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, როცა ფონდი ქვეყანასთან ისეთ პროგრამას აგრძელებდა, რომელიც ძალზედ პრიმიტიული იყო: მთავრობის ერთადერთ ამოცანას ბიუჯეტის შესრულება შეადგენდა და მას სხვა რაიმე რეფორმატორული ნაბიჯის გადადგმა არც კი ევალებოდა. აი, ამ მარტივ შემთხვევაშიც კი, ფონდი ქვეყანას მორიგ ტრანშს პერიოდულად ისე აძლევდა, რომ ერთადერთ სერიოზულ მოთხოვნაზე - ბიუჯეტის შეუსრულებლობაზე თვალს ხუჭავდა, რაც საბოლოო ჯამში მთავრობის გაზარმაცებას ასტიმულირებდა!

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე წერილი საერთაშორისო სავალუტო ფონდს ხალისს არ დაუკარგავს, რომ საზოგადოებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში დროზე მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მიმდინარე პროცესების ბუნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ.

ისე კი, თუ სავალუტო ფონდის წარმომადგენლის რეკომენდაციებს დავიჯერებთ, ლარს შემდგომი რევალვაცია ელოდება; თუმცა, ლარის რევალვაცია, დაგვიანებით და თანაც ნახევრად თქმული სიმართლით გამოწვეული სავალუტო ფონდის ავტორიტეტის დევალვაციას საქართველოში მაინც ვერ შეაჩერებს!

განცხადება ს.ს. "ბაზალტის" აქციონერთა კრების ჩატარების შესახებ

კრება ჩატარდება მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს.

დღის წესრიგი

1. ს.ს. "ბაზალტი"-ს წესდებაში ცვლილებების შეტანა.
2. ს.ს "ბაზალტი"-ს მიმდინარე ანგარიში.

ს.ს. "ბაზალტი"-ს დირექტორი /მ. ჩიტაძე/

## სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ტენდერებში მონაწილე ფირმების საყურადღებოდ!

ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია ეწევა კონსალტინგს პროკურმენტის საკითხებზე:

1. შესყიდვების დაგეგმვა;
2. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;
3. შესყიდვების განხორციელება;
4. ხელშეკრულებების ადმინისტრირება და ა.შ

ასევე, გთავაზობთ ჯგუფურ ტრენინგებს სახელმწიფო შესყიდვების საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის. გაიცემა სათანადო სერტიფიკატი.

სწავლება ფასიანია.

დამატებითი ინდორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

**კავშირი "ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია"**

**ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. N 8,**

**ტელ./ფაქსი: (995 32 ) 91-21-13;**

**e-mail: aemc-05@ yahoo.com**

## 2006 წლის N193 გაზეთ "24 საათში" ტექნიკური შეცდომის გასწორება:

ტექსტში: "ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის მიმდაბარედ 12 კვ.მ"

უნდა იყოს: "ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის მიმდაბარედ 1200 კვ.მ"

HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის სოციალურ მეცნიერებებში

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების სფეროში, აგრეთვე - ეკოლოგიაში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

■ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;

■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1973-1984 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე კვლევის ხარისხობრივ მეთოდებს.

**ფონდი აფინანსებს კვლევას შემდეგ მიმართულებათა ფარგლებში:**

1. ყოველდღიური ყოფის ისტორია;
2. სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში/ რელიგიის როლი დღეს;
3. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ);
4. ახალი შეხედულებები ძველ კონფლიქტებზე;
5. ეთნიკურობა;
6. მიგრაციული პრობლემები;
7. ლტოლვილები ქალაქში: გადარჩენის სტრატეგიები, თემის ჩამოყალიბება;
8. „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში;
9. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
10. ტრადიცია და დასავლური ღირებულებები;
11. ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები;
12. გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
13. ქალის პოლიტიკური სტატუსი და პოლიტიკური ლიდერობა;
14. ქალაქური კულტურა;
15. კომუნიკაცია ქალაქში;
16. ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები);
17. ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები;
18. ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
19. ქალაქების განვითარების პრობლემები;
20. არქიტექტურა და ხელისუფლება;

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2007-31.12.2007. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ ორგანიზებული თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.

■ კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **20 ოქტომბერი, 12:00** სთ.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სამეცნიერო დისციპლინა; საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური.
2. განაცხადის ანკეტა (ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან www.boell.ge).
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV).
4. ესსე (3-5 გვერდის მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას: *1. რატომ მაინტერესებს ეს თემა; 2. რა ვიცი თემის შესახებ; 3. რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას; 4. წლიური სამუშაო გეგმა.*
5. 2 რეკომენდაცია რომელიმე მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი აპლიკანტთან მიმართებაში).
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებითურთ.
7. სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე (თუკი არსებობს).

**ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები (სამეცნიერო ნაშრომთა ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნას რუსულ ენაზე და 3 ეგზემპლარად. განაცხადის არასრული ან დაგვიანებით შემოსული კომპლექტი არ განიხილება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, აგრეთვე, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამის "მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების" ქვეპროგრამის ასიგნების ფარგლებში ელექტროსაქონელის შეძენის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - ელექტროსაქონელის შესყიდვა.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამის "მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების" ქვეპროგრამა.

| ლოტი N | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I | ტელევიზორი | 10 |
| II | ტელევიზორი თხევად-კრისტალური | 1 |
| III | სარეცხი მანქანა | 13 |
| IV | მაცივარი | 20 |
| V | მუსიკალური ცენტრი | 1 |
| VI | გაზქურა | 8 |

**შენიშვნა:**

**ა)**. ელექტროსაქონლის ტექნიკურ აღწერილობის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

**- მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52

**- მიწოდების ვადები**: ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის განმავლობაში.

**აუცილებელი პირობა**:

■ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. Gგარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 9 ოქტომბერს 1600 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 9 ოქტომბერს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N211-ში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

გ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)

**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224

**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკის კოდი** - 220101107

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000

**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# განცხადება

ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ვაკე-საბურთალოს რაიონში (ბაგები), სახელმწიფო ექსპერტიზისა და მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარე ფერდზე სარეკრეაციო ზონის ფუნქციით. მიწის ნაკვეთი ფართით 4100კვ.მ. საკუთრების უფლება. რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ საკადასტრო რუკის

N 51975/06 29.08.06 სახელმწიფო საკუთრებად.

საქართველოს კანონი **"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" და საქართველოს იუსტიციის მინისტრის N65 ბრძანების** თანახმად, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანო განკარგავს საკუთრების ან სარგებლობის წესით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

**ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას 04.07.06 N17 ოქმის და ქ.თბილისის მთავრობის 11.07.2006წ. N18.20.364 დადგენილების** თანახმად, მიეცა ნებართვა განკარგოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს:

ვაკე-საბურთალოს რაიონში (ბაგები), სახელმწიფო ექსპერტიზისა და მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარე ფერდზე სარეკრეაციო ზონის ფუნქციით. მიწის ნაკვეთი ფართით 4100კვ.მ. მიწის საწყისი ფასი 60$ (სამოცი) ექვ. ლარებში, საკუთრების უფლება.

საკონკურსო პროგრამა შემუშავებულია **ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 04.07.06 N17 ოქმის ქ. თბილისის მთავრობის 11.07.2006წ. N18.20.364 დადგენილების და მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

საკონკურსოდ გამოტანილი უძრავი ქონების (3.1) გასაყიდი საწყისი ფასი: 60 (სამოცი) აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში. გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური კურსის შესაბამისად 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთისათვის.

***დოკუმენტაციისა და საკონკურსო წინადადებების წარდგენა***

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 18 სექტემბრიდან 11 სთ-დან 2006 წლის 18 ოქტომბრამდე 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია.

***კონკურსში მონაწილეობისათვის პრედენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:***

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
-განაცხადი დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- ფიზიკური ან იურიდიული პირის რეკვიზიტები;
- შემდეგი ცნობები:
- იურიდიული პირისათვის:
-ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
-ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
-ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
-სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- გადასახდელი თანხის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით.

**ფიზიკური პირისათვის;**

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- გადასახდელი თანხის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით.

**"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს:**
**მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300**
**ს/კ 203827074**
**ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი**
**კოდი 220101502**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ყველა მოთხოვნილ ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია საჯარო მოსმენიდან ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

ქონების აზომვა-რეგისტრაციის, აგრეთვე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და მისი საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს კონკურსში გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

**ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელეფონი 93.45.73, 99 52 35 მისამართი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;**

**ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ: 96.91.26 (111), მისამართი: დ.აღმაშენებლის გამზ: 89/24.**

# თანაშემოქმედება კავკასიიდან

პირველი გვერდიდან

სლენგი, რომელმაც ჩემს ლექსიკაში, სავარაუდოდ, ტექნიკური მიღწევების წყალობით შემოაღწია, ჩემთან ინგლისურად მოსაუბრე დირიჟორისთვის ის გასაღები იყო, რომლითაც საკუთარ და, შესაბამისად, ორკესტრის ძირითად კონცეფციას მიხსნიდა. კავკასიური კლასიკური მუსიკის დასავლეთისთვის გაცნობა, შესაძლოა, ყველაზე პრაგმატული, თუმცა არა ერთადერთი მიზანია, რომელსაც გერმანელი დირიჟორი უვე ბერკემერი და მისი მუსიკოსები სამიზნედ ირჩევენ. არ უთქვამს, მაგრამ კოდირებული ამოცანები ჩვენთვის ისედაც ნათელია: კავკასიური თანაშემოქმედება, ერთიანობის განცდა მუსიკაში, კავკასიის პოტენციალი გახსნილი ყველა დანარჩენისთვის, იმ დანარჩენისგან იზოლირებული "მიკროსამყაროს" - კავკასიის პრეზენტაცია სახელოვნებო ენაზე და ა.შ.

რა არის ორკესტრი? - უნდა ვაღიარო, რომ ამ წუთში არ მახსოვს, როგორ განიმარტება ის სპეციალურ ლიტერატურაში. ჩემთვის იგი ხელოვანთა თანაშემოქმედების საუკეთესო მაგალითია, რომელიც საუკეთესოთა შემთხვევაში დიდ სრულყოფილებას ქმნის. უფრო განვაზოგადებ და სანამ მთავარ თემას დავუბრუნდებოდე, იმასაც ვიტყვი, რომ ის ხელოვანები, რომლებიც შემოქმედებას ძიებად აღიქვამენ, ამ ძიების პროცესის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ რომ თანაშემოქმედებას უთმობენ. რა იბადება ერთობლივ შემოქმედებაში? რა იგრძნობა, როცა მრავალი ქმნის ერთს და თანაც მიახლოებულს სრულყოფილებასთან? რას ნიშნავს, როცა ერთიმეორის გარეშე შეუძლებელია ერთიც და მეორეც? ამ კითხვების საპასუხოდ მე ვარაუდები მაქვს, მათ, ხელოვანთ კი ალბათ ზუსტი პასუხები, ზუსტი აზრები, რომლებსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული მათივე ემოციები კარნახობთ.

გერმანელ დირიჟორს, კომპოზიტორსა და პიანისტს უვე ბერკემერს, რომელიც კავკასიის კამერული ორკესტრის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გახლავთ, უკვე არაერთი წელია, ინტენსიური ურთიერთობა აქვს კავკასიის ქვეყნებთან და ჩვენს მუსკოსებთან. 2000 წელს მან ქართველ მევიოლინე ბელა მახარაძეზე იქორწინა, რითიც ეს ურთიერთობა გაამყარა და ამიტომაც ბოლო წლებში სწორედ ბატონმა ბერკემერმა საქართველოს კამერული ორკესტრი რამდენჯერმე გერმანიის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. მას შემდეგ ის ამავე ორკესტრის მთავარი მოწვეული დირიჟორი გახდა, რომელსაც მრავალჯერ უდირიჟორა საქართველოსა და გერმანიაში. უვე ბერკემერის კონცერტი ვიოლინოსთვის, რომელიც ავტორმა ლიანა ისაკაძეს მიუძღვნა, დიდი წარმატებით შესრულდა თვით ლიანა ისაკაძის მიერ 2000 წელს დიცენბახის მეორე საერთაშორისო ფესტივალზე.

ბიოგრაფიული ცნობები ამით როდი ამოიწურება. უვე ბერკემერის შემოქმედებითი ცხოვრება, შესაძლოა, ქართველ მკითხველსა და მსმენელს 2000 წლიდან უფრო აინტერესებდეს, მაგრამ თავად ამ მუ-



სიკოსის ავტორიტეტი, პრაქტიკა და შესაძლებლობები ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდა და ამის წარმოსადგენად შემდეგიც უნდა ჩავიკითხოთ:

მან ფრანკფურტის კონსერვატორია დაამთავრა, პროფესორ იახმინ ფოლკმანის კლასი. ვოკალისა და დირიჟორის კლასში პარალელურად სწავლამ (ფრანკფურტის კონსერვატორია და ვისბადენის ოპერის სკოლა), ისევე როგორც ინტენსიურმა საკომპოზიტორო მუშაობამ, მალე მისცა შესაძლებლობა წარმდგარიყო მსმენელის წინაშე, ერთდროულად როგორც პიანისტი, კომპოზიტორი და შემდეგ როგორც დირიჟორი. "კონცერტებმა, რადიო და სატელევიზიო ჩანაწერებმა შეიყვანა იგი გერმანიის, ინგლისის, საქართველოს, ირლანდიის, იტალიის, ბელგიის, საფრანგეთის, პოლონეთის, აშშ-ს, კანადისა და სხვა უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ მეგაპოლისებში."

უვე ბერკემერი ყველაფერთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ასწრებს. 1989 წლიდან იგი მაინცის გიუთენბერგის უნივერსიტეტში ასწავლის. ის დიცენბახის საერთაშორისო ფესტივალის ინიციატორი და სამხატვრო ხელმძღვანელია. "მისი, როგორ უკვე აღიარებული კომპოზიტორის ნამუშევრები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. როგორც ჩანს, ბატონ ბერკემერს ორგანიზებისა და სხვადასხვა მუსიკალური ორგანიზმების დაარსება-ჩამოყალიბების ნიჭიც აქვს, რადგან კავკასიის კამერული ორკესტრი მის მიერ შექმნილთაგან პირველი არ არის. ხუთი წლის წინ მას "მსოფლიო კამერული ორკესტრიც" დაუარსებია. ეს უკანასკნელი, დირიჟორის თქმით, დღეს საკმაოდ საინტერესოდ მოღვაწეობს.

**- წარმატებულ გერმანელ მუსკოსს იპყრობს სურვილი წავიდეს და კავკასიელებს მათი საავტორო ორკესტრი შეუქმნას. ასეთი ერთობ მარტივი იდეები არაფრის გამო არ მოდის...**

- წლების განმავლობაში დავინახე, რა დიდი პოტენციალი და ნიჭი იყო ამ ქვეყნების მუსიკოსებში. თანაც, ამ რეგიონში რთული პოლიტიკური ვითარებაა. მუსიკა კი ისეთი უნივერსალური ენაა, რომ, ჩემი აზრით, არაერთი არასახელოვნებო პრობლემის მოგვარება შეუძლია. ამიტომ გამიჩნდა იდეა, რომ მშვიდობიან ატმოსფეროში ერთად ემუშავათ კავკასიის სხვადასხვა რეგიონების მუსიკოსებს. გასული წლის ზაფხულში კონკურსის სახით შევარჩიეთ მუსიკოსები. მოსმენები გვქონდა მოსკოვში, თბილისსა და ერევანში. ჩვენ საუკეთესოები შევარჩიეთ.

**- ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე წარმატებული გასტროლი გქონდათ. ამას გარდა, საინტერესოა, რამდენად ძნელია ამგავრი სპეციფიკის ორკესტრის მართვა, რა გამორჩეული პრობლემები გექმნებათ, რაც ჩვეულებრივ ორკესტრთან მუშაობაში არ იქნებოდა?**

- ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ორკესტრისთვის უკვე რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა. მათგან უნდა გამოვარჩიოთ გასტროლები ბერლინში, სადაც დიდი წარმატებით გამოვედით. შემდეგ იყო საერთაშორისო ფესტივალი "მშვიდობა თქვენდა", რომელიც თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, აღსანიშნავია ის, რაც წინ გველის. ვგულისხმობ საგასტროლო ტურნეს: ეუთოს მისიის მიწვევით მივემგზავრებით ვენაში, ევროპარლამენტის მიწვევით - ბრიუსელში, შემდეგ კი გამოვალთ სამხრეთ საფრანგეთის მუსიკალურ ფესტივალზე, რითაც ამ ეტაპზე დასრულდება ჩვენი გასტროლები ევროპაში. ასევე ძალიან სერიოზულად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ორკესტრმა უკვე რამდენიმე სერიოზული კონტრაქტი დადო. ერთ-ერთი მხარეა შვეიცარიული ტელევიზია, რომელიც 190-წუთიან დოკუმენტურ ფილმს იღებს კავკასიის კამერულ ორკესტრზე. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაასრულეს. 17 სექტემბერს ვენაში გადაღებებს დაიწყებენ. ამგვარი პროცესი მთელი მომავალი წლის მანძილზე გაგრძელდება.

რაც შეეხება პრობლემებს, ისინი ძირითადად პოლიტიკურია. რუსეთიდან სულ რამდენიმე მუსიკოსი გვყავს, მაგრამ აზერბაიჯანული მხარე საერთოდ არ ერთიანდება ჩვენს ორკესტრში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ორკესტრთან სომეხი მუსიკოსების თანამშრომლობაა. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ამ ორკესტრში აზერბაიჯანელი მუსიკოსებიც უკრავდნენ. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ პრობლემას გადავჭრით. ამისთვის ენერგიასა და ძალისხმევას არ ვიშურებთ.

**P.S**. გუშინ საღამოს კავკასიის კამერულმა ორკესტრმა ვენაში გამართა პირველი კონცერტი. მათ სარეპერტუარო პროგრამაში, სხვა არაერთთან ერთად, ფართოდ არის წარმოდგენილი კავკასიელ კომპოზიტორთა მუსიკა, მათ შორის, ჩვენი თანამედროვეების ნაწარმოებები. სწორედ ამ საგასტროლო კონცერტებზე გაიმართება ვაჟა აზარაშვილის ახალი სიმფონიის პრეზენტაციაც. უვე ბერკემერი თვლის, რომ ეს საუკეთესო გზაა, რათა ევროპას თანამედროვე კავკასიური მუსიკა გააცნოს.




## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06, 893 65 38 39



DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

## სტიპენდიები საქართველოსთვის 2007/2008

DAAD - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, 2007/2008 სასწავლო წლისთვის აცხადებს სტიპენდიების კონკურსს ქართველი სტუდენტების, დოქტორანტების, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებისთვის:

**სტიპენდიები სტუდენტებისთვის:**

■ საზაფხულო კურსები ყველა სპეციალობის სტუდენტისათვის (მესამე კურსზე და ზემოთ) და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისთვის;
■ სემესტრული სტიპენდია მესამე კურსელი გერმანისტებისთვის;
■ ერთწლიანი სტიპენდია მესამე კურსელი ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის;

ზემოთჩამოთვლილი სტიპენდიების კონკურსში მონაწილეთათვის საჭიროა ტესტის გავლა 2006 წლის 14 ოქტომბერს. ტესტის გასავლელად კონკურსანტები უნდა დარეგისტრირდნენ 2006 წლის 11 ოქტომბრამდე DAAD-თბილისის საინფორმაციო ცენტრში.

**პროგრამები უმაღლესი საწავლებლის კურსდამთავრებულებისთვის, დოქტორანტების, ხელოვანებისა და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისათვის:**

■ კვლევითი სტიპენდიები დოქტორანტებისა და ახალგაზრდა კვალიფიცირებული მეცნიერებისათვის;
■ სტიპენდიები ხელოვანთათვის;
■ კვლევითი სტაჟირება უნივერსიტეტის პედაგოგებისათვის ხელოვნების სფეროდან;
■ კვლევითი სტაჟირება ყველა სფეროს ხარისხის მქონე მეცნიერისათვის ;

**განაცხადების შემოტანის ბოლო ვადა: 2006 წლის 31 ოქტომბერი.**
**დაწვრილებითი ინფორმაცია და ინდივიდუალური კონსულტაცია:**
DAAD- თბილისის საინფორმაციო ცენტრი
ზანდუკელის ქ. 16
0108 თბილისი
**ტელ/ფაქსი**: 92 09 26 **ელ-ფოსტა**: info@daad.org.ge
მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევამდე, 14.00 - 18.00 სთ-მდე.



DAAD

## გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI)

**აცხადებს კონკურსს სტიპენდიებზე: სამაგისტრო კურსი, მეცნიერთა კვლევითი სტაჟირება და სამეცნიერო ხარისხის დაცვა გერმანიაში**

სტიპენდიები გაიცემა შემდეგ სპეციალობებზე: პოლიტოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ეროვნული ეკონომიკა, სახელმწიფო მართვა, განათლების მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ფილოსოფია

სტიპენდიის მიღება შეუძლიათ კონკურსანტებს, რომელთაც უკვე აქვთ მინიმუმ ოთხწლიანი სწავლების (ბაკალავრი) დიპლომი, ასევე მაგისტრის ან 5-წლიანი დიპლომის მქონე კურსდამთავრებულებს ან ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატებს.

**საბუთების შემოტანის ბოლო ვადა ყველა პროგრამისათვის: 2006 წლის 31 ოქტომბერი.**

ინფორმაცია ცალკეული პროგრამების შესახებ და ინდივიდუალური კონსულტაციები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართებზე:

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი
(გებჰარდ როილი, ნინო ანთაძე)
ზანდუკელის ქ.16
0108 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 92 09 26
ელ-ფოსტა: info@daad.org.ge
მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევამდე, 14.00-18.00 სთ-მდე

საერთაშორისო განათლების ცენტრი
(CIE, გიორგი გიგიბერია)
ჭოველიძის ქ. 10
0108 თბილისი
ტელ/ფაქსი (+995 32) 25 26 15
ელ-ფოსტა: gaga@osgf.ge
მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევამდე, 14.00-16 სთ-მდე.

**საბუთების ჩაბარება შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ საინფორმაციო- და საკონსულტაციო ცენტრებში.**





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.
მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილქალაქგანათება" აცხადებას ღია ტენდერს საწარმოსთვის ელ. მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტი: თვითმზიდი იზოლირებული სადენები და აქსესუარები.

პირველი პოზიცია (ლოტი) - თვითმზიდი სადენის აქსესუარები და სადენები

ჰერმეტული გამხვრეტი მომჭერი 16-95 1,5-10 4000 ცალი
გამხვრეტი მომჭერი 10-95 10-95 500 ცალი
შუა საკიდი მომჭერი 2-4X (25-120) (30 გრად.) 2000 ცალი.
ანკერული მომჭერი 4X (16-25) 500 ცალი.
ანკერული მომჭერი 2X (16-25) 500 ცალი.

თვითმზიდი იზოლირებული სადენები:

4X16-30 კმ (30 000 მ)
2X16-20 კმ (20 000 მ)

2 . მიწოდების ვადა-მასალების შემოტანა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. თვითმზიდი იზოლირებული სადენების აქსესუარები და სადენები შემოტანილ იქნეს მთლიანი რაოდენობის 50% ოდენობით გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიწოდების ადგილი: თვალჭრელიძის პირველი შესახვევი №7.
3. მიწოდებული საქაონლის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად განსაზღვრული საქონლის შემოტანის შემდეგ 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადასახადის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 18 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის პირველი შესახვევი № 7, შ.პ.ს "თბილქალაქგანათება". სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ\კ 220101502, ანგ. №013467736, ს\კ 208141474.
6. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 ოქტომბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე;
ქ. თბილისი, თვალჭრელიძის პირველი შესახვევი №7, შ.პ.ს. "თბილქალაქგანათება".
7. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
7.1. იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სამნაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ე) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
7.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედითუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები.
როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
შესაბამისობის სერთიფიკატის წარმოდგენა.
8. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ამირან ქურცუა, ტელ: 45-45-13 (10-დან 17 საათამდე) ან მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის პირველი შესახვევი № 7.

**სატენდერო კომისია**



## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**
■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





**გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) კონტრაქტის საფუძველზე სამუშაოდ იწვევს პროფესიონალ ჟურნალისტს იუნისეფის საინფორმაციო მასალებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსამზადებლად**

ჟურნალისტი იმუშავებს იუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და მოამზადებს ტექსტებს *იუნისეფი საქართველოში* პერიოდული გამოცემის, საინფორმაციო ბიულეტენებისა და ბროშურებისათვის,

ძირითადი მოთხოვნები
- ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა, წერის მაღალი კულტურა;
- სოციალურ საკითხებზე, განსაკუთრებით ბავშვთა პრობლემებზე, წერის გამოცდილება;
- კომპიუტერის სტანდარტული პროგრამების ცოდნა და პერსონალურ კომპიუტერთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ინგლისურის ცოდნა სასურველია.

საწყის ეტაპზე იუნისეფი სთხოვს დაინტერესებულ პირებს წარმოადგინონ კონკურსში მონაწილეობის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:
- რეზიუმე;
- ავტორის სტატიების"სიუჟეტების ასლები;
- მოთხოვნილი ჰონორარის ოდენობა;

გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადება ა.წ. 27 სექტემბრის 6 სთ-მდე დაბეჭდილ კონვერტში იუნისეფის ოფისში მისამართზე: ერისთავის ქ 9, გაეროს სახლი, IV სართული.

სამუშაოს დეტალური აღწერილობისა და ინფორმაციის შესახებ გთხოვთ დაუკავშირდეთ მაია ქურციკიძეს ტელ: 23 23 88, 25 11 30, mkurtsikidze@unicef.org

გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) კონტრაქტის საფუძველზე სამუშაოდ იწვევს სატელევიზიო სტუდიებს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ 2,2 წუთიანი ვიდეო ფილმების მოსამზადებლად.

საწყის ეტაპზე იუნისეფი სთხოვს დაინტერესებულ ორგანიზაციებს წარმოადგინონ კონკურსში მონაწილეობის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:
- ორგანიზაციის პორტფოლიო;
- ბიუჯეტი;

სამუშაოს დეტალური აღწერილობის შესახებ გთხოვთ დაუკავშირდეთ მაია ქურციკიძეს ტელ: 23 23 88, 25 11 30, mkurtsikidze@unicef.org

გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადება ა.წ. 30 სექტემბრის 6 სთ-მდე დაბეჭდილ კონვერტში იუნისეფის ოფისში მისამართზე: ერისთავის ქ 9, გაეროს სახლი, IV სართული.

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები **(Save the Children)** ახორციელებს **იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა კომუნალური ცენტრების რეაბილიტაციის** პროექტს. პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს **(SDC)** მიერ.

ვიწვევთ შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფირმებს ტენდერში მონაწილეობისათვის, რომელიც ტარდება **სურამის სანატორიუმი "მზიური"**-ში

მდებარე კოლექტიური ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ტენდერში მონაწილეობის ინტერესის წერილი, რომლის საფუძველზეც ისინი მიიღებენ სატენდერო დოკუმენტაციას.

წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი დალუქულ კონვერტში **2006 წლის 27 სექტემბრის 15:00 საათამდე** ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

**ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები**
**თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8**
**ტელ. 99 54 54**
**ერეკლე ჩხიკვაძე**

# რუსმა ბორჯომი დაბეილია

## "ბორჯომის თასმა" ესტაფეტა გადასცა "იან ჰომერის თასს"

ბიგა ბურასაშვილი

*დიღომში, იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო სპორტულ კომპლექსში დასრულდა პროფესიონალ ქალთა საერთაშორისო ტურნირი "ბორჯომის თასი". კორტებს, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობა საღებავის სუნი, პირველი გამარჯვებული ჰყავს. ეს არის რუსი ვარვარა გალანინა, რომელმაც ფინალში დაამარცხა მასპინძელი ეკა გორგოძე და "ბორჯომის თასს" დაეპატრონა.*

ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც ადრე "ლეილა მესხის აკადემიის" კორტები მასპინძლობდა, ახალსახლობა აქვს - დიღმის "იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსი".

საჩოგბურთო ოაზისი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დღეიდან თამამად შეგვიძლია ვუმასპინძლოთ ნებისმიერ დიდ ტურნირს. მანამდე კი ორიოდე სიტყვა "ბორჯომის თასზე", რომლის 10-ათასიანი საპრიზო ფონდისთვის ქართველებთან ერთად უცხოელებიც იბრძოდნენ.

გუშინ გაიმართა ერთეულთა თანრიგის ფინალი. მთავარი ჯილდოსთვის ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ეკატერინე გორგოძე და ვარვარა გალავინა.

ფინალი ისე დაიწყო, ვიფიქრეთ, გამარჯვება ქართველს დარჩებოდა, მაგრამ მერე და მერე რუსმა იყოჩაღა და "ბორჯომის თასი" მისი საკუთრება გახდა.


გამარჯვებული


ფინალისტი

თუმცა, წინა დღით ქართველ ფინალისტს ტრავმირებული ფეხი ხელმეორედ ეტკინა. ყველაფერ ამის გამო მასზე აუგი არავის დასცდენია. გორგოძემ მაინც შეძლო მაქსიმალურად ეთამაშა. მოგვიანებით თქვა კიდეც, ფინალში წაგების გამო გული არ მწყდება. ტრავმა რომ არა, ალბათ გამარჯვებაც შეიძლებოდაო.

ეკა გორგოძის თავგანწირვა უყურადღებოდ არ დარჩენია კომპლექსის ბატონ-პატრონ კომპანია "ქართული ჩოგბურთის" ხელმძღვანელს დავით ლანჩავას, რომელმაც ქართველი ჩოგბურთელი ტურნირისთვის დაწესებული სპეციალური ჯილდოთი - 1000-დოლარიანი ქვითრით დაასაჩუქრა.

"გორგოძემ შეუძლებელი შეძლო. ისეთი მებრძოლი ხასიათი გამოავლინა, რომ გადავწყვიტეთ მისთვის გადაგვეცა სპეციალური პრიზი", - თქვა დავით ლანჩავამ.

საგულისხმოა, რომ გორგოძე ტურნირში "ველური ბარათით" ჩაერთო, მან კი ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ესეც რომ არა, მეტოქეზე ორი წლით უმცროსი გახლდათ (გორგოძე 14 წლისაა). აგვისტოში ქართველმა ჩოგბურთელმა გერმანიაში 16 წლამდელთა შორის "მერსედესის თასის" გათამაშება მოიგო როგორც ერთეულებში, ისე წყვილთა თანრიგში.

ბედნიერი იყო ტურნირის გამარჯვებული ვარვარა გალანინა: "რაკი ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვე, გადავწყვიტე ბოლომდე ბრძოლა. თუმცა არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა კონცენტრირებას. საბედნიეროდ, შევძელი. მთელი ძალ-ღონე შევალიე ფინალს. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვე".

დამთავრდა წყვილთა ასპარეზობებიც. ერთეულებში გამარჯვებული გალანინა აქაც ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ სომეხ ლუდმილა ნიქოიანთან შეამხანაგებულმა ვერ დაძლია იულია სოლონიცკაია/ამინა რახიმას რუსულ-ყაზახური ტანდემი.

ტურნირის ქართველი ფინალისტი მარიამ ქურდაძესთან წყვილებშიც ასპარეზობდა, მაგრამ პირველ წრეში სწორედ სოლონიცკაია/რახიმას წყვილთან დამარცხდა.

"ბორჯომის თასი" დასრულდა, მაგრამ დაიწყო "იან ჰომერის თასის" გათამაშება. ასე რომ, ჩოგბურთი კიდევ ერთი კვირით გრძელდება.

### "ბორჯომის თასი"

**საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი. საფარი: ჰარდი**

**ერთეულები:**

ეკა გორგოძე - ვარვარა გალანინა 3:6, 4:6

**წყვილები:**

სოლონიცკაია/რახიმა - გალანინა/ნიქოიანი 7:5, 6:1

# მოკრძალებული, მაგრამ ექსტრაორდინარული

მარი ჭავახიშვილი

დღე ოთხშაბათი. ადგილი "მილანელოს" რესტორანი. მაგიდასთან მსხდომი ფეხბურთის მამების საუბრის თემა ძირითადად ფეხბურთი და ფეხბურთთან დაკავშირებული საკითხებია. მოულოდნელად "მილანის" პრეზიდენტი დონ სილვიო ბერლუსკონი კითხვას სვამს: "ბოლოს და ბოლოს, როდის შევძლებ ამ გურკუფის ხილვას?" ანჩელოტი აუღელვებლად პასუხობს: "დღეს! გურკუფი დღეს აეკ-ის წინააღმდეგ ითამაშებს". "როგორ? დღეს ჩემპიონთა ლიგაზე მისი დებიუტი იქნება?" - ისევ ბერლუსკონი სვამს კითხვას. "დიახ, და ამ ბიჭს ამის ყველა მონაცემი აქვს", - პასუხობს ანჩელოტი. თანხმობის ნიშნად კარლიტოს თანაშემწეც თავს აქიცინებს. "დარწმუნებული ხართ?" - არ ცხრება პრეზიდენტი. "ასი პროცენტით. გვერწმუნეთ, ის ბრწყინვალე ფეხბურთელია". არ გასულა ათი საათი და დონ სილვიო თავად დარწმუნდა კარლო ანჩელოტის სიტყვების ჭეშმარიტებაში - აეკ-თან შეხვედრაში ფრანგი თავდამსხმელი, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო იყო, საკუთარ ანგარიშზე პირველი ლიგური გოლიც მიითვალა.

მატჩის შემდეგ რესტორან "ჯანინისთან" გამართულ ბანკეტზე ბერლუსკონი გურკუფის თამაშით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ მალავდა - ის მართლაც ძალიან ნიჭიერი, სწრაფი და ტექნიკურია. მამას შვილმა, პიერ სილვიომაც აუბა მხარი: "იოანი ექსტრაორდინარული ფეხბურთელია. მაგრამ პირველი, რამაც მისი ნახვისას გამაოცა, მისი მოკრძალებაა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს გასახდელში ლაპარაკის რცხვენოდა, ანჩელოტის კი თვალებში ვერ უყურებდა. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მოედანზე გასულმა რადიკალურად განსხვავებული ხასიათის დემონსტრირება მოახდინა. დაუღალავად მოძრაობდა, რაც თანამედროვე ფეხბურთში ბევრს ნიშნავს".



იოან გურკუფმა "მილანის" ძირითადში ადგილი იოლად დაიმკვიდრა.

"მთელი მატჩის განმავლობაში თვალებს არ ვუჯერებდი, როცა ვხედავდი, რა მსუბუქად მოძრაობდა იოანი მოედანზე და რა იოლად ატყუებდა მეტოქეებს. შეიძლება ვინმემ ტენდენციურობაში დამადანაშაულოს, მაგრამ ჩემი შვილი ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაშია", - ეს სიტყვები იოანის მამას, ფრანგული "ლორიანის" მთავარ მწვრთნელს კრისტიან გურკუფს ეკუთვნის.

და მაინც, საინტერესოა, ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი "მილანში" გურკუფის გადაბარგებაში? ანჩელოტი გამოტყდა: "მე არაფერ შუაში ვარ". როგორც ირკვევა, ამ ამბის გაჩარხვა "შავწითელთა" გენერალურ დირექტორს არიედო ბრაიდას უკავშირდება. ამ უკანასკნელმა ყურად იღო ოსკარ დამიანის რჩევა, საფეხბურთო აგენტის, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ადევნებდა თვალს 20 წლის გურკუფის თამაშს. როცა ბრაიდას გადაწყვეტილება ადრიანო გალიანიმაც მოუწონა, აღმოჩნდა, რომ ფრანგ ფორვარდზე ერთბაშად რამდენიმე კლუბს - "ლიონს", "მონაკოს", "ჩელსისა" და "არსენალს" გაეჩაღებინათ ნადირობა. გურკუფს ერთიმეორეზე უკეთეს ანაზღაურებასა და კონტრაქტის პირობებს სთავაზობდნენ, თუმცა...

ახალგაზრდა ტალანტი მილანში მამასთან, კრისტიანთან ერთად ჩავიდა. ჩასვლიდან რამდენიმე საათში გურკუფები მილანითა და "მილანელოთი" გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. დიდხანს არც "როსონერისთან" კონტრაქტის გაფორმებაზე უფიქრიათ. იტალიელებმა 4 მილიონ 250 ათასი ევრო გადაუხადეს ფრანგულ "რენს", რომელმაც სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა გურკუფს კონტრაქტი არ გაუხანგრძლივა.

მოკრძალებული ხასიათის მიუხედავად, "მილანში" გურკუფს ადაპტაცია არ გასჭირვებია - იოლად გამონახა თანაგუნდელებთან საერთო ენა. განსაკუთრებით კი ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფს დაუახლოვდა. ეს უკანასკნელი თითქმის მთელ თავისუფალ დროს ფრანგ ნახევარმცველთან ატარებდა, აცნობდა ქალაქს, აძლევდა საჭირო რჩევებს. "მილანის" 20-ნომრიანი მაისურაც იოანმა სწორედ უფროსი ჰოლანდიელი მეგობრის რჩევით მოირგო.

აეკ-თან "სან-სიროზე" გამართული დაუვიწყარი შეხვედრის მეორე დღე განსაკუთრებული იყო. სხვანაირად არ შეიძლება ყოფილიყო - "მილანელოსკენ" მიმავალს ყველაზე ერთგული გულშემატკივარი უმშვენებდა გვერდს - საცოლე ანნ-სოფი. ვარჯიშის შემდეგ დღემ ჩვეულებრივი დატვირთვა შეიძინა - იოანი და სოფი ერთად გაეშურნენ ცნობილი დიზაინერების მაღაზიებისკენ, მერე "სან სიროსთან" ახლოს მდებარე სახლში შეიარეს, რომელშიც ბოლო სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. საღამოს ვახშამს კი გურკუფის საყვარელი კელტური მუსიკა გასდევდა ფონად...

# დინამოს პირველი "ჩეხური" ქულები

## უგრინს კახელებთან დებიუტი ჰქონდა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეექვსე ტურის შეხვედრები. ტური იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მოხდა თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩეხი დუშან უგრინის დებიუტი. "დინამომ" ჩემპიონატის გამოკვეთილ აუტსაიდერს თელავის "კახეთს" უმასპინძლა, რომელსაც დღემდე ერთი ქულაც არ ჰქონდა მოპოვებული. საქართველოს საუკეთესო გუნდმა მთლად კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. უგრინის გუნდმა "კახეთი" მინიმალური ანგარიშით - 2:1 დაამარცხა. დინამოელთაგან თავი გამოიჩინეს გიგაურმა და ამბროზიომ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სულ ერთი დღეა, რაც დუშან უგრინი სათავეში ჩაუდგა "დინამოს" და გასაგებია, რომ რადიკალურ ცვლილებებს ვერ მოახდენდა. ორი დღის წინ გამართულ პრეზენტაცია-პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილი აქვს, "დინამო" ევროპული კლასის გუნდად აქციოს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია მცხეთაში დაფიქსირებული ნულოვანი ფრე "ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის "მერანს" შორის. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლმა ვეტერინარებმა დებიუტანტ "მერანს" გოლი ვერ გაუტანეს და ქულას დასჯერდნენ. ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო რუსთავის "ოლიმპმა". მან ამჯერადაც შედეგიანი თამაშით გამოიჩინა თავი და ბორჯომში ადგილობრივ "ბორჯომს" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. თავი გამოიჩინეს ლაზარაშვილმა, ქებაძემ, აფციაურმა და დვალიშვილმა. ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას მიაღწია და სატურნირო ცხრილს 18 ქულით ლიდერობს თბილისის "ამერი". გიორგი ჩიხრაძის გუნდს ამჯერად ქუთაისის "ტორპედო" "ემსხვერპლა". "ამერმა" 1:0 დაამარცხა მეტოქე. გამარჯვების გოლი რატი წინამძღვრიშვილის ანგარიშზეა.

### მეექვსე ტური

ვიტ ჯორჯია - მერანი 0:0
დინამო (თბ) - კახეთი 2:1
ჩიხურა - ლოკომოტივი 1:1
დინამო (ბთ) - ზესტაფონი 1:1
დილა - სიონი 0:1
ბორჯომი - ოლიმპი 0:4
ამერი - ტორპედო 1:0

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს 17 საათზე ტარდება
ს.ს. "მემონტაჟის" აქციონერთა კრება

დღის წესრიგი : განვლილი პერიოდის ანგარიში
არჩევნები

გთხოვთ აქციონერებს მობრძანდეთ მისამართზე: ქ. ქუთაისი
9 აპრილის N 5

**სამეთვალყურეო საბჭო**



მამა მამული ალადაშვილი, მეუღლე მამუკა ასათიანი, შვილები თამთა და შალვა ასათიანები, რძალი თამარ გელაშვილი, სიძე ლევან ჯანაშვილი, შვილიშვილები ელენე ასათიანი, ზაალ სამხარაძე, დედამთილი ლიანა აბაშიძე, მამამთილი გივი ასათიანი, მამიდა ნანა ალადაშვილი, დეიდები ცირა და მანანა, დეიდაშვილები კახა, თამარი, მული ქეთინო ასათიანი შვილებით ვახტანგი, ლიკა და ზურაბი, მძახლები ლიანა და ზაალ სამხარაძეები, ლინა და ივა გელაშვილები, ნანა და ზურაბ კანაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუკა მამულის ასული ალადაშვილი-ასათიანი**

**პანაშვიდი** 19-20 სექტემბერს 17.00 საათზე, გაგარინის I ჩიხი, №2, **გამოსვენება** 21 სექტემბერს 15.00 საათზე ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოზე)

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




## Coca-Cola-სგან რეცეპტის გამჟღავნებას მოითხოვენ

თურქეთში კომპანია Coca-Cola-ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. მოსარჩელე მხარე კომპანიისგან უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის დამზადების რეცეპტს მოითხოვს.

"ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასმელების და საკვები პროდუქტების მწარმოებელი ყველა კომპანია ვალდებულია მყიდველს თავისი პროდუქციის შემადგენლობა გააცნოს." - განაცხადა გუშინ ფონდ "წმინდა ნიკოლოზის" ფონდის საბჭოს ხელმძღვანელმა მუამერ კარაბულუტმა.

მისივე თქმით, ჩვეულებრივი სასმელი წყლებიც კი, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე იყიდება, მყიდველს პროდუქტის შემადგენლობას აცნობს. "Coca-Cola" კი დამზადების რეცეპტს მალავს. ამაზე კი თურქეთის მოსახლეობას კანონით მინიჭებული უფლება აქვს."-აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

"ჩვენი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აუცილებელია ვიცოდეთ, კონკრეტულად თუ რომელ ნივთიერებებს შეიცავს ამერიკული გამაგრილებელი სასმელი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია Coca-Cola ჩვენს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და სასმელის რეცეპტს არ გაგვაცნობს, მას თურქეთის ტერიტორიაზე სასმელის წარმოების უფლება გაუუქმდება.

შეგახსენებთ, რომ სტამბულში პირველი სექტემბრიდან Coca-Cola-სა და Pepsi-ს გაყიდვა აიკრძალა. კარაბულუტი დარწმუნებეულია, რომ Coca-Cola-ს ანტითურქულ კამპანიას სხვა ქვეყნებიც მიბაძავენ.

"თურქეთის მოსახლეობის ჯანმრთელობა არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე სხვა ქვეყნების. მაგალითად ლატვიამ და ინდოეთმა ამერიკულ სასმელთან მიმართებაში სათანადო ზომები უკვე მიიღო.

ამ სასმელებით ვაჭრობა თურქეთისთვის ძალიან მოგებიანია, თუ ჩვენ კომპანია "კოკა-კოლას" რეკლამასაც დავიწყებთ, მაშინ შემოსავლები კიდევ უფრო გაიზრდება. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მოსახლეობის ჯანმრთელობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია." აცხადებს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო "წმინდა ნიკოლოზის" ფონდის სარჩელს დააკმაყოფილებს, თურქეთი კიდევ ერთი სახელმწიფო იქნება, სადაც "კოკა-კოლას" რეალიზაცია კანონით აიკრძალება.

სექტემბრიდან "კოკა-კოლა" ლატვიის სკოლებში აიკრძალა.

კომპანია "კოკა-კოლას" ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი გამოექომაგა. ის დღეს კომპანია "კოკა-კოლაში" მუშაობს. მან ლატვიის პრეზიდენტ ვაირე ვიკე-ფრეიბერგეს სასმელის აკრძალვის გაუქმების შესახებ თხოვნითაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3119 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9859 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4751 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7450 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8148 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1341 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3043 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2167 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4175 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3356 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1855 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1484 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2885 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1899 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2498 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3998 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5589 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1498 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4114 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3096 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2675 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5600 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5862 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0652 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1036 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4520 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5159 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4204 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4761 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8128 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0343 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1384 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4434 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2401 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3898 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0778 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2197 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2242 |




# რაც კარგია "გაზპრომისათვის" და ცუდია "ფორდისათვის..."

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

"ჩვენ ენერგეტიკული ზესახელმწიფოს სტატუსი არ გვჭირდება," - განაცხადა პრეზიდენტმა პუტინმა "ვალდაის" სადისკუსიო კლუბში დასავლელ პოლიტოლოგებთან და ჟურნალისტებთან საუბრის დროს. ამ სიტყვების გაგონებაზე დამსწრეთა უმრავლესობამ, ალბათ, იფიქრა, რომ პუტინს ამ განცხადებიდან, უბრალოდ, სიტყვა "ენერგეტიკულის" ამოგდება და "ზესახელმწიფოს" დატოვება სურდა. მაგრამ პრეზიდენტმა იქვე განმარტა: მას სულ არ სჭირდება ზესახელმწიფოს სტატუსი და რუსეთს ამ სტატუსს შეგნებულად აწებებენ, რათა შეახსენონ, რომ იგი ოდესღაც საბჭოთა კავშირი იყო.




B3

# მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის შეხვედრა სინგაპურში

სინგაპურში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების მმართველთა შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები განიხილეს. მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მართვის სფეროში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, სავალუტო ფონდში ცალკეული სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი კვოტების გაზრდის საკითხიც. ნიდერლანდების ჯგუფის შეკრებას საქართველოს მხრიდან ესწრებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე.
ნიდერლანდების ჯგუფის შეხვედრაზე მმართველებმა ყურადღება გაამახვილეს მსოფლიოს ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივ ანგარიშზე "Doing Business 2007 - როგორ უნდა წარიმართოს რეფორმები". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მსოფლიოს ყველაზე წარმატებული სახელმწიფოების ათეულიდან სამი - საქართველო, რუმინეთი და ხორვატია სწორედ ნიდერლანდების ჯგუფში შემავალი ქვეყნებია.




B2

# რთველი "შვეიცარულად"

დიანა ჩაჩუა

"ყველანი რთველში" - დაახლოებით ასე შეიძლება დავახასიათოთ ბოლო პერიოდში საქართველოში გაჩაღებული "რთველის ისტერია". დასაბამი მას მეზობელი რუსეთის ბაზრიდან ქართული ღვინის "გამოძევებამ" და, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტის ბიზნესმენების მისამართით გამოთქმულმა "თხოვნამ" მისცა. ამ შემთხვევაშიც ეს ორი მიზეზი იყო გადამწყვეტი, მაგრამ ერთი შვეიცარული ტრადიცია რომ არა, შეიძლება, გასულ შაბათს "შვეიცარულ რთველში" არც აღმოვჩენილიყავით. მოკლედ, საქმე ის არის, რომ საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციამ ველისციხეში "რთველი 2006"-ში მონაწილეობა მიიღო.







B4

## ქუთაისში და ფოთში ახალი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა იწყება

ლიკა ჯობაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მუნიციპალური და გარსემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის ჯგუფი 15-16 სექტემბერს ორ დღიანი ვიზიტით საქართველოს რეგიონებში - ქუთაისში, ფოთსა და გორში იმყოფებოდნენ.

ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა და EBRD-ის მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის ჯგუფის დირექტორმა ტომას მეიერმა "ფოთისა და ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის" სასესხო ხელშეკრულებას 15 სექტემბერს ოფიციალურად მოაწერეს ხელი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმების საფუძველზე "წყალმომარაგების პროექტის" განხორციელება, პირველ რიგში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ისეთ მინიშვნელოვან რეგიონებში დაიწყო, როგორიც არის ფოთი და ქუთაისი. 2009 წლიდან ფოთისა და ქუთაისის მოსახლეობა ოცდაოთხსაათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

ქუთაისსა და ფოთში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმჯობესების მიზნით, პროექტი წყალმომარაგებისა და გამანაწილებელი ქსელის აღდგენას, ძირითადი ჭაბურღილების, გადამცემი, წყალსაქაჩი სადგურისა და წყლის რეზერვუარების, კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციას, წყლის მრიცხველების შეძენასა და მონტაჟს ითვალისწინებს.

ქალაქ ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის საერთო ღირებულება 12,7 მილიონ ევროს შეადგენს, აქედან კრედიტის სახით 3 მილიონი ევრო ქუთაისს EBRD-მა გამოუყო. აღნიშნული თანხა სამუშაოების დაწყების პირველ ეტაპს მოხმარდება. შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA), ევროკავშირის გრანტები (EU) და "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" (MSG).-კი ის დონორი ორგანიზაციები გახლავთ, რომელთა გამოყოფილი გრანტებით სამუშაოების უმეტესი ნაწილი დაფინანსდება.

ქალაქ ფოთში წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო- სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 12, 3 მილიონი ევროა გამოყოფილი. აქედან კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტი 2,5 მილიონ ევროს შეადგენს.

ქუთაისში სამუშაოებს შპს "ქუთაისწყალკანალი", ფოთში კი "ფოთის წყალკანალი" განახორციელებს. სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები 2009 წელს დასრულდება. მიმდინარე სამუშაოებს კი კოორდინაციას მუნიციპალური განვითარების ფონდი გაუწევს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი და EBRD-ის მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის ჯგუფის დირექტორი ტომას მეიერი თანამშრომლობით კმაყოფილნი არიან და აცხადებენ, რომ აღნიშნული პროექტების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ძალიან დიდია.

"დღეიდან ფოთისა და ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის უმნიშვნელოვანესი პროგრამის განხორციელებას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს და საერთოდ ხელისუფლების გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია. იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების თანამშრომლობის შედეგად მიღებული ეს მოცულობით და გარნდიოზული პროექტი დანარჩენი რეგიონებისთვისაც სამაგალითო იქნება.

ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი არა მხოლოდ რეაბილიტაციას, არამედ მთლიანად სისტემის მშენებლობასა და მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას გულისხმობს. 25 სექტემბრიდან პროექტზე მუშაობა დაიწყება, კონკრეტული სამუშაოები წელსვე დაიწყება და სავარაუდოდ 2009 წლისთვის დასრულდება."-აცხადებს ლექსო ალექსიშვილი.

ინვესტორებისა და ბიზნესმენების დიდ ინტერესს იწვევს შავი ზღვის ფოთის აკვატორია. ქალაქის მერის ივანე საგინაძის თქმით, ფოთში მრავალი პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია.

"დღეს კიდევ ერთ უმნიშვნელივანეს პროექტს მოეწერა ხელი, რომლის წყალობითაც ფოთის მოსახლეობა უახლოეს მომავალში წყალს ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მიიღებს. ასევე წარმატებით მიმდინარეობს გზების რეაბილიტაციაც. ამ ეტაპზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა გახლავთ. ცოტა ხნის წინ, ფოთში რამოდენიმე მცირე და საშუალო საინვესტიციო პროექტი განხორციელდა, მათ შორის არის თევზის, ხორცის, ზეთის და სამაცივრე დანადგარების ქარხნების მშენებლობა. ფოთი აქამდე მხოლოდ საპორტო ქალაქად მოიაზრებოდა, დღეს კი საკურორტო ინფრასტრუქტირის განვითარებასაც ეყრება საფუძველი. ერთი კვირის წინ, ჩვენ კვიპროსელ ბიზნეს ჯგუფს ვუმასპინძლეთ, რომლებიც ფოთის აკვატორიაში, კონკრეტულად კი მდინარე ენგურის სამხრეთ სანაპიროთი სერიოზულად დაინტერესდნენ. სამ თვეში ისინი საქართველოს პრეზიდენტს ბიზნეს-პროექტს წარუდგენენ და იმ შემთხვევაში, თუ მას მთავრობა მიიღებს, ფოთი საპორტო-საკურორტო ზონად გადაიქცევა"- აცხადებს ფოთის მერი ივანე საგინაძე.

## გორში ხაზინა და საგადასახადო სამსაახური გაერთიანდა

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ფინანსთა მინისტრმა მხარის რწმუნებულთან მიხეილ ქარელთან და საგადასახდო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან კახა ბაინდურაშვილთან ერთად გორის ახალი საგადასახადო ინსპექცია გახსნა. 16 სექტემბრიდან შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონის 28 ათასზე მეტ გადამხდელს ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგადასახადო ინსპექცია მოემსახურება. "მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქ ერთად იქნება განთავსებული რეგიონის ფინანსთა სამინისტროს ეროვნული ხაზინა და საგადასახადო სამსახური. ასევე მნიშვნელოვანია სერვის ცენტრი, რომლის მეშვეობითაც გადასახადის გადამხდელს მისთვის საჭირო ყველა საბუთისა თუ დოკუმენტის უპრობლემოდ ჩაბარება შეეძლება. ინსპექციის შენობა კეთილმოწყობილი და თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, რაც მომსახურე პერსონალსა თუ გადამხდელს მუშაობის მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს შეუქმნის." - აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

"გორის საგადასახადო ინსპექცია, პრაქტიკულად პირველია, რომელიც სრულიად ახალი მოდელის მიხედვით იქნა რეაბილიტირებული. მთავარი პრინციპი გახლავთ მომსახურების გაუმჯობესება და ის, რომ აქამდე მოქმედ ე.წ "კარიდორული სისტემას" დღეიდან მომსახურების სრულიად ახალი მოდელი - მომსახურების დარბაზი ჩაენაცვლება. გადამხდელს არანაირი ურთიერთობა არ ექნება ინსპექტორთან, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს კორუფციულ გარიგებასა თუ სხვადასხვა სახის დარღვევას. ეს გახლავთ ახალი ინსპექციის უპირატესობის მხოლოდ ერთი მხარე, მეორე კი არის ის, რომ აქამდე გადამხდელს საჭირო საბუთის ჩაბარებისა თუ მიღებისათვის კაბინეტიდან კაბინეტში სიარულში საკმაოდ დიდ დროს კარგავდა, რაც ბუნებრივია მათ გაღიზიანებას იწვევდა. დღეიდან კი ეს პრობლემა მოგვარებულია და გადამხდელს მთელი ამ პროცედურების გავლაში მაქსიმუმუმ 15 წუთი დასჭირდება. კიდევ ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ საგადასახდო მოხელეების საქმიანობაზე და ასევე გადამხდელებზე დაკვირვება შენობაში დამონტაჟებული ვიდეოთვალის მეშვეობით მოხდება, რაც სხვადასხვა სახის გაუგებრობებს და გარიგებებს ფაქტობრივად გამორიცხავს. ამ ეტაპზე მდინარეობს ბათუმისა და თელავის საგადასახადო ინსპექციების რეაბილიტაციის პროცესი, რომელიც უახლოეს მომავალში, დასრულდება. "-აცხადებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი კახა ბაიდურაშვიული.

გორის საგადასახადო ინსპექციის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 311 ათასი ლარი გამოყო.

# "თელიანი ველის" ღვინის ფესტივალმა სტარტი თელავში აიღო

სალომე ძაძამია



კომპანია "თელიანი ველმა" ღვინის ფესტივალის პირველი დღე თელავიდან დაიწყო. კომპანიის ხელმძღვანელებმა მთავრობის წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს და სტუდენტებს "თელიანი ველის" ღვინის ქარხანაში უმასპინძლეს, სადაც კომპანიის ახალი ბრენდის თეთრი და შავი ღვინის, "თელურის" წარმოდგენა მოხდა. შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ვენახში გადაინაცვლა, სადაც, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ყურძნის კრეფას შეუდგნენ. კომპანია "თელიანი ველმა" გაწეული სამსახური სტუდენტებს გარკვეული თანხით აუნაზღაურა.

კომპანია "თელიანი ველის" გენერალური დირექტორი გიო ხუციშვილი: "ბევრს ეგონა, რომ წელს რთველს და ღვინის ქარხნებს პრობლემები ექნებოდა. მინდა გავაქარწყლო მათი ფიქრი და ვთქვა, რომ ნამდვილად გაორმაგებული ძალებით, გაორმაგებული ღვინის მარაგებით, გაათმაგებული ბაზრებით ვმუშაობთ. ქართული ღვინო კიდევ უფრო მეტად გაითქვამს სახელს მსოფლიოში თავისი ხარისხით. რაც შეეხება ფესტივალს, იგი თვე-ნახევარი გაგრძელდება. ამ თვე-ნახევრის მანძილზე იქნება ბევრი ლამაზი სანახაობა და ლამაზი დღეები. ღვინის ტურები, სადაც მოხდება მთელი კახეთის ათვისება. ღვინის ტურებს უმასპინძლებს ბატონი გოკა გაბაშვილი, რომელიც უცხოელებს გააცნობს ქართული ღვინის ტრადიციებს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ მიხო სვიმონიშვილს, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ გოკა გაბაშვილს და პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის რეგიონში, ბატონ პეტრე ცისკარიშვილს. ყველანი ერთად ვართ - მთავრობა, ბიზნესსექტორი და გლეხები. ყველანი ერთად ვზრუნავთ ქართული ღვინის პრესტიჟის ამაღლებაზე. ეს წელი ქართული ღვინისათვის გარდატეხის წელი იქნება."

"ყველას მინდა მივულოცო რთველის დაწყება. ეს ფესტივალი არის ერთ-ერთი ლამაზი ნაწილი იმ დღესასწაულისა, რასაც საქართველოში რთველი ჰქვია. სწორედ ეს არის ჩვენი პასუხი ემბარგოზე, ეს არის ჩვენი პასუხი აკრძალვაზე. მე მინდა ყველამ დაინახოს, რომ იქმნება ახალი პროდუქცია. ჩვენ ყველანი ერთად ვდგავართ და უკვე გავიმარჯვეთ, გადავლახეთ ყოველგვარი პრობლემა. მომავალში ქართველ კაცს ვერავინ აუკრძალავს ვერც ყურძნის მოყვანას და ვერც ღვინის დამზადებას," - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხო სვიმონიშვილმა.

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში პეტრე ცისკარიშვილი აცხადებს, რომ წლევანდელი რთველისგან კახელები მნიშვნელოვან ფინანსურ მოგებას ელიან, რის იმედსაც თავად ყურძნის ხარისხიც იძლევა.

პეტრე ცისკარიშვილი: "ეს ფესტივალი მართლაც საოცარი ინიციატივაა, დიდი სიურპრიზი მოგვიმზადა კომპანია "თელიანი ველმა". მისასალმებელია და ძალიან გვიხარია. საქართველოში ნამდვილ ღვინოს სჭირდება პოპულარიზაცია. ეს კომპანია რამდენიმე წელია, რაც არსებობს, მათ შარშან დანერგეს ეს ფესტივალი, რომელიც სერიოოზულ პრომოუშენს უკეთებს ქართულ ღვინოს და, ზოგადად, ღვინის ბიზნესს. ასეთი აქციები საჭიროა მევენახეობის და ამ სექტორის აღორძინებისათვის, თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმ მეღვინეობის რთულ პირობებში ჩაყენება სცადა. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ საქართველოში მეღვინეობის ამოძირკვა არანაირად არ გამოუვათ. დღეს საქართველო ერთ მუშტად შეიკრა, როგორც ჩვენი თანამოქალაქეები, ისევე ბიზნესმენები. ის ბიზმნესმენები, რომლებსაც ღვინოსთან და ყურძენთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ, მოდიან და ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან ხელშეკრულებებს დებენ ღვინის დამზადებასა და ყურძნის შესყიდვაზე. არც ერთ გლეხს არ დაუწუწუნია და არცკი უფიქრია ქუჩის გადაკეტვასა და მიტინგებზე, რადგან ქართველი ადამიანი ყოველთვის კარგად გააცნობიერებს, საიდან მოდის მტრობა და საიდან - სიკეთე. მას შემდეგ, რაც ამას ჩვენი არაკეთილმოსურნეები გაიგებენ, იმ ბაზარზეც დავბრუნდებით, საიდანაც ჩვენი ღვინო გამოაძევეს.

ჩვენ წლების განმავლობაში გვქონდა ფალსიფიცირებულ ღვინოებთან დაკავშირებული პრობლემა. თუმცა "თელიანი ველი" და სხვა კომპანიები, რომლებიც კახეთში არიან, უმაღლესი ხარისხის ღვინოს ამზადებენ. ჩვენმა მომხმარებელმაც უნდა გაიგოს, რა არის ნამდვილი ღვინო. წელს გვაქვს საკმაოდ ხარისხიანი ყურძენი, გამოჩნდნენ ქარხნები, რომლებიც მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ყურძენს იღებენ. თუ უმაღლესი ხარისხი არ აქვს, ის ყურძენი ღვინის ქარხანაში ვერ მოხვდება. ეს ძალიან მისასალმებელი ტენდენციაა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ღვინის ქარხნებს ევროპულ ბაზარზე შესვლა სურთ. გაყალბებაზე და ფალსიფიკაციაზე არც შეიძლება იყოს საუბარი. მათი ღვინო უმაღლესი ხარისხის იქნება, რადგან ყურძენი მარცვალ-მარცვალ არის შერჩეული. ეს კარგია მევენახეებისთვისაც, ისინი გაიგებენ, რომ უმაღლესი ხარისხის ყურძენი უნდა მოიყვანონ, რათა შემდეგ მაღალ ფასად გაიყიდოს. წელს ყველა თვალსაზრისით კარგი სეზონი იყო და მოსავალზეც მაღალი ფასები იყო. ჩვენმა ხილმა და ბოსტნეულმა კონკურენცია გაუწია აზერბაიჯანის პროდუქციას. თბილისის ბაზარზე, ძირითადად, ადგილობრივი პროდუქცია იყიდებოდა. ასე რომ, კახელებს შემოსავალი აქვთ, თუმცა ყურძნისგან მნიშვნელოვან მოგებას ელიან."

"ის, რომ საქართველოში არის, იყო და იქნება რთველი, რომელსაც თან ახლავს ზეიმი - ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. ეს განსაკუთრებით იმ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომლებიც ცდილობენ, ისეთი რამე მოიფიქრონ, რის შედეგადაც საქართველოში ან ყურძნის კრეფას შეწყვეტს ვინმე, ან ღვინის დაყენებას, ან ღვინის მიწოდებას მეგობრებისათვის. ეს არასოდეს არ მოხდება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ჩვენს ეროვნულ მუზეუმში შვიდი ათასი წლის ყურძნის წიპწა ინახება, დედამიწაზე პირველი კულტივირებული ყურძნის ნარჩენი, რომელიც აღმოჩენილია არქეოლოგიურ გათხრებში. საქართველოს მუზეუმები ინახავს ორი ათასი, სამი ათასი წლის პატარა სკულპტურებს, რომლითაც გამოხატულია ქართველი კაცი ზუსტად იმავე პოზაში, როგორც ღვინის სმისას. თუ ვინმეს გაუჩნდა იდეა, რაიმე ეკონომიკური ბერკეტი მოიფიქროს იმისთვის, რომ საქართველოში შეწყდეს მეღვინეობა და მოისპოს ღვინო, ყველა უნდა გავაწბილოთ. შვიდი ათასწლიან ისტორიას კიდევ მინიმუმ შვიდი ათასწლიანი მომავალი ექნება, განვითარებული, ზეიმიანი და ხალისიანი. ყოველ წელს და ყოველთვის გავაწბილებთ ყველა ჩვენს არაკეთილმოსურნეს. დიდი მადლობა "თელიან ველს", რომ ამ ზეიმს აწყობს და მე იმედი მაქვს, ზეიმში მონაწილეობას ყველა მიიღებს. როგორც იცით, ჩატარდება ღვინის ტური, რომლის გიდობაც მე დამეკისრა. ამ ტურისათვის სერიოზულად ვემზადები. ჯერჯერობით, საიდუმლოდ ვინახავთ იმას, თუ როგორ იქნება ორგანიზებული. ბევრ ინფორმაციას ვიღებ ყველა იმ ადგილის შესახებ, სადაც ჯგუფს წავიყვან. არა მგონია, "თელიანი ველი" ჩემი გიდობით გავაწბილო," - განაცხადა კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა.

# რთველი "შვეიცარულად"

პირველი გვერდიდან

შვეიცარულ ტრადიციაზე მოგახსენებდით, ამ ჩემთვის მეტად პატივსაცემ ქვეყანაში ერთი ასევე ფრიად კეთილშობილური წესი ყოფილა: რთველის პროცესში მონაწილეობას მთელი ქვეყანა ღებულობს. ამისთვის კი ქალაქის მოსახლეობა სოფლებში ჩადის და იქაურ ფერმერებს თუ უბრალო გლეხებს ეხმარებიან. და ეს არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება ხოლმე.

აქვე შენიშვნისთვის: რატომ არის აქტუალური ამ შემთხვევაში შვეიცარული ტრადიციები? პასუხი მარტივია: საქმე საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციას ეხება, რომლის ინიციატივითაც გასულ უქმეებზე მასში შემავალი კომპანიების თანამშრომლებმა კახურ რთველში მიიღეს მონაწილება - ლეხებს ყურძნის მოკრეფაში დაეხმარნენ და მათგან ტონობით ყურძენი შეიძინეს. ბუნებრივია, ეს მოვლენა ტრადიციული ქართული სუფრის გარეშეც არ ჩაივლიდა.

კახელი გლეხებისთვის დახმარების სურვილი ერთ-ერთ პირველს თურმე სწორედ საქართველოში შვეიცარიის საელჩოს გამოუთქვამს.

**"შვეიცარიაში ასეთი წესია: რთველში მთელი ქვეყანა მონაწილეობს. ქალაქის მოსახლეობა სოფლებში ჩადის და იქაურ ფერმერებს, გლეხებს ეხმარება. ამასთან, პროვინციებში ისინი რამდენიმე დღით რჩებიან. ეს ჩვენი შვეიცარული კულტურის ნაწილია. კარგი იქნება, თუ ეს ტრადიცია თქვენთანაც დამკვიდრდება, რაც კახელ გლეხს რთველის პერიოდში ძალიან დიდ დახმარებას გაუწევდა,"** - გვითხრა შვეიცარიის ელჩის მოადგილემ ნიკულინ იეგერმა.



*სოსო ფხაკაძე.*

Intelligence Group-ის ფოტო

როგორც ასოციაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციამ აღნიშნული ღონისძიება, პირველ რიგში, ქართული ღვინისა და ღვინის მწარმოებლების მხარდასაჭერად გამართა. თუმცა რთველს მეორე მხარეც აქვს: **"ეს პროცესი, სასარგებლოსთან ერთად, ძალიან სახალისოც არის. ამ ყურძენს დავწურავთ და ჩვენს წევრებს, ოჯახის წევრებს გადავცემთ საჩუქრად. ამასწინათ კარდენახში შევიძინეთ ყურძენი, დღეს - ველისციხეში, ახლო მომავალში ვაპირებთ, შევიძინოთ მანავში. ასე რომ, მთელს კახეთს, ყველა რაიონს მოვიცავთ. ეს არის ჩვენი ასოციაციის სურვილი და არა გამოხმაურება პრეზიდენტის ინიციატივაზე. ჩვენი ასოციაცია ამ ტრადიციის დანერგვას და გაგრძელებას მომავალ წლებშიც აპირებს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციის თავმჯდომარემ კახა უგულავამ.

"რთველი 2006"-ში საპატიო მიზეზების გამო არ მონაწილეობდა შვეიცარიის ელჩი, თუმცა შაბათს ველისციხეში იყო ელჩის პირველი მოადგილე ნიკულინ იეგერი, მეუღლესთან ერთად. ასევე, ასოციაციის წევრები, მათ შორის, "ვისოლი", "ტაო ბანკი", "ალტერჯგუფი", "არტტაიმი", "ფრანკე".

**"ჩვენ, როგორც ასოციაციის ერთ-ერთი წევრი კომპანია, ოპერატიულად გამოვეხმაურეთ ასოციაციის ინიციატივას და გადავწყვიტეთ, რომ ამ სეზონზე 10 ტონა ყურძენი შევიძინოთ, ნახევარი შავი იქნება, ნახევარი - თეთრი. ღვინოს დავწურავთ და მას ჩვენი ბანკის თანამშრომლებს ან, სულაც, ჩვენს ქართველ და უცხოელ პარტნიორებს გადავცემთ. რთველში მონაწილეობა ორმაგად სასარგებლოა. ერთი, რომ კახელ გლეხს ვეხმარებით, რომელსაც წელს განსაკუთრებულად უჭირს, და მეორე - ჩვენ თავად ვყიდულობთ და ვწურავთ იმ ღვინოს, რომელსაც მთელი წელი მოვიხმართ. ასე რომ, წელს ღვინის ყიდვა, ალბათ, აღარ მოგვიწევს,"** - აღნიშნა "ტაო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ჩოჩიამ.

კიდევ ერთი: როგორც ასოციაციის წევრებმა გვითხრეს, ეს ღონისძიება პრეზიდენტის ინიციატივას არ უკავშირდება, თუმცა არც პრეზიდენტის ამ "თხოვნას" დატოვებენ გამოხმაურების გარეშე და კიდევ შეისყიდიან ყურძენს.

**"გვიხარია, რომ ყველანი ერთად ჩავერთეთ რთველის ფერხულში. ეს ყველაფერი ქართული ღვინის პრობლემების ფონზე ხდება. ამით გვინდა დავეხმაროთ ჩვენს მეღვინეებს. "ვისოლმა" უკვე შეისყიდა რამდენიმე ტონა ყურძენი და მომავალშიც შევიძენთ. პრეზიდენტის ინიციატივას აუცილებლად შევასრულებთ, თუმცა დღევანდელი მოვლენა მისგან დამოუკიდებლად ხდება. თავად შვეიცარიის საელჩომ გამოთქვა ინიციატივა, რთველში მონაწილეობა მიგვეღო..."** - აღნიშნა კომპანია "ვისოლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ფხაკაძემ "შვეიცარული რთველის" დასასრულს.

## მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის შეხვედრა სინგაპურში

პირველი გვერდიდან

თუმცა შეხვედრაზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება საქართველოზე, როგორც ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მხრივ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოზე. ნიდერლანდების მთავრობის ვიცე-პრემიერმა გერიტ ზალმმა, რომელიც აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობს, სიამაყით აღნიშნა, რომ რეფორმების განხორციელების მხრივ ყველაზე წარმატებული ქვეყანა საქართველო სწორედ ნიდერლანდების ჯგუფის წევრია. ანგარიში "Doing Business 2007" საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიოს ბანკის ჯგუფის წლიური შეხვედრის დროსაც განიხილება, რომელიც სინგაპურში 19-20 სექტემბერს გაიმართება. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების ჯგუფში 12 ქვეყანაა გაერთიანებული: ნიდერლანდები, საქართველო, ისრაელი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, ხორვატია, კვიპროსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სომხეთი, მოლდოვა და მაკედონია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს სინგაპურში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი აქვს ორმხრივი შეხვედრები სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებთან და წამყვანი საფინანსო სტრუქტურების ხელმძღვანელებთან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიური შეხვედრები 1946 წლიდან იღებს სათავეს. აღნიშნული თავყრილობების ფორმატი ითვალისწინებს შეხვედრის გამართვას ზედიზედ ორ წელიწადს ვაშინგტონში (შტაბბინაში), ხოლო მესამე წელს - სხვა ქვეყანაში. წელს შეხვედრა სინგაპურში იმართება. ამ ფორუმებში მონაწილეობენ მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელი პირები. სინგაპურის ფორუმს ესწრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი.

**24 საათი**

## სსფ-ს პროგნოზით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2007 6,5 პროცენტამდე შემცირდება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევის, World Economic Outlook" მიხედვით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2007 წელს 0,5 პროცენტით შემცირდება. სსფ პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს დსთ-ს სხვა ქვეყნებზეც. ერთადერთი ქვეყანა თანამეგობრობის ქვეყნებში, რომელიც ეკონომიკური ზრდას არათუ შეინარჩუნებს, არამედ გაზრდის კიდეც, აზერბაიჯანი იქნება. მისი მშპ-ს მოცულობა მომავალ წელს 26, 4 პროცენტს მიაღწევს. თუმცა, საქართველო მაინც შეძლებს, საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ხუთეულში შევიდეს. აღსანიშნავია, რომ დსთ-ს სხვა ქვეყნებს შორის 2006 წელს მას წინ მხოლოდ აზერბაიჯანი (25,6 პროცენტი), თურქმენეთი (9 პროცენტი), ყაზახეთი (8,3 პროცენტი) და ტაჯიკეთი (8 პროცენტი) უსწრებს. რაც შეეხება 2007 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციის გათვლებით, ხუთეულში კვლავ ლიდერის პოზიციებზე იქნებიან თურქმენეთი (9 პროცენტი), ყაზახეთი (7,7 პროცენტი), უზბეკეთი (7 პროცენტი). მეხუთე ადგილს კი მომავალ წელს საქართველო რუსეთთან გაიყოფს. რაც შეეხება სამომხმარებლო ფასებს, მისი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (19,3 პროცენტი) უზბეკეთში და (11, 5 პროცენტი) მოლდოვაში დაფიქსირდა. 9, 6 პროცენტით საქართველო ამიერკავკასიაში ლიდერობს. თუმცა მომავალ წელს მისი დონე, უცხოელი ექსპერტების აზრით, 6 პროცენტამდე დაიწევს, მისი ზრდა კი მოსალოდნელია უკრაინასა (13,5 პროცენტი) და აზერბაიჯანში (10, 5 პროცენტი). როგორც სსფ-ს ექსპერტები აცხადებენ, ეკონომიკური ზრდა მომავალ წელს მთლიანად დსთ-ს სივრცეში შეფერხდება და არსებული 7 პროცენტის ნაცვლად 6,5 პროცენტამდე დაეცემა.

"რეგიონი მაღალი ფასებითა და საექსპორტო შემოსავლებით ცხოვრობს. რამდენიმე ქვეყანაში კი შიდა მოხმარებას უცხოური კაპიტალი (რუსეთი, ყაზახეთი), სახელმწიფო დაფინანსება (საქართველო) და ფულადი გადარიცხვები (სომხეთი, საქართველო, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი) ემატება," - ნათქვამია გამოკვლევაში. სსფ-ს განცხადებით, ინვესტიციები რეგიონში მშპ-სთან შედარებით საკმაოდ დაბალია და 20 პროცენტს შეადგენს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა არასტაბილური იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მსოფლიო ბანკი განვითარებად ქვეყნებს ახალგაზრდა თაობის განათლებაში მეტი სახსრების ჩადებას ურჩევს

მსოფლიო ბანკმა განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელებს მოუწოდა, მეტი სახსრები ჩადონ ახალგაზრდა თაობის განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში. ბანკის კვლევის თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში მოზარდების (12-დან 24 წლამდე) რეკორდული მაჩვენებელია. 1,3 მილიარდი მოზარდიდან 130 მილიონი ბავშვი წერა-კითხვის უცოდინარია. ამავე წყაროს ცნობით, მსოფლიოში აღრიცხული თუ აღურიცხავი უმუშევრების ნახევარზე მეტი ახალგაზრდები არიან. მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს - განათლება, სამუშაო ადგილების შექმნა, ჯანმრთელობის დაცვა, ოჯახი და სამოქალაქო სტატუსის განსაზღვრა. მსოფლიო ბანკის დირექტორის პოლ ვულფოვიცის განმარტებით, სასურველია, სახელმწიფოთა მეთაურებმა ეს შენიშვნები გაითვალისწინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქვეყნის მომავალს და ეკონომიკურ წინსვლას, სერიოზული საფრთხე ემუქრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსეთის მიმართ საქართველოს დავალიანება 7 მილიონ 106 ათასი აშშ დოლარით შემცირდა

2006 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სათავეში კვლავ რუსეთია და მის მიმართ საქართველოს დავალიანება 147 მილიონ 140 ათასი დოლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთის მიმართ საქართველოს დავალიანება 7 მილიონ 106 ათასი აშშ დოლარით შემცირდა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, გასული წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს რუსეთის მიმართ დავალიანება 154 მილიონ 246 ათას ლარს შეადგენს. რუსეთის შემდეგ ვალის სიდიდის მოცულობით ავსტრია (93 მლნ. 851 ათასი დოლარი), გერმანია (72 მლნ. 386 ათასი დოლარი) და თურქეთი (54 მლნ. 290 ათასი დოლარი) მოსდევს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში საგარეო ვალის მოცულობა 1 მილიარდ 767 მილიონ 239 ათასი დოლარი იყო.ორმხრივი კრედიტორის სახით ჩვენს ქვეყანას 16 სახელმწიფო ჰყავს, მათ მიმართ დავალიანება კი 597 მილიონ 712 ათასი დოლარია. ყველაზე მცირე რაოდენობით ფული ჩვენმა ქვეყანამ უკრაინასა და უზბეკეთისგან ისესხა, მათ საკრედიტო ანგარიშზე 359 და 393 ათასი აშშ დოლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "დიდი რვიანის" ქვეყნები ერთობლივ საკონსულტაციო საბჭოს ქმნიან

"დიდი რვიანის" ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების გადაწყვეტილებით, ენერგოტექნოლოგიებისა და ენერგორესურსების ათვისების სფეროში, საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტებული, ერთობლივი საბჭო უნდა შეიქმნას. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის სპიკერის ბორის გრიზლოვის ინფორმაციით, საბჭოს საკონსულტაციო სტატუსი ექნება და "დიდი რვიანის" წევრ ყველა ქვეყანას ენერგეტიკული პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება. "ვფიქრობ, ეს იქნება კონკრეტული ნაბიჯი ურთიერთთანამშრომლობის სფეროში, რადგან საბჭო მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდება. ისინი დეტალურად შეისწავლიან ამა თუ იმ ქვეყნის პრობლემას და მისი მოგვარების შესაძლო ვარიანტებს განიხილავენ. ცალკეულ ქვეყანას თავად ექნება არჩევანის საშუალება," - აცხადებს სპიკერი. მისივე ინფორმაციით, რუსეთი უკვე მიწვეულია "დიდი რვიანის" მორიგ შეხვედრაზე გერმანიაში, 2007 წლის 7-9 სექტემბერს. შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა "რვიანის" ქვეყნების ენერგოუსაფრთხოება იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჩინეთს სავალუტო პოლიტიკის შეცვლის მითითება მისცეს

"დიდი რვიანის" ქვეყნების საბანკო სფეროს წარმომადგენელთა შეხვედრაზე ჩინეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს მითითება მიეცა, იზრუნოს ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის შეცვლაზე. ექსპერტთა შეშფოთების მიზეზი ეროვნული ვალუტის იუანის გაცვლითი კურსია, რადგან, მათივე განმარტებით, ეს არის მსოფლიოს ეკონომიკაში დისბალანსის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. "ვალუტის გაცვლითი კურსი უნდა ასახავდეს ფუნდამენტურ ეკონომიკური მონაცემებს. კურსის ძლიერი რყევები, რაც ჩინეთის მაგალითიდან ნათლად ჩანს, ბუნებრივია, არასასურველია ეკომომიკური განვითარებისთვის," - ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც "დიდი რვიანის" საბანკო სფეროს წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს.

კომუნიკე ითვალისწინებს ასევე "რვიანის" წევრი ქვეყნების აქტიურ თანამშრომლობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ორგანიზაცია "ფატფისთან" და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს შავი ფულის საბანკო არხებით მოძრაობას. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რაც კარგია "გაზპრომისათვის" და ცუდია "ფორდისათვის..."

პირველი გვერდიდან



### აზიური ალტერნატივა

თუმცა, სურს ეს ეპითეტი თუ არა, ფაქტი ისაა, რომ რუსეთის ბოლოდროინდელი მოძლიერება სწორედ ენერგეტიკას უკავშირდება. ნავთობზე გაზრდილი ფასების წყალობით რუსეთს, რომელმაც 90-იანების ბოლოს ვალებზე დეფოლტი გამოაცხადა, ახლა ვალები საერთოდ აღარ დარჩა და ბიუჯეტის მნიშვნელოვანი პროფიციტიც გააჩნია. იზრდება "გაზპრომის" გავლენაც. პუტინმა კიდევ ერთხელ შეახსენა "ვალდაიში" დამსწრეებს, რომ დასავლეთმა თანასწორი პარტნიორული ურთიერთობა უნდა შესთავაზოს რუსეთს ენერგეტიკულ სფეროში (ეკონომიკის სხვა სფეროში ურთიერთობა, პრაქტიკულად, არ არსებობს). რუსული არწივის მეორე თავი აზიისაკენ იყურება, რომელიც ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის და ენერგორესურსებიც სულ უფრო და უფრო მეტი ოდენობით ესაჭიროება. "10-15 წელიწადში რუსული ენერგომატარებლების ექსპორტის 30% აზიაზე მოვა," - ასეთი სენსაციური განცხადება დაურთო პუტინმა თავის გამოსვლას ენერგეტიკის საკითხებზე.

ამ განცხადებამ, ცხადია, უფრო მეტად გამოიწვია შოკი, ვიდრე ენერგეტიკული ზესახელმწიფოს სტატუსზე უარის თქმამ. ორიოდე თვის წინ კრემლი, უბრალოდ, დაიმუქრა, რომ თუკი ევროპასთან საერთო ენას ვერ გამონახავდა, მაშინ თავის ენერგორესურსებს აზიისკენ მიმართავდა. ახლა კი ამ მუქარაში უკვე კონკრეტული ციფრებიც გაჩნდა - 10-15 წელი და 30%.

თუმცა, "ვალდაიში" პუტინთან შეხვედრაზე მყოფები სხვა კონკრეტულ ციფრებს რომ გაეცნონ, იოლად დაინახავენ, რომ აზიის ბაზრის ათვისების ამგვარი გეგმა, პრაქტიკულად, განუხორციელებელია - 2005 წელს რუსეთის ექსპორტმა 242 მილიონი ტონა ნავთობი და 186 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი შეადგინა. ჩინეთსა და იაპონიაში მხოლოდ ნავთობი იქნა ექსპორტირებული - შესაბამისად, 15 და 2,5 მილიონი ტონა, რაც ნიშნავს, რომ მათზე რუსეთიდან ექსპორტირებული ენერგორესურსების 3% მოდის. ამ მაჩვენებლის 30%-მდე ასაწევად აუცილებელია აღმოსავლეთის მიმართულებით ყოველწლიურად არანაკლებ 60 მილიონი ტონა ნავთობისა და 65 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის გადასროლა. ესეც მინიმუმია, რადგან 10-15 წელიწადში რუსული ენერგოექსპორტი, ალბათ, გაიზრდება და 30%-იც გაცილებით მეტი იქნება.

რის ხარჯზე შეიძლება ეს მოხდეს? დღესდღეობით რუსეთში ათვისებული საბადოების 90% დასავლეთ ციმბირსა და ქვეყნის ევროპულ ნაწილზე მოდის. ანუ, იქიდან ნავთობის აზიაში ექსპორტი მეტისმეტად ხარჯიანია. რაც შეეხება აღმოსავლეთ ციმბირს, ექსპერტთა გათვლით, იქ ნავთობმოპოვება 2015 წლისთვისაც კი 40 მილიონს ტონას ვერ ასცდება. ამ დროს კი, 2004 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა აღმოსავლეთ ციმბირისა და წყნარი ოკეანის დამაკავშირებელმა ნავთობსადენმა წელიწადში 80 მილიონი ტონა უნდა გაატაროს და ჯერჯერობით გაუგებარია, რის ხარჯზე უნდა მოხდეს ნავთობსადენის ბოლომდე დატვირთვა.

### ვენესუელური სცენარი სახალინზე?

შეიძლება, კრემლი ნავთობსადენის დატვირთვას სახალინის პროექტების ხარჯზე აპირებს. მართალია, სახალინის პროექტებიდან მისაღები ნავთობისა და გაზის 70-80% უკვე წინასწარ გაყიდულია, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სახალინზე დასავლური ნავთობგიგანტები "ექსონმობილი" და "როიალ დაჩ შელი" მუშაობენ, რომელთაც რუსეთის ხელისუფლება ბოლო ხანს პრეტენზიათა დიდ ნუსხას უყენებს და გაისმის მოწოდებები კონტრაქტის პირობების გადახედვაზეც. მაგალითად, "შელის" წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი გარემოს დამცველი ორგანიზაციების მიერ. არაერთმა მაღალჩინოსანმა გამოთქვა აზრი, რომ სახალინის საბადოები რუსულ კომპანიებს უნდა გადაეცეს. ეს მას შემდეგ, რაც "ექსონმობილმა" და "შელმა" უკვე რამდენიმე წელი (და ვინ იცის, რა თანხები) შეალიეს სახალინის საბადოების ათვისებას.

ამ კომპანიებთან კონტრაქტი 1990-იან წლებში გაფორმდა, როცა ნავთობის ფასები დღევანდელთან შედარებით სასაცილო დონეზე იმყოფებოდა და რუსეთსაც ძალიან ესაჭიროებოდა უცხოური კაპიტალი თავისი საბადოების ასათვისებლად. მაგრამ ბოლო წლებში ნავთობის ფასის გაზრდასთან ერთად გაიზარდა ნავთობ-სახელმწიფოთა პრეტენზიებიც. უკვე არაერთმა ასეთმა სახელმწიფომ მოსთხოვა კონტრაქტის პირობების გადასინჯვა უცხოელ ინვესტორებს (რაც არაერთი ინვესტორის წასვლით დასრულდა). ასეთ სახელმწიფოებს შორის არიან ვენესუელა, ბოლივია, არიან აფრიკული სახელმწიფოებიც.

"ექსონმობილთან" და "შელთან" გარიგებები პარლამენტის მიერაა დამტკიცებული და მათი გადახედვა ასე იოლი არ იქნება. კონტრაქტის მიხედვით, რუსეთი გადასახადების ნაცვლად მოპოვებული ნავთობისა და გაზის ნაწილს იღებს და ესეც მას შემდეგ მოხდება, რაც ინვესტორები თავიანთ ხარჯებს ამოიღებენ. ამგვარი პირობები, ალბათ, უკვე მიუღებლად ჟღერს რუსეთისათვის და ახლახან "ექსონმობილსა" და "შელს" ისიც კი მოუწოდეს, რომ თავიანთი ნებით თქვან უარი კონტრაქტის ძველ პირობებზე და "პატიოსნად" იხადონ გადასახადები. ასეთი მიმართვა, გარკვეულწილად, ალბათ, განაპირობა "შელის" გადაწყვეტილებამ, ორჯერ (20 მილიარდ დოლარამდე) გაზარდოს თავისი ხარჯები პროექტში, რაც ნიშნავს, რომ მის მიერ ხარჯების ამოღების ვადა კიდევ უფრო გადაიწევს და რუსეთი "შელის" მიერ მოპოვებულ სახალინის ნავთობსა და გაზს კიდევ უფრო გვიან მიიღებს.

რაც შეეხება "ექსონმობილთან" კონფლიქტს, იგი განპირობებულია ამ კომპანიის სურვილით, სახალინიდან ააგოს გაზსადენი ჩინეთზე. ამერიკულ გიგანტს პრობლემებს უქმნის რუსეთის სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მოუწესრიგებლობა და გაცილებით უფრო პერსპექტიულად მიაჩნია გაზის ჩინეთში გატანა. მაგრამ ამ პროექტის განხორციელებით "ექსონმობილი" მკვეთრად უპირისპირდება "გაზპრომს," რომელიც გაზის ექსპორტზე თავის მონოპოლისტობას ძნელად თუ დაუთმობს ვინმეს. კონფლიქტმა უკვე იქონია შედეგი: რუსეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა "ექსონმობილს" მოპოვების ლიცენზიის გაზრდაზე. ამერიკულმა კომპანიამ ეს გაზრდა მას შემდეგ მოითხოვა, რაც აღმოჩნდა, რომ ასათვისებელი საბადოების ზომა დაშვებული ტერიტორიის ფარგლებს სცდება. "ექსონმობილი" ამტკიცებს, რომ ლიცენზია ავტომატურად უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მოსკოვმა ამის ნაცვლად ახლადაღმოჩენილი უბნის აუქციონზე გატანა გადაწყვიტა. ვინ გაიმარჯვებს ამ აუქციონზე, ძნელი მისახვედრი არაა. მაგრამ კრემლი ჩვეული ფრაზით დაამშვიდებს თავის დასავლელ პარტნიორებს: "რაც კარგია "გაზპრომისათვის," კარგია მთელი მსოფლიოსათვის."

ძნელი სათქმელია, მართლაც აპირებს თუ არა კრემლი, ბოლომდე წავიდეს ასეთ თამაშებზე, ვენესუელას დარად უცხოელ ინვესტორებს წასვლა აიძულოს და შემდეგ "ვალდაიში" გაკეთებული დაპირების ასასრულებლად სახალინის ნავთობი და გაზი აზიის ბაზრებისკენ მიმართოს. ზემოთნახსენები აღმოსავლეთ ციმბირის საბადოებიდან ნავთობის ექსპორტიც ერთობ ხარჯიანია. არადა, კრემლს საშუალება ჰქონდა, 10-15-წლიან ვადაზე გაცილებით უფრო ადრე გაეზარდა თავისი ნავთობის ექსპორტი ჩინეთში. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი მოსკოვი ნაზარბაევის წინადადებით დაინტერესდებოდა შუა აზიის გავლით ჩინეთზე მიმართულებით მილის მშენებლობაში ჩაერთვებოდა. მაგრამ რუსეთს ტრანზიტული პროექტებისკენ გახედვაც არ სურს - პარტნიორებზე იგი უშუალოდ უნდა გადიოდეს. ასეთი უშუალობის ერთ-ერთი გამოხატულება ბალტიის ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენია, რომელიც რუსეთს უშუალოდ დააკავშირებს გერმანიასთან და გვერდს აუვლის პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. რუსეთი ძნელად ეგუება იმ აზრს, რომ მთელი რიგი მისი მილსადენები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე გადის, რომლებიც ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და, ამგვარად, ეს მილსადენები ტრანზიტულ მილსადენებად იქცა.

"ვალდაიში" შეხვედრა მის დამსწრეებს (და ვინც მას თვალყურს ადევნებდა) კიდევ ერთი რამის გამო დაამახსოვრდებათ. პუტინს ჰკითხეს, თუ რატომ აქვს აშშ-ს ასეთი ცუდი იმიჯი რუსულ ტელეარხებზე და რამდენად შეესაბამება ეს იმიჯი თავად რუსეთის ხელისუფლების პოზიციას. პუტინმა განმარტა, რომ მასმედია ხალხის განწყობას გამოხატავს და თუკი ამას არ იზამს, იგი საინტერესო აღარ იქნება. ხოლო რუსეთის ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს რუსულ-ამერიკული ურთიერთობების არა მხოლოდ შენარჩუნების, არამედ გასაუმჯობესებლად.

დიახ, რუსული მედია თურმე თავისუფალია, იმდენად თავისუფალი, რომ ხშირად ოფიციალურ მოსკოვს ხელსაც კი უშლის ამერიკასთან დაახლოებაში. ოფიციალური მოსკოვი ამ მხრივ ყველანაირად ცდილობს თავისას, მაგრამ სიტყვის თავისუფლება მისთვის ყოველგვარ გეოპოლიტიკასა თუ ეკონომიკურ ინტერესზე მაღლა დგას და ამიტომაც რუსული მედია აგრძელებს წმიდათაწმიდა საქმეს - ამერიკის ლანძღვას.

### რაც ცუდია "ფორდისათვის..."

"რაც კარგია "გაზპრომისათვის," მთელი მსოფლიოსათვის კარგია." ეს ფრაზა ახალი არაა და იგი პერიფრაზს წარმოადგენს. 1953 წელს აშშ-ს სენატი თავდაცვის მინისტრის პოსტზე "ჯენერალ მოტორსის" გენერალური დირექტორის, ჩარლზ ერვინ უილსონის კანდიდატურას განიხილავდა. უილსონმა უარი განაცხადა მის ხელთ არსებული "ჯენერალ მოტორსის" აქციათა პაკეტი გაეყიდა და, შესაბამისად, მას ლოგიკური შეკითხვა დაუსვეს - რამდენად შეძლებდა ასეთ შემთხვევაში თავდაცვის მინისტრის პოსტზე "ჯენერალ მოტორსისადმი" ობიექტურობის შენარჩუნებას და თუკი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო გახდებოდა, რამდენად შეძლებდა იგი კომპანიისათვის საზიანო გადაწყვეტილების მიღებას, უილსონმა ასეთი პასუხი გასცა: "ამგვარი ვითარების წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რადგან უკვე დიდი ხანია დარწმუნებული ვარ, რომ რაც კარგია "ჯენერალ მოტორსისათვის," ის ქვეყნისათვისაც კარგია და პირიქით."

ამ ლოგიკით, რაც ცუდია "ფორდისათვის," ის ცუდია ამერიკისათვის. ორი თვის წინ პოსტიდან გადადგა კომპანიის მთავარი აღმასრულებელი ბილ ფორდი. იგი ალან მალელიმ შეცვალა. მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ საკადრო ცვლილებების მიუხედავად, უცვლელი დარჩებოდა "ფორდის" პოლიტიკა - კომპანიის ფინანსური კრიზისიდან გამოსაყვანად აუცილებელია რადიკალური ხარჯშემცირება და უახლოეს წლებში ავტოგიგანტის არაერთ ქარხანას ელის დახურვა და, შესაბამისად, ათასობით თანამშრომელს ახალი სამსახურის ძებნა.

იანვარში "ფორდმა" განაცხადა, რომ 2012 წლისათვის 14 ქარხანა დაიხურება და შემცირდება 30 ათასი სამუშაო ადგილი. ახლა ეს გეგმა უფრო მოკლე ვადისათვის დაკონკრეტდა - 2008 წლისათვის 14 ათასი თანამშრომელი იქნება დათხოვილი, რისი წყალობითაც იმავე წლისათვის კომპანია ყოველწლიური ხარჯის 5 მილიარდი დოლარით შემცირებას იმედოვნებს.

მხოლოდ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში კომპანიამ 123 მილიონი იზარალა. ეს მოულოდნელად კარგი შედეგი აღმოჩნდა, რადგან ზოგიერთი პროგნოზით ავტოგიგანტი წლის ბოლოს 9 მილიარდამდე წაგებას ელის.

სამუშაო ადგილების შემცირება უპირველესად ამერიკული ქარხნების ხარჯზე მოხდება, სადაც მუშახელი ყველაზე ძვირია. მაგრამ, ამავე დროს, "ფორდს" საუშაოდან გათავისუფლებულებისათვის კომპენსაციის გადახდაც უწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხარჯშემცირებიდან შეღავათს კომპანია არც ისე მალე იგრძნობს.

"ფორდის" ახალი ხელმძღვანელობა ასევე გეგმავს მის ხელთ არსებული "ასტონ მარტინის" მარკის გაყიდვას. მის გარდა, კომპანია კიდევ შემდეგ მარკებს აკონტროლებს: "ლენდ როვერი," "მერკური," "ლინკოლნი," "იაგუარი," "ვოლვო," თავად "ფორდი." გარდა ამისა, კომპანიას ერთობლივი საწარმო აქვს იაპონურ "მაზდასთან." ცხადია, ფუფუნების მანქანების ამდენი მარკის ქონა ერთობ დიდი ფუფუნებაა ფინანსურ კრიზისში მყოფი კომპანიისათვის. მით უმეტეს, რომ გაძვირებული საწვავის პირობებში მკვეთრად იზრდება მოთხოვნილება ეკონომიურ მანქანებზე.

გაძვირებული საწვავი პრობლემას არა მხოლოდ "ფორდს" უქმნის. ამ ფაქტორის გამო არა და არ მცირდება აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი (არადა, დოლარის კურსის დაცემას ამერიკული ექსპორტის ზრდა მოჰყვა, რასაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მეტ-ნაკლები ნორმალიზაცია უნდა მოეხდინა). ასე რომ, თუკი უილსონის ფრაზას შევატრიალებთ, რაც ცუდია ამერიკისათვის, ცუდია "ფორდისათვისაც."

### ზრდა აშშ-ს ბირჟაზე










გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ანალიტიკოსთა პროგნოზმა, რომლებიც ვარაუდობენ, რომ ინფლაციის ტემპის და ნავთობის ფასების კლების გამო ოთხშაბათს დანიშნულ სხდომაზე ფედერალური სარეზერვო ფონდი ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,29 პროცენტით, 11.560,77 პუნქტამდე გაიზარდა. 0,31 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.235,59 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,27 პროცენტით, 1.319,87 პუნქტამდე მოიმატა.

### ნავთობი კვლავ იაფდება

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 63,33 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 63,56 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

"შავი ოქროს" გაიაფებას კვლავინდებურად განაპირობებს მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია და აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საკმარისი მარაგის არსებობა. გარდა ამისა, პარასკევს დასრულდა ნიგერიელ მენავთობეთა გაფიცვა, რამაც ბაზარს კიდევ უფრო მეტი სტაბილურობა შემატა.

### პალადიუმის გარდა, ყველა ძვირფასი ლითონი გაიაფდა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს ფიუჩერსებზე ფასის კლება დაფიქსირდა და 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 578,6 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა 10,7 დოლარი/უნციამდე მოიკლო. ზედიზედ მეხუთე სესიის განმავლობაში გაიაფდა პლატინა და მისმა ღირებულებამ 1179,5 დოლარი/უნცია შეადგინა, რაც მიმდინარე წლის 23 ივნისის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. პალადიუმი კი გასულ კვირაში მეორედ 327,2 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ძვირფასი ლითონების გაიაფება ნავთობის ფასის კლებამ და დოლარის კურსის სტაბილურობამ განაპირობა. გარდა ამისა, გავლენას ახდენს მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობის კლება. პალადიუმის ფასზე კი გავლენა კვლავინდებურად ადგილობრივმა ტექნიკურმა ფაქტორებმა, კერძოდ, მოგების ფიქსაციამ განაპირობა.

### ICE ნიუ იორკის სასაქონლე ბირჟას ყიდულობს

ელექტრონული სასაქონლე ბირჟა InterContinental Exchange Inc (ICE) ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟას New York Board of Trade (NYBOT)-ს 1 მილიარდ დოლარად ყიდულობს. როგორც ცნობილი გახდა, ICE-ს გადაწყვეტილი აქვს NYBOT-ის აქციონერებს 400 მილიონი დოლარი ნაღდი ფულით გადაუხადოს, დანარჩენი თანხა კი გაერთიანებული კომპანიის 10,29 მილიონი აქციით დაფაროს. აღნიშნული გარიგება NYBOT-ის აქციონერების და ანტიმონოპოლიური ორგანოების თანხმობის შემდეგ განხორციელდება. სავარაუდოდ, NYBOT ICE-ს ქვეგანყოფილება გახდება და მისი ორი დირექტორი გაერთიანებული კომპანიის დირექტორთა საბჭოში შევა.

### News Corp-მა Liberty Media-ს აქციების გაცვლა შესთავაზა

გამოცემა Financial Times-ის ინფორმაციით, რუპერტ მერდოკის News Corp-ს სურს, მისი კუთვნილი ამერიკული თანამგზავრული ოპერატორის DirectTV-ის საკონტროლო პაკეტი ჯონ მალოუნის Liberty Media-ს მის საკუთრებაში არსებულ News Corp-ის აქციების 19 პროცენტში გაუცვალოს. რუპერტ მერდოკი თავის დროზე DirectTV-ის აქციების ხელში ჩასაგდებად გულმოდგინედ იბრძოდა, რათა თავისი ტელეკომპანია Fox-ის უსაფრთხო განაწილება უზრუნველეყო. იგი ამ გაცვლას იძულებით ნაბიჯს უწოდებს, რომელიც თავისი პირმშოს News Corp-ის სრულად გაკონტროლების სურვილმა გადაადგმევინა.

### New Yorke Times-ი ტელეარხებს ყიდის

კომპანია The New Yorke Times-მა თავისი სატელევიზიო ბიზნესის გაყიდვა გადაწყვიტა. კომპანიის თავკაცის ჯანეტ რობინსონის თქმით, Broadcast Media Group-ის, რომელშიც 9 ტელეარხი შედის, გაყიდვის მიზეზი საგამომცემლო ბიზნესისა და ელექტრონული მედიის განვითარების სურვილი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ Broadcast Media Group-ი წამგებიანი სულაც არ არის. სავარაუდოდ, მიმდინარე წელს მისი მოგება 150 მილიონ დოლარს შეადგენს.

### Fiat-ს Ferrary-ის აქციების დაბრუნება სურს

იტალიური ავტოგიგანტი Fiat-ი აპირებს, შეიძინოს Ferrary-ის აქციები, რომლებიც 2002 წელს საინვესტიციო ბანკ Mediobanca-ს მიჰყიდა. იტალიელები მზად არიან აქციების 29-პროცენტიან პაკეტში 800 მილიონი დოლარი გადაიხადონ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის Fiat-ს უკვე ეკუთვნის Ferrary-ს აქციების 56 პროცენტი, კიდევ 10 პროცენტს ფერარების ოჯახი ფლობს. დარჩენილი 5 პროცენტი კი Mediobanca-მ არაბულ კომპანია Mubadala Development Co-ს თავის დროზე მიჰყიდა.

# "სახალხო ბანკი" ათას ხუთას უმუშევარ ადამიანს დაასაქმებს



გიორგი გოგუაძე.

"სახალხო ბანკმა" დასაქმების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება დაიწყო. ბანკის სათაო ოფისში მოეწყო 2006 წლის მიზნობრივი პროგრამის - "პროფესიული მომზადება სამუშაო ადგილებზე" კანდიდატთა შერჩევა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გაფორმდა "სახალხო ბანკსა" და სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შორის. ხელშეკრულების თანახმად, პროექტის პირველი ეტაპი ითვალისწინებს სწავლებას და სტაჟირებას. მეორე ეტაპზე კი 1500 საუკეთესო კანდიდატი შეირჩევა დასაქმდება "სახალხო ბანკის" 180 ფილიალში მთელი ქვეყნის მასშტაბით. თითოეული ფილიალი 25-მდე ახალ თანამშრომელს მიიღებს.

"სახალხო ბანკში" სტაჟირებისა და დასაქმების მსურველი კი გაცილებით მეტი იყო - 6000 ათასზე მეტმა მსურველმა შეიტანა განაცხადი შემდეგ ვაკანსიებზე: ბუღალტერი, ეკონომისტი, ოპერატორი, საკრედიტო და სარელკამო აგენტები.

**" ეს თანამშრომლობა ერთჯერადი არ იქნება, რადგან საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება ჩვენი ბანკის მომსახურების მსურველთა რიცხვი და შესაბამისად იზრდება ბანკის თანამშრომელთა რიცხვიც. ჩვენთან სტაჟირება გავლილი ადამიანები კი უფრო ადვილად დასაქმდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში"** - განაცხადა კანდიდატებთან შეხვედრისას "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ.

"სახალხო ბანკის" ხელმძღვანელს პრეზიდენტისა და მთავრობის სახელით მადლობა უთხრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა. როგორც მინისტრმა აღნიშნა - დასაქმების პროგრამაში მონაწილე 8000 კერძო კომპანიიდან "სახალხო ბანკი" ყველაზე მეტ ადამიანს აძლევს სამუშაო ადგილს.

დასაქმების პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა კერძო კომპანიაში, წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ 50 ათასამდე ადამიანი დასაქმდება.

# "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქტივების მოცულობამ 2006 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 463,910 მლნ. შეადგინა

სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მთლიანმა აქტივებმა, 2006 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, 463,910 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3,8 მილიონი ლარით მეტია 2006 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელზე, გაუნაწილებელმა მოგებამ კი ამავე პერიოდში - 7,33 მლნ. ლარი.

2006 აგვისტოს მონაცემებით, სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" სააქციო კაპიტალი 44,5 მლნ. ლარით განისაზღვრა. მთლიანმა ვალდებულებებმა კი 419,3 მლნ. ლარი შეადგინა. 2006 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, "გაერთიანებული ქართული ბანკი" მესამეა აქტივების მიხედვით, მოგების მაჩვენებლით კი - მეხუთე, "თი ბი სი ბანკის", "საქართველოს ბანკის", "რესპუბლიკას" და "ქართუს" შემდეგ. "გაერთიანებული ქართული ბანკი" 1995 წელს სამი სახელმწიფო ბანკის გაერთიანების შედეგად შეიქმნა. 2005 წელს კი მისი საკონტროლო პაკეტის მფლობელი რუსული "ვნეშტორგბანკი" გახდა. აქციონერთა კრების გადაწყვეტილების თანახმად, ოქტომბრიდან ბანკს "ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" დაერქმევა.

ბანკის აქციონერები არიან: "ვნეშტორგბანკი" (საკონტროლო პაკეტით); "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" და საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები. **GBC**

## ამინდი

| | 18/09 | 19/09 | 20/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 21 | 20 | 21 |
| რიგა | 21 | 21 | 18 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 19 |
| მოსკოვი | 18 | 18 | 18 |
| მინსკი | 20 | 23 | 20 |
| პარიზი | 21 | 21 | 21 |
| რომი | 23 | 25 | 26 |
| ლონდონი | 23 | 21 | 18 |
| მადრიდი | 26 | 27 | 26 |
| ბონი | 20 | 16 | 18 |
| ვარშავა | 23 | 23 | 20 |
| ათენა | 30 | 29 | 29 |
| ბერნი | 17 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 18 | 16 | 19 |
| ოსლო | 20 | 16 | 12 |
| ანკარა | 30 | 29 | 30 |
| ვარნა | 20 | 25 | 25 |
| დელი | 46 | 47 | 42 |
| ტოკიო | 27 | 28 | 31 |
| კოპენჰაგენი | 20 | 17 | 15 |
| ბაქო | 24 | 23 | 23 |
| ერევანი | 26 | 27 | 30 |
| ასტანა | 1 | 0 | 7 |
| ჰელსინკი | 16 | 20 | 13 |
| დუბლინი | 18 | 14 | 12 |
| ლისაბონი | 26 | 26 | 26 |
| პრაღა | 23 | 17 | 22 |
| სოფია | 21 | 24 | 23 |
| ბუდაპეშტი | 20 | 20 | 22 |
| ბუხარესტი | 23 | 22 | 26 |

# "საქართველოს ბანკი" საერთაშორისო ბაზარზე დაფუძნდა, როგორც მისაღები მსესხებელი

*"საქართველოს ბანკისთვის" ზაფხულის სეზონი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. ორი სერიოზული სესხი მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ინსტიტუტებისგან და ცნობილი სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული რეიტინგი - ეს ბანკის მხოლოდ აგვისტოს მიღწევებია.*



ლადო გურგენიძე.

25 მილიონი დოლარის სესხი "საქართველოს ბანკმა", არც მეტი, არც ნაკლები, "მერილ ლინჩისაგან" მიიღო, რაც ბოლო დროს აღებულ ზრდის ტემპს კიდევ უფრო დააჩქარებს. "მერილ ლინჩს" საბანკო სისტემაში წარდგენა არ სჭირდება, ის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია. 364-დღიან არაუზრუნველყოფილ საკრედიტო ხელშეკრულებას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლადო გურგენიძე უმნიშვნელოვანესს უწოდებს. მისი თქმით, ის მოხარულია, რომ "მერილ ლინჩი" იმ ბანკების მცირე ჯგუფს შეუერთდა, რომლებთანაც "საქართველოს ბანკს" აქვს ურთიერთობა. გურგენიძე იმედოვნებს, რომ ეს არ იქნება "მერილ ლინჩთან" ერთჯერადი თანამშრომლობა და რომ მომავალში წარმატებული გარიგებების რიცხვი გაიზრდება. "მერილ ლინჩი" განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, ძნელად შედის. "საქართველოს ბანკი" კი, თავისი აქტივების რაოდენობის და ზომის ზრდის თვალსაზრისით, "მერილ ლინჩის" ინტერესების სფეროში მოხვდა.

მეორე მსხვილი ორგანიზაცია, რომელიც ასევე ზაფხულიდან გახდა "საქართველოს ბანკის" პარტნიორი, "თეიმზ რივერ კაპიტალის ჰილსაიდ აპექს ფანდ ლიმიტედია". მან "საქართველოს ბანკს" 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი სუბორდინირებული სესხი გამოუყო. ცნობისათვის, ეს ერთ-ერთი ფონდია, რომელიც 1998 წლის 31 ივლისს დაარსდა და ირლანდიის საფონდო ბირჟის ლისტინგში იმყოფება. "ჰილსაიდ აპექს ფანდ ლიმიტედ"ს მართავს "ტემზ რივერ კაპიტალ ლიმიტედი".

"საქართველოს ბანკის" მიერ წარმატებით დასრულებული პირველი სუბორდინირებული სესხის ეს ტრანზაცია მეტად დროული იყო ბანკის სწრაფი ზრდის ფონზე. ლადო გურგენიძის განცხადებით, მიღებული დაფინანსება გაზრდის ბანკის მეორად კაპიტალს. თავისთავად, სუბორდინირებული სესხის გაცემა კი "საქართველოს ბანკის" მიმართ ნდობაზე მეტყველებს.

2006 წელი იმითაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ თუ აქამდე "საქართველოს ბანკის" კრედიტორთა შემადგენლობაში იყვნენ მხოლოდ IFC-ი, EBRD-ი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი მანდატიდან გამომდინარე, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში კომპანიებს მათი განვითარების საწყის ეტაპზე უჩენენ ფინანსურ დახმარებას, ახლა ამ სიას Citi, Merrill-ი, WBC-ი, Thames River-ი დაემატნენ. საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე არსებული ამ დიდი სახელების თანამშრომლობა "საქართველოს ბანკთან" მეტყველებს იმაზე, რომ "საქართველოს ბანკი" საერთაშორისო ბაზარზე დაფუძნდა, როგორც მისაღები მსესხებელი. მარტო 2006 წელს "საქართველოს ბანკის" მიერ საერთაშორისო ბაზრებზე ჯამურად მოზიდულმა თანხებმა 65 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ცნობილმა სარეიტინგო სააგენტო FitchRatings-მა "საქართველოს ბანკის" პერსპექტივები შეაფასა, როგორც "გაუმჯობესებული სტაბილურიდან - პოზიტიურამდე". დღეს "საქართველოს ბანკი" ქვეყანაში ერთადერთი ქართული კომპანიაა, რომელსაც სამივე გლობალური სარეიტინგო სააგენტოსგან აქვს რეიტინგი მიღებული. ეს სააგენტოებია: FitchRatings-ი, Moody's-ი, Standard & Poor's-ი.




# საქართველოს ეროვნულ ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონი გაიმართება

საქართველოს ეროვნული ბანკი 2006 წლის 18 სექტემბრიდან სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების გამართვას აპირებს. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის განცხადებით, "სადეპოზიტო სერტიფიკატები ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი, ქმედითი და თანამედროვე ინსტრუმენტია. ამ ინსტრუმენტის ამოქმედებით საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის უფრო ეფექტიანად გატარების შესაძლებლობა მიეცემა. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების ჩატარება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ასევე ქვეყნის ფულადი ბაზრების განვითარებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს დედოლარიზაციის პროცესს, ვინაიდან ბანკების მფლობელობაში გადავა ეროვნული ვალუტით დენომინირებული მოკლევადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი. ამ გზით კომერციულ ბანკებს უჩნდებათ სახსრების ურისკოდ და მაღალლიკვიდურად დაბანდების საშუალება, რაც მათ თავიანთი საკრედიტო პორტფელების ოპტიმალურად და ეფექტურად დივერსიფიკაციის გარანტიას მისცემს".

აუქციონის დებულების თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოშვების თარიღს, ვადიანობას, ემისიის მოცულობას და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. "კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა ეძლევათ, მეორად ბაზარზე გაიტანონ და ერთმანეთში ივაჭრონ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით. ისინი ასევე უფლებამოსილნი არიან, გამოიყენონ საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები, როგორც გირაო, ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე და რეპო ოპერაციების დროს," - განაცხადა დავით ამაღლობელმა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელ ფუნქციას შეასრულებს.

ცნობისთვის: სადეპოზიტო სერტიფიკატი არის ეროვნული ვალუტით დენომინირებული ფასიანი ქაღალდი, რომელსაც არამატერიალიზებული ფორმა აქვს. სადეპოზიტო სერტიფიკატების ღია, მთლიანად ავტომატიზებული აუქციონები ჩატარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში კვირაში სამჯერ, ერთი, სამი და ექვსი თვის ვადიანობის მქონე რესურსებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით იქნება აღჭურვილი. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, აუქციონებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ კომერციულ ბანკებს შეეძლებათ. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებისათვის დისკონტს კომერციული ბანკები აუქციონის ჩატარების დღესვე მიიღებენ. **მედიანიუსი**

# ბანკ "რესპუბლიკას" აქციათა 60%-ის მფლობელი ფრანგული Societe Generale ხდება

ქართული კომერციული ბანკი "რესპუბლიკას" აქციათა 70%-ის მფლობელი 2 ევროპული საბანკო ინსტიტუტი ხდება. როგორც GBC-ის "რესპუბლიკიდან" აცნობეს, 2006 წლის 15 სექტემბერს ფრანგულმა ბანკმა Societe Generale-მა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბანკ "რესპუბლიკის" არსებულ აქციონერებთან წილის შესყიდვის (შესაბამისად 60% და 10%) თაობაზე. როგორც ქართულ კომერციულ ბანკში აცხადებენ, გარიგება საბოლოოდ საქართველოს შესაბამისი ფინანსური ორგანოების თანხმობის შემდეგ გაფორმდება. Societe Generale-ი დაფუძნდა 1864 წელს და კაპიტალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით მე-7 უმსხვილეს ფრანგულ კომპანიას წარმოადგენს. იგი ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია ევროზონაში. ბანკი მსოფლიოს 76 ქვეყანაში ფუნქციონირებს და მასში 103 000-მდე ადამიანია დასაქმებული. მისი ბიზნესი მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: საცალო და ფინანსური მომსახურება, გლობალური საინვესტიციო მენეჯმენტი და მომსახურება, და ასევე, კორპორაციული და საინვესტიციო ბანკი.

ფრანგული ბანკის საერთაშორისო საცალო-საბანკო მომსახურების უფროსის ჟან-ლუი მატეის განმარტებით, "Societe Generale-ი ბანკ "რესპუბლიკას" შესძენს ფინანსურ სიმძლავრეს, საერთაშორისო ქსელს, უნივერსალურ საბანკო გამოცდილებას და პროდუქტების განვითარების *know-how*-ს. ეს ყველაფერი, ბანკ "რესპუბლიკას" საშუალებას მისცემს, გახდეს წამყვანი ფინანსური ინტიტუტი საქართველოში". ბატონმა ლაშა პაპაშვილმა (ბანკ "რესპუბლიკას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) თავის მხრივ აღნიშნა: "ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია საქართველოს ეკონიმიკის აღმავლობის გზაზე. Societe Generale 140-წლიან გამოცდილებას მოიტანს საქართველოს ფინანსურ სექტორში და კიდევ უფრო გააძლიერებს მას. ჩვენ, ბანკ "რესპუბლიკის" მთელი გუნდი, ამაყები ვართ და ძალღონეს არ დავზოგავთ ბანკის საბაზრო წილის და მომგებიანობის გასაზრდელად". ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) 1991 წელს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა წყობის დაშლის პერიოდში შეიქმნა. ამჟამად EBRD-ი საკუთარ საინვესტიციო ინსტრუმენტებს იყენებს საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის განვითარებისათვის ცენტრალური ევროპის და აზიის 28 ქვეყანაში. **GBC**